

თბილისის მერია  
თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო  
სამსახური  
კულტურის გადარჩენის ფონდი

ქალაქ თბილისის კულტურისა და  
ტურიზმის კონცეფცია.

თბილისი

2004

## წინასიტყვაობა

2002 წელს საქართველოში იმუოფებოდა ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ანგარიშზე ქართული კულტურის პოლიტიკის შესახებ. ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებში მწვავედ წარმოჩინდა კულტურის პოლიტიკის არასწორი მართვის პრობლემა.

2003 წლის 26 ივლისს თბილისის მერიაში გამართულ ფორუმზე დამტკიცდა დებულება და შეიქმნა ქ. თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებელი საბჭო. (ქალაქ თბილისის საკრებულოს 2003 წლის 20 ივნისს დადგენილება № 53 – დებულების პროექტის „ქ. თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ“ შეთანხმებაზე).

საბჭოს დადგენილებით მერიის სამსახურებს დაევალათ შესაბამისი სტრატეგიული გეგმების შემუშავება, მაგრამ დედაქალაქს დღემდე არა აქვს შემუშავებული ერთიანი სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად თბილისს არ გააჩნია კულტურის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად პირველი ნაბიჯი გადაიდგა 2004 წელს ქალაქ თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის მიერ, რომელმაც დააფინანსა კულტურის გადარჩენის ფონდის პროგრამა „ქ. თბილისის განვითარების სტრატეგიული გეგმისათვის კულტურისა და ტურიზმის პოლიტიკის კონცეფციის შექმნა.“

პროექტის განსახორციელებლად შეიქმნა ავტორთა ინტერდისციპლინარული ჯგუფი. ჩატარდა სოციოლოგიური კვლევები.

პროექტის მიმდინარეობას მონიტორინგს უწევდა ევროსაბჭოს კულტურის პოლიტიკის დეპარტამენტის **STAGE Project** ხელმძღვანელი დორინა ბოდეა.

წინამდებარე დოკუმენტი, როგორც საქართველოს რეალობაში ურბანული კულტურის პოლიტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანალიზის პირველი მცდელობა, წარდგენილია ევროსაბჭოს კულტურის პოლიტიკის დეპარტამენტში.

ავტორთა ჯგუფი

პროექტის ხელმძღვანელი:

ნინო გუნია-გუბანეცოვა – სცენოგრაფი, არტ მენეჯერი

ექსპერტები:

ზაზა შათირიშვილი – ფილოლოგი, ფილოსოფოსი  
 ნანა ყიფიანი – ხელოვნებათმცოდნე, არტ კრიტიკოსი  
 კობა არაბული – არქიტექტორი, ექსპერტი ტურიზმის დარგში  
 სოციოლოგიური კვლევის ხელმძღვანელი:  
 მარინა ბალიაშვილი – ფსიქოლოგი  
 კონსულტანტი მედიის საკითხებში:  
 თეონა გეგენავა (გეგელია) – ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი

- COUNCIL OF EUROPE
- STAGE Project



Strasbourg, January 2004

DGIV/CULT/STAGE(2004)1

[19.01.04]

---

## **STAGE PROJECT**

**DRAFT ACTION PLAN FOR THE REINFORCEMENT OF CULTURAL POLICIES IN SOUTH CAUCASUS AND THE DEVELOPMENT OF CULTURAL POLICIES FOR CITIES**

**(2004-2005)**

## **DRAFT REPORT**

**"Cultural policies in Europe: a compendium of basic facts and trends"**

**Meeting of the Compendium authors**

Strasbourg, 17-18 January 2002

თბილისის კულტურისა და ტურიზმის კონცეფცია

1. შესავალი	5
2. თბილისის კულტურისა და ტურიზმის კონცეფციის აქტუალობა	5
3. კონცეფციის ამოცანები	8
4. კონცეფციის მეთოდოლოგია	8
5. სიტუაციის ანალიზი: თბილისური კულტურის შრეები	11
5.1 ტფ(თბ)ილისური კულტურის უძველესი შრე (ქალაქის დაარსებიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე)	13
5.2 ტფ(თბ)ილისური კულტურის იმპერიული შრე (1801 – 1917 წწ.)	15
5.3 თბილისური მოდერნიზმი (XXს-ს პირველი მეოთხედი)	20
5.4 თბილისური კულტურის „სოციალისტური“ შრე (1922 – 1991წწ.)	21
5.5 თბილისური კულტურის თანამედროვე შრე (1992-2004 წწ.)	24
5.6 თბილისის კულტურის პოლიტიკის მონაცემები	26
6. სიტუაციის ანალიზი: თბილისში ტურიზმის განვითარების რესურსული პოტენციალი	27
6.1 შესავალი	27
6.2 თანამედროვე ტურიზმი – განვითარების ძირითადი ტენდენციები	30
6.3 თბილისის, როგორც ტურისტული ობიექტის, აღწერა	35
7. ტურისტული ინდუსტრიის შესაძლებლობები და თბილისის პერსპექტივა	39
7.1 საქართველოში ტურიზმის განვითარების ძირითადი პრობლემები	39
7.2 თბილისში ტურიზმის განვითარების დამატებითი სპეციფიკური პრობლემები	42
7.3 თანამედროვე თბილისი და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები	45
8. ტურიზმის მართვის სისტემის ანალიზი (ოპტიმიზაციის ძირითადი ასპექტები)	55
9. თბილისის კულტურული და ტურისტული გარე და შიდა რესურსული პოტენციალის ანალიზი ( <b>SWOT</b> )	57
10. დასკვნა – თბილისის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ძირითადი რეკომენდაციები და წინადადებები	66
10.1 თბილისი – ქალაქი-პალიმფსესტი	70
10.2 ძველი თბილისის კულტურა: მითოსი და კარნავალი	72
10.3 თბილისი – კულტურათა შეხვედრის ადგილი	73
10.4 სოცრეალიზმი და არაოფიციალური კულტურა	77
10.5 თბილისური გარეუბანი XXI საუკუნეში	78
10.6 თბილისის განახლებული კულტურული ფუნქცია	79
10.6.1 კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარება	82
10.6.2 თბილისი – რეგიონის კულტურული ცენტრი	86
10.7 თბილისი ტურისტული ქალაქი	90

10.8 მართვის სისტემის ოპტიმიზაციის ძირითადი ასპექტები	93
<b>11. დანართები</b>	98
11.1 დანართი №1	99
11.2 დანართი №2	141

## დანართები

### დანართი №1.

#### თბილისის კულტურის პოლიტიკის მონაცემები

1. მუნიციპალური კულტურული ადმინისტრაციის ისტორია 1945 წლის შემდეგ.
2. კომპეტენცია, გადაწყვეტილებების მიღება და ადმინისტრაცია
3. ქალაქის კულტურული პოლიტიკის ძირითადი მიზნები და პრიორიტეტები
4. კულტურის დაფინანსება
5. ქალაქის კულტურული ინფრასტრუქტურა
6. კულტურული პარტნიორობა, ინდუსტრიები, დასაქმება და ტრენინგები
7. ინფორმაცია და ICT
8. ქალაქის მოკლე მიმოხილვა

**დანართი №2.** თბილისში ჩამოსულ (ან გავლით მყოფ) მოგზაურთა, მეცნიერთა არასრული სია, რომლებმაც მრავალი საინტერესო მასალა დატოვეს საქართველოსა და თბილისის შესახებ:

## შესავალი

თბილისური კულტურისა და ტურიზმის კონცეფციის აქტუალობა

თბილისი საქართველოს დედაქალაქია და ამიტომაც ის განსაკუთრებული სიმბაფრით და ექსტრემალურად გამოხატავს ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ კულტურულ, კომუნალურ და სხვა ძალაუფლებათა მთელ კომპლექსს. შესაბამისად, თუ იმ ლოგიკით ვიხლმძღვნელებთ, რომ დედაქალაქი ძალაუფლებისა და კულტურის მაქსიმალური კონცენტრაციის ადგილია, ნათელი ხდება, რომ დედაქალაქის თავად უნდა განსაზღვროს თუ რა კულტურას მიუკუთვნება ის ტიპოლოგიურად, როგორი კულტურის შექმნის პროცესში იმყოფება და რ ოფორი უნდა იყოს მისი, როგორც დედაქალაქის, კულტურის სტრატეგია, შესაბამისად კი კულტურული ტურიზმის ფორმები და მეთოდები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქალაქს არა აქვს კულტურისა და ტურიზმის კონცეფცია და განვითარების სტრატეგიული გეგმა. უფრო მეტიც, იმ ქალაქებსაც კი, რომელთაც ასეთი კონცეფცია უკვე აქვთ, ეს უკანასკნელი მხოლოდ ბოლო პერიოდში შეიმუშავება. ხშირ შემთხვევაში, სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი კონცეფციის შემუშავების საკითხი რაიმე კერძო მოვლენასთან დაკავშირებით წამოიჭრება ხოლმე. მაგალითად, ბარსელონის შემთხვევაში ამგვარი მოვლენა 1992 წლის ოლიმპიური თამაშები აღმოჩნდა, ხოლო საკნტ-პეტერბურგისთვის – ქალაქის სამასი წლის იუბილე.

მაგრამ ჩვენში არსებული სპეციფიკური სიტუაციის გათვალისწინებით – ერთი მხრივ უახლოესი საბჭოური ისტორია თავისი მართვის მეთოდოლოგიით, რომელმაც დადი დაასვა თბილისის ურბანულ კულტურას, ამ საბჭოური გამოცდილებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება და მეტიც – დღემდე ინერციით მისი მეთოდოლოგიის გამოყენება, ან მეორე მხრივ ამ გამოცდილების არამიზანმიმართული უარყოფა და შემცვლელი მეთოდოლოგიის არ ქონა, პროცესების თვითდინებაზე მიშვება – განსაკუთრებით აქტუალური ხდება ურბანული კულტურის სფეროში მწყობრი ხედვისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბება, რამაც თავის მხრივ უნდა იმუშაოს როგორც არსებული მსოფლმხედველობრივი კრიზისის გადალახვაზე, ისე ურბანული კულტურის მართვის სწორი ტაქტიკის შემუშავებაზე.

აშკარაა, რომ უკანასკნელ ათწლეულზე მეტ პერიოდში ვერ ჩამოყალიბდა კონცეფცია ქალაქის კულტურის როგორიანობის თვალსაზრისით. 1990-ანი წლებიდან თითქოს დგება ე.წ. პოსტ-საბჭოური პოსტ-იდეოლოგიური პერიოდი, მაგრამ ის რაშიც ეს „პოსტ“ მდგომარეობა ჯერ-ჯერობით გამოიხატა, არის მოუგვარებლობა ყველა სფეროს პოლიტიკაში, იქნება ეს სამართლებრივი,

ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა, მათ შორის კულტურის, კულტურულ/ურბანული პოლიტიკაში და ამ ყველაფერში ერთობლივად, როგორც სჩანს მსოფლმხედველობრივი კრიზისი.

ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ ჩვენ აქამდე:

1. არ გაგვიცნობიერებია რა კულტურულ-ინტელექტუალურ-სამართლებრივი მემკვიდრეობა გვერგო უახლოესი საბჭოური პერიოდიდან, რა სახით, რა მიმართულებით აისახა იგი დედაქალაქზე;
2. არ გვიცდია ამ მემკვიდრეობის შეფასება; საბჭოური ფასეულობები და დამოკიდებულებები კვლავ მრავალწილად სახეზეა და ეს მეტისმეტად აშკარად აირეკლება ჩვენს ურბანულ კულტურაზე და ვიზუალურადაც შესაბამისად მკაფიოდ, მძაფრად იკითხება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პარალელურად ლოგიკურად განადგურდა ტურიზმი როგორც დარგი და დღეს იგი პრაქტიკულად ხელახლა ჩამოსაყალიბებელი, რაც თავის მხრივ კიდევ ერთხელ ადასტურებს კონცეფციისა და სტრატეგიის შექმნის აუცილებლობას.

ზოგადად თბილისის კულტურის მთავარი ნიშან-თვისება ამზარად შეიძლება აღიწეროს: ქალაქის კულტურის ყოველი ახალი ანუ მომდევნო ფენა წინას არ ებრძვის, არ ანგრევს, არ ანადგურებს, არამედ ებმის მას – სხვა კულტურათა წარმომადგელებიც კი თბილისს თვითონი კულტურის პოზიციებიდან კი არ გარდაქმნიდნენ, არამედ, თვითონ ქალაქის სპეციფიკან გამოძინარე ავრცობდნენ მას და ამით ემორჩილებოდნენ, ასე ვთქვათ, ქალაქის „ნებას“. ყურადსალებია, რომ თვით სოციალისტურ კულტურასაც კი რაიმე ძირული ცვლილებები ქალაქის ისტორიულ უძნებში არ გამოუწვევია (ეს რეალობაა, მაგრამ საკმაოდ სპეციფიკური მიზეზებით გამოწვეული). მაგრამ, ამასთანავე, სოციალისტურმა პერიოდმა მაინც პრინციპულად შეცვალა თბილისის არქიტექტურული სივრცე და თბილისური კულტურის ლანდშაფტი: თბილისმა, ისევე როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა რესტაურანტების დედაქალაქებმა, უკანასკნელი საუცნის მანილზე მძიმე პოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალური და კულტურული რყევები განიცადა. მრავალ ფაქტორთან ერთად ეს იმითაც გამოიხატა, რომ XX საუცნის 30-იანი წლებიდან თბილისის ფუნქცია მკეთრად და ხელოვნურად იცვლება – გამოიკვეთა თბილისის ინდუსტრიულ ქალაქად გარდაქმნის აშკარა ტენდენცია. შესაბამისად, დაიწყო მისი მასშტაბის ტერიტორიული და დემოგრაფიული მიმართულებით ზრდა, ქალაქგვერდითი და ქალაქმშენებლობის თვალსაზრისით გაჩნდა გიგანტიზმის აშკარა ნიშები, რასაც მოჰყა ქალაქის

ძველი (ისტორიული) და ახალი უბნების დეზინტეგრაცია, სოციალურ-კულტურულ-ტერიტორიული ურთიერთგამზევნა მითუმეტეს ტრანსპორტის ქსელის არაინტენსიური მუშაობის პირობებში; უკვე 1940-იანი წლების ბოლოდან ურბანულ გარეუბნებთან ერთად ქლაქის ცენტრში, მის შეაგულში მოქცეული ძველი ეჭ. შეა საუკუნეების თბილისის ნაწილის სოციალურ-კულტურული, შესაბამისად ურბანული სივრცის სოციალური მოწყობის თვალსაზრისით ფაქტობრივდ მარგინალურ უბნად გადაქცევა, მასში მოსახლეობის სიმჭიდროვის არნახული ზრდა, კომუნალური პირობების მკვეთრი გაუარესება, სოციალურ-ყოფითი კულტურის ფაქტობრივი მოსპობა და პროფანირება მოჰყვა.

ამგვარმა დამოკიდებულებამ განაპირობა უკვე 1970-აინი წლების მიწურულიდან ძველი თბილისის უბნის (ე.წ. შეა საუკუნეების ნაწილის) კულტურული პროფანირება, მისი ამორტიზირებული შენობების, არქიტექტურის არა რესტავრაციისა და რეაბილიტაციის პროცესის დაწყება, მძიმე მდგომარეობაში მყოფი მიწისქვეშა კომუნიკაციების ქსელის არა გაჯანსაღება და უბნის სოციალური მოწესრიგება, არამედ სივრცით-არქიტექტურული გარემოს ბურაფორიზაცია, მასობრივი საბჭოურ-იდეოლოგიზირებული დღესასწაულებისთვის ეგზოტიკურ ფონად ქცევა.

დაბოლოს თითქმის მთლიანად დესტრუქციულია ის, რაც უკანასკნელი თორმეტი წელიწადის (1992 – 2004წ.) განმავლობაში ხდება – ეს ეწინააღმდეგება არა ოდენ თბილისის ისტორიას, არამედ ქალაქის სულს ანუ genius loci-ს ნებას. ხდება ქაოტური და დამანგრეველი შექრა როგორც ძველ, ისე შედარებით ახალ უბნებსა თუ რეგიონებში – იქნება ეს ხარფუხი თუ მეიდანი, ვერე თუ სოლოლაკი, ვაკე თუ საბურთალო. საქმე მხოლოდ ის კი არაა, რომ, ძირითადად, შენდება ცუდი არქიტექტურა, არამედ ის, რომ ინგრევა ქალაქის ურბანულ-არქიტექტურული სივრცე, ნადგურდება ქალაქური კულტურის რელიეფი, ქრება ქალაქის სული. ადექვატურად იკარგება ის დირებულებითი ორიენტირები, რომელთა გამოც ქვეყნის დედაქალაქი ევრაზიური სივრცის უაღრესად საინტერესო (გარდამავალი, სატრანზიტო) ტურისტული ობიექტი გარკვეულწილად იყო და შეიძლება კვლავაც გახდეს.

## კონცეფციის ამოცანები

თბილისი, როგორც ნებისმიერი ქალაქი, გარკვეული კულტურის ნაწყოფია, მაგრამ, მეორე მხრივ, თავად ქალაქი განაპირობებს კულტურის ხასიათს. ქალაქი ქმნადი მთლიანობაა, ის წარმოადგენს გაერთიანებას, დაფუძნებულს განსხვავებულობასა და ინტერესთა მრავალფეროვნებაზე და არა ისეთ ერთიანობას, რომელიც მსგავსებასა და ინტერესთა კოლექტიურ თანხვედრას ემყარება (რისი სამწუხარო გამოცდილებაც ჩვენ საბჭოთა პერიოდმა უკვე მოგვცა). შესაბამისად, ერთი მხრივ, აუცილებელია ქალაქის კულტურული მეხსიერების რეკონსტრუქცია, ხოლო, მეორე მხრივ, გადაუდებელი ამოცანაა სიახლეთა დანერგვა. ამიტომაც, თბილისური კულტურისა და ტურიზმის კონცეფციამ უნდა აჩვენოს, არა ოდენ ის, თუ რა მიმართულებით უნდა ხდებოდეს ქალაქური კულტურის განვითარება (1), არამედ, იმავდროულად, თუ რისი გადარჩენა და აღდგენა შეიძლება დღეს (2). მეორე მხრივ როგორ შეიძლება მათი ადგევატური ლირებულების მქონე ტურისტულ პროდუქტად (ტურისტულ მარშრუტებად) ჩამოყალიბება, რათა აქედან მიღებულმა შემოსავლებმა თვითონ მოახდინონ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-აღდგენისა და ადაპტაციის პროგრამის რეალიზაცია (რეინვესტირება).

## კონცეფციის მეთოდოლოგია

ქალაქის კულტურისა და ტურიზმის კონცეფციის შემუშავება ინტერდისციპლინარულ მუშაობას მოითხოვს, ანუ ყველა იმ სფეროთა თანამონაწილეობას, რომელიც კი ჩართულია ერთიანი ურბანული კულტურის შექმნისა და მისი მიზნობრივი გამოყენების პროცესში.

მოცემული კონცეფციის მეთოდოლოგია ისტორიულ-ფენომენოლოგიურია, რაც გულისხმობს თბილისური კულტურის ყველა შრის „შინაგან“ (იმანენტურ) ანალიზს, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ორგანულ ჩართვას ქალაქის კულტურის განვითარების სტრატეგიაში.

ამისათვის მიზანშეწონილი იქნება გამოვყოთ ის სამი ძირითადი კატეგორია-ფენა, რისგანაც ყალიბდება ურბანული კულტურა და ამ სამი მიმართულებით გადავხედოთ ქალაქს:

1. თანამედროვე-თანადროული კულტურის ფენა, ანუ ის, რაც აქ და ახლა არსებობს;

2. კულტურა-ჩანაწერის ფენა, ანუ ის, რაც შპგე შექმნილია;

3. კულტურის სელექციური ფენა

ეს უკანასკნელი თანამედროვე-თანადროულისა და ჩანაწერის მუდმივ გადარჩევას, მიღებასა და უარყოფას, ძველისა და ახლის ურთიერთდაკავშირებას ახდენს და თანაარსებობას განაპირობებს, აყალიბებს რა ურბანულ კონტექსტს, რომელიც ასევე პროცესთანაა დაკავშირებული და კორექტირების ფუნქციას იღებს საკუთარ თავზე. ეს მიღვომა განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენს შემთხვევაში, თუნდაც თბილისის ქალაქმშენებლობითი და ქალაქგეგმარებითი ისტორიის თავისებურების გამო.

ამ მხრივ საინტერესო მაგალითია თბილისის ქალაქმშენებლობის ტრადიცია - ძველი, შუა საუკუნეების ქალაქმშენებლობითი ფენა ჩვენ არ შემოგვრჩა საკულტო ნაგებობების გარდა, რადგან იგი XVII საუკუნეში გადაიწვა. მაგრამ მისი აღდგენა მოხდა სრულიად თავისებურად – სრული სიზუსტით იყო შენარჩუნებული ძველი გეგმარება, ქუჩების მოყვანილობა, განაშენიანების სიხშირე და მასშტაბი; ბუნებრივია, შენარჩუნდა ძველი დომინანტები და ძირითადი ორიენტაციები. შესაბამისად, შუა საუკუნეების ქალაქზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ შენარჩუნებული გეგმარებისა და სხვადასხვა სახისა და ტიპის (აღწერილობები, მოგონებები, ჩანახატები და სხვ.) დოკუმენტური მასალების საფუძველზე.

ამდენად ურბანულმა კულტურამ, როდესაც მას მოუხდა გადამწვარი ქალაქის რეაბილიტაცია, სელექციური პროცესი ჩაატარა – აიღო ძველისგან ის რაც მას, გამომდინარე სოციალური მოთხოვნებიდან, ჯერ კიდევ არსებული ცხოვრების შუა საუკუნეებრივი წესიდან სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდა, გაითვალისწინა რა ბუნებრივი პირობები – ლანდშაფტისა და ნიადაგის თავისებურება; ხოლო შეცვალა ის, რაც მას შპგ შემოღწეულმა ახალი ცხოვრების წესმა უკარნახა.

უპირველეს ყოვლისა შეიცვალა საცხოვრებლის ტიპი, გაჩნდა ეწ. თბილისური სახლი, რომელმაც შეანაცვლა ტრადიციული ბანიანი საცხოვრებელი და რომელიც თავისი გეგმარებითი და კულტურულ-კომუნიკაციური პრინციპით, თავისი ტიპით, შესაძლებელია საფუძვლადაც კი დაედოს თბილისის ურბანული კულტურის ტიპოლოგიურ განსაზღვრას, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი იქნება თავად კულტურის სტრატეგიის სწორი მიმართულების შექმნისთვისაც.

თბილისური სახლი, როგორც კულტურის გამოხატულება, აშკარად მეტყველებს ქალაქის (როგორც თავად ქვეყნის) კულტურის ორიენტაციის შეცვლაზე – ფაქტია, რომ ევროპულ-ბურჟუაზიულ ტიპს აღარ ესაჭიროება საცხოვრებელი, რომელიც იმავდროულად საბძოლო-თავდაცვითი ფუნქციის მატარებელი იყო. თბილისის ე.წ. შეა საუკუნეების ნაწილის ახალი ვერსია ბანის მაგიერ ხის აივანს გვთავაზობს.

ყოველ შემთხვევაში ჩვენმა ქალაქურმა კულტურამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად სრული განადგურებისა, მან პრინციპულად სელექციასა და სტრუქტურული რეკონსტრუქციის მეთოდს მიმართა და ამით ტრადიციის უწყვეტობასა და მის ფასეულობას გაუსვა ხაზი. თუმცა მეორე მხრივ სწორედ სელექციურმა მეთოდმა განაპირობა სტრუქტურული ტრადიციის დაცვის ფარგლებში თანამედროვეობისათვის აქტუალური, ახალი კონსტრუქციული ტიპისა და ფუნქციის მქონე საცხოვრებელი სახლის შექმნა.

ამასთან ერთად ისიც მნიშვნელოვანია (თუმცა მეორე მხრივ ლოგიკურიც, რადგან არსებული ლანდშაფტისა და რელიეფის პირობებში მხოლოდ ეს გზა იყო შესაძლებელი), რომ უკვე მოგვიანებით (XIX ს-ში) ადდგენილი ქალაქის ნაწილი (ე.წ. შეა საუკუნეების) თითქმის ხელშეუხებლად იქნა დატოვებული მასში ყოველგვარი არქიტექტურული ჩარევების გარეშე. ქალაქის ტერიტორიული, მასშტაბური და ამასათან ერთად თავად სახლების სართულიანობის ზრდა და ახალი ტიპის ქალაქის (გეგმარების თვალსაზრისით) მშენებლობა გალავნის მიღმა ტერიტორიებზე განხორციელდა (მარჯვენა სანაპირო - სოლოლაკი, მთაწმინდა, შემდეგ ვერე; მარცხენა სანაპირო – ვორონცოვის მხარე, შემდეგ ნაძალადევი და დიდუბე).

აქედან ლოგიკური ხდება, თუ რატომ ვუწოდებთ ჩვენ ქალაქს ერთი მხრივ ქალაქ - პალიმფსესტს, მეორე მხრივ – ლინეარულს.

## სიტუაციის ანალიზი: თბილისური კულტურის შრეები

თბ(ტფ)ილისური კულტურა რამდენიმე შრედ ნაწევრდება. ეს შრეები დღესაც მეტნაკლებად ჯერ კიდევ ცოცხალ რეალობას წარმოადგენს, რის გამოც თბილისს შეგვიძლია ვუწოდოთ ქალაქი-პალიმფსესტი.

თბილისი არ მიეკუთვნება ე.წ. რეგულარული ქალაქების რიცხვს, ის ტიპური ლინეარული ქალაქია, სადაც ახალი კულტურული ფენა ძველს კი არ ანადგურებს, არამედ უშუალოდ ებმის მას. სწორედ ამის გამო, თბილისს აქვს რამდენიმე კულტურული ცენტრი (ამის შესახებ იხ.: თუნდაც ხელოვნებადმცოდნე დიმიტრი თუმანიშვილის სტატიები).

**თბილისის ახალი ისტორიაში ძველისა და ახლის დიფუზიის ყველაზე მკაფიო და თვალსაჩინო გამოხატულებაა ე.წ. თბილისური მოდერნიზმი (ხელოვნებასა და ლიტერატურაში), სადაც შერწყმულია წარსული და თანამედროვეობა, ტრადიცია და ნოვაცია – ნიკო ფიროსმანაშვილის, ქმები ილია და კირილე ზდანევიჩების, დავით კაკაბაძის და სხვათა შემოქმედება.**

**თბილისური კულტურა გამოირჩევა თავისი „პოლიფონიური“ ხასიათით, რაც ნიშნავს კულტურებისა და სუბკულტურების არა უბრალო თანაარსებობას, არამედ მათ დიფუზიასა და დიალოგს.**

**თბილისური კულტურა ქართული კულტურისაგან, უპირველეს ყოვლისა, თავისი კარნავალური ხასიათით განსხვავდება (აქ იგულისხმება არა იმდენად შესაბამისი კარნავალური რიტუალები, რამდენადაც თვითონ თბილისური კულტურის ტექსტების „კარნავალურობა“). კარნავალურობა, განსაზღვრების თანახმად, გულისხმობს „მაღალისა“ და „მდაბიურის“ ამოყირავებას, „ზედა“ და „ქვედა“ სივრცეების ადგილშენაცვლებას.**

როდესაც თბილისური კულტურისა და ტურიზმის კონცეფციაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს ნიშან-თვისებები, რამდენადაც პირველი მეორეს აძლევს სწორედ იმ საზრდოს, რაზეც უნდა აღმოცენდეს და განვითარდეს დარგი; ხოლო ტურიზმი კულტურას უბრუნებს (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) როგორც მატერიალურ (ფინანსურ) ღირებულებას, ასევე აყალიბებს კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის შესაბამის პრინციპებს.

აუცილებელი განმარტება: თბილისური კულტურა, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, ქართული კულტურის ნაწილია, მაგრამ, მეორე მხრივ, ესაა მულტიკულტურული ფენომენი, სადაც მრავალი სხვადასხვა კულტურა ხვდება და ერწყმის ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია წინასწარ განვმარტოთ შემდეგი: ქართული კულტურა და თბილისური კულტურა ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა – ასე მაგალითად, გაბრიელ სუნდუკიანის დრამატურგია, რა თქმა უნდა, თბილისურ კულტურას მიეკუთვნება, მაგრამ ის არ არის, პირდაპირი აზრით, ქართული კულტურის ნაწილი. მეორე მხრივ, ბევრი კულტურული ინსტიტუცია, რომელიც თბილისში იმყოფება (ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველისა თუ მარჯანიშვილის თეატრები და ა.შ.), საზოგადოდ, ქართულ კულტურას ეკუთვნის და არა – ოდენ თბილისურს. იგივე ითქმის ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრ ფენომენზე.

ამიტომაც ჩვენ საკუთრივ თბილისური კულტურის ნაწილად მიგვაჩნია:

1. თბილისის არქიტექტურა და ქალაქის კულტურული ლანდშაფტი;
2. მულტიკულტურული ჰიბრიდიზმის ისეთი ფენომენები, როგორებიცაა – თბილისის აშუდური პოეზია და მუსიკა, მათ შორის – საიათნოვას პოეზია, გაბრიელ სუნდუკიანისა თუ მირზა ფათალი ახუნდოვის შემოქმედება, ფუტურისტული ჯგუფების მოღვაწეობა, სერგო ფარაჯანოვის კინემატოგრაფი, ბაშბეუკ-მელიქოვის, ლადო გუდიაშვილის, ავთო ვარაზის და სხვათა მხატვრობა და ა.შ.
3. ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთი ფენომენები, რომლებიც მიეკუთვნება როგორც თბილისურ, ისე ქართულ კულტურას: ეწ. თბილისური სკოლის პორტრეტი, გრიგოლ ორბელიანის პოეზიის გარკვეული ნაწილი, იოსებ გრიშაშვილის შემოქმედება, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების კულტურულ-სოციალური დუალიზმი „რუსთაველისა“ და „პლეხანოვის“ კულტურული დიქტომიის ჭრილში; ეწ. „თბილისური ესტრადა“ და ა.შ.
4. თბილისური კულტურულ-სოციალური კლიშეები და ქცევის სტერეოტიპები, რომლებიც სხვასხვა სუბკულტურებში სხვადსხვანაირად მკლავნდება და ა.შ.

აქედან გამომდინარე, თუ რაიმე მნიშვნელოვან კულტურულ ფენომენზე ჩვენ უურადღებას არ ვამახვილებთ ან საერთოდ არ ვსაუბრობთ, ჩვენ ის ზოგადქართულ ფენომენად მიგვაჩნია, რომელიც ისევე ეპუთვნის თბილისს, როგორც მთელ „დანარჩენ“ საქართველოს – მაგალითისათვის, განსხვავებით იოსებ გრიშაშვილის პოეზიის დიდი ნაწილისაგან, რომელიც ერთდროულად თბილისურიც არის და ქართულიც, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში საკუთრივ „თბილისურის“ გამოყოფა რელევანტურია ოდენ წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით. ამიტომაც, ჩვენ ასეთ მოვლენებს სპეციალურად არ ვეხებით.

### **ტფ(თბ)ილისური კულტურის უძველესი შრე (ქალაქის დაარსებიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე)**

თბილისის უძველესი კულტურის ცენტრი, რაღა თქმა უნდა, აბანოა, რომელსაც უკავშირდება ქალაქის დაარსების მითოსი. მოგზაურთა თუ ქალაქის სტუმართა უდიდესი ნაწილისათვის თბილისის სპეციფიკური ნიშანი სწორედ აბანო იყო უძველესი დროიდან დაწყებული და პუშკინით თუ კნუტ ჰამსუნით დამთავრებული. გრიგოლ რობაქიძე (1880 – 1962) აღნიშნავდა, რომ „თბილისი აბანოთი იწყება და აბანოთი მთავრდება“. ეს, გარკვეულწილად, ასეც არის – ქალაქი „იწყება“ დაარსების ცნობილი ლეგენდით, რომელიც სამკურნალო თბილ წყლებს უკავშირდება (აქედანაა, ქალაქის სახელწოდებაც – ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით), ხოლო ძველი პერიოდი მთავრდება თბილისის საბოლოო კატასტროფით, როდესაც აღა-მაჭმად-ხანმა ქალაქი მთლიანად გადაწვა (1795 წ.). საგულიხმოა, რომ დამპურობლის ამგვარი რისხვა, უკვე სხვა ლეგენდის თანახმად, ასევე აბანოს უკავშირდება.

XVIII საუკუნის დასასრულისათვის, სიტყვიერების („ლიტერატურული დეოლოგიური“) ისტორიის თვალსაზრისით, ქართული კულტურაში შეიძლება ხუთი კულტურა გამოიყოს:

1. არისტოკრატიის ფეოდალური კულტურა, რომლის ცენტრალური ტექსტები იყო კეფხისტყაოსანი და როსტომიანი.

2. ფეოდალური სოფლის ანუ გლეხური კულტურა – ბარის ზეპირი (ორალური) კულტურა (ზეპირი როსტომიანი და ტარიელიანი, უთერიანი, არსენას ლექსი, ამირანი და სხვ.)
3. მთის ზეპირი (ორალური) კულტურა თავისი მითოსური გადმოცემებითა (ანდრეზებით) და ფოლკლორით („მთის პოეზია“ და მისი ჟანრები – კაფია, ხმით ნატირალები და ა.შ.)
4. ქალაქური პლების ანუ საკუთრივ ტფ(თბ)ილისური კულტურა (ავანტიურისტული რომანი – ყარამანიანი და სხვა; აშულების პოეზია, ცენტრალური ავტორი – საიათნოვა)
5. საეკლესიო კულტურა (აგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, საეკლესიო ისტორიოგრაფია და ა.შ.)

ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით, ასეთი სურათი გვაქვს:

1. არისტოკრატიული ფეოდალური კულტურა – ფეოდალური სასახლე და ციხე-სიმაგრე. სამწუხაროდ, პირველის თვალსაზრისით მაგალითი ოდენ ერეკლე II ცნობილი სასახლეა ქალაქ თელავში, სხვა ნიმუშები არ შემოგვრჩა (მათზე საუბარი მხოლოდ ძველი პერიოდის სხვადასხვა ტექსტებში არსებული აღწერებითა და ჩანახატებითაა შესაძლებელი).
2. ფეოდალური სოფლის ანუ გლეხური კულტურა – ე.წ. დარბაზი, ბარის სოფლის ე.წ. აივნიანი და ბანიანი სახლი, ასევე მეგრული ოდა.
3. მთის კულტურა – ხევსურული და სვანური კოშკები, სახლები; თუშური ფარდაგი და თექა.
4. ქალაქური კულტურა – ქალაქი სიდნაღი, „ტფილისური სახლი“ (რეკონსტრუქცია).
5. საეკლესიო კულტურა – საეკლესიო არქიტექტურა, რომელიც ყველაზე თვალსაზრისით შემორჩენილი.

XIX საუკუნეში იწყება ქართული ნაციონალური ანუ პოსტფეოდალური (გარკვეულად – პოსტმონარქისტული) კულტურის ჩამოყალიბება. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში არისტოკრატიული, ბარის ორალური და საეკლესიო კულტურები „ახალი ინტელექტუალების“ („თერგდალეულების“ და სხვ.) თაოსნობით „ერწყმის“ ერთურთს და ყალიბდება ქართული ნაციონალური კულტურა. ამ უკანასკნელის

თვალთახედვით, ტფ(თბ)ილისური კულტურა სულაც არ წამოადგენს ქართული კულტურის ნაწილს.

### ტფ(თბ)ილისური კულტურის იმპერიული შრე (1801 – 1917წწ.)

XIX საუკუნე, გარკვეულწილად, ესაა „ტფ(თბ)ილისური“ ანუ „მდაბიო“ და ქართული ანუ „მაღალი“ კულტურების დაპირისპირებისა და დუალიზმის საუკუნე. ვახტანგ ორბელიანის (1812 – 1890) ლექსში პოეტის ქრესტომათიული სახითაა ნაჩვენები სწორედ ეს დაპირისპირება და ოპოზიცია: „მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა, კინტოთ კილო, / კილო შეა-ბაზრისა...“ მაშასადამე, ტფ(თბ)ილისურ კულტურას – „მუხამბაზის კილოს“ – უპირისპირდება „რუსთაველის კილო“, რომელიც ქართულ კულტურას აღნიშნავს („მე მომეცი კილო რუსთაველისა, / გაფურჩვნილი, ვით ყვავილი ველისა...“). მოცემულ ტექსტში გამოსჭვივის არა ოდენ ფეოდალური (არისტოკრატიულ-გლეხური) კულტურის წარმომადგენლის მწარე ირონია ქალაქური პლებსის (ბურჟუაზიისა და ვაჭარ-ხელოსანთა) მიმართ, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, „მაღალი“ ქართული კულტურის უპირატესობა და აღმატებულება „მდაბიო“ თბილისურ კულტურასთან მიმართებაში.

„რუსთაველის კილოსა“ და „მუხამბაზის კილოს“ – ქართული და ტფ(თბ)ილისური კულტურების ამ დაპირისპირების მოხსნა იეთიმ-გურჯიდან მაინც იწყება (თუ უფრო ადრე ჰაზირიდან არა), რომელიც საკუთარ თავს „რუსთაველის შვილობილად და მეორე საიათნავად“ მიიჩნევს და იოსებ გრიშაშვილის პოეზიასა და პროზაში საბოლოოდ მთავრდება.

XX საუკუნის დასაწყისითვის ტფილისში უკვე არსებობს მინიმუმ ოთხი კულტურა: იმპერიული, ევროპული, „ტფილისური“ და ქართული. როგორც აღინიშნა XIX საუკუნიდან თბილისი, როგორც დედაქალაქი და ზოგადად ქალაქი არა მარტო თბილისური, არამედ ქართული ნაციონალური კულტურის კერა ხდება. აქედან გამომდინარე საინტერესოა თუ როგორ იცვლება თბილისის ფუნქცია და მისდამი დამოკიდებულება დროთა განმავლობაში: რიგი ევროპული ქალაქებისაგან და რაც მთავარია დედაქალაქებისაგან განსხვავებით, თბილისი დიდხანს რჩება ე.წ. შეა საუკუნეების ტიპის ქალაქად რომელიც საბრძოლო სტრატეგიული ფუნქციის ქონის გარდა საგაჭრო და ხელოსნობის ცენტრს წარმოადგენს და შესაბამისად, მდაბიური, „დაბალი“ კულტურის შრის შემქმნელია, რომელიც რეალურად არ

განსაზღვრავს ზოგადად ქართულ კულტურას. ამიტომაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქალაქის როლის ზრდასთან ერთად, რაც უპირველეს ყოვლისა ქალაქში მთელი ქვეყნის (გუბერნიის) ადმინისტრაციული მმართველობის ცენტრალიზაციამ განაპირობა, ქალაქში ქართველი არისტოკრატიის რეზიდენციების გაჩენასთან, თანდათანობით ე.წ. ნასწავლი, საუნივერსიტეტო განათლების მქონე საზოგადოების ფენის ჩამოყალიბებასთან ერთად, ბუნებრივია, წარმოჩინდება არსებული განშრევება კულტურებს (ქალაქურ-მდაბიურსა და აქამდე წამყვან ფეოდალურ-არისტოკრატიულს) შორის და აღნიშნული ერთგვარი დისტანციებული და ქედმაფლურ-დამცინავი დამოკიდებულება მდაბიურ-ქალაქურისადმი. ეს იმას მოწმობს, რომ ეს ორი კულტურა ერთმანეთს გამიჯნულია და ჯერ არ არსებობს ქალაქური კულტურა, რომელიც იგივე იქნება რაც ნაციონალური კულტურა. მასში ჯერ კიდევ მდაბიური ფენაა წამყვანი, შესაბამისად მისი თანამედროვეებისთვის ქალაქური მდაბიურთან იგივდება. XIX საუკუნის შუახანებიდან სწორედ ქალაქი ხდება ნაციონალურ-ევროპული კულტურის შემქმნელიცა და მატარებელიც; ანუ სახეზეა კულტურის კონცენტრაცია ქალაქად და მისი ერთგვარი ცენტრალიზაცია; შესაბამისად კულტურათა განშრევებისა და იერარქიზაციის ახალი ფორმის გაჩენა – ერთი მხრივ ქალაქური/პროვინციულის, მეორე მხრივ თავად ქალაქის ფარგლებში მაღალი/დაბალი კულტურების სახით. ეს ნიშნავს, რომ მდაბიური კულტურა განაგრძობს არსებობას, ინარჩუნებს ტრადიციულ ფორმას, მაგრამ უკვე განზე დგება, აღარ წარმოადგენს რა ქალაქის კულტურის ხასიათისა და არსის, მისი მოძრაობის ცოცხალ ელემენტს. შესაბამისადვე, ინტელექტუალური და კულტურულ-სახელოვნებო ცენტრი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე ირონიულ და გარკვეულწილად ანალიტიკურ დამოკიდებულებასაც კი ავლენს მისდამი, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენისადმი. ქალაქური ევროპული ორიენტაციის განსწავლული კულტურა ხდება ლიდერი და ფაქტობრივად წარმოადგენს როგორც ქალაქის, ისე ზოგადად ქართულ კულტურას.)

1. საკუთრივ „ტფილისური კულტურა“ არის ის, რაც ასე დაწვრილებით აღწერა იოსებ გრიშაშვილმა თავის ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში და რომელიც უკვე XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის „არქაულსა“ და „ეგზოტიკურ“ ფენომენს წარმოადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ტფილისური კულტურა“, თავის მხრივ, რელიგიური თუ ეთნიკური ნიშნით რამდენიმე სუბკულტურად იყოფა. ესენია – სომხური,

ისლამური, იუდაისტურ-ებრაული, ასირიული, იეზიდური და ა.შ. სუბკულტურები.

2. „იმპერიული კულტურა“ ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულსა და სამხედრო ელემენტს, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, განათლების შესაბამის ინფრასტრუქტურას, რომელსაც, აქვთ შევნიშნავთ, ძირითადად გერმანული მოდელი უდევს საფუძვლად.
3. „ევროპული კულტურა“ ისაა, რასაც დღეს „დასავლურს“ ვუწოდებთ, მაგრამ, აქვე უნდა განვათავსოთ ევროპულ უმცირესობათა (გერმანელები, პოლონელები და სხვ.) სუბკულტურები.
4. რაც შეეხება ქართულ კულტურას, ცხადია, რომ ამ პერიოდისათვის „ოერგდალეულთა“ და, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძის მეცადინეობით, უკვე არსებობს ის, რასაც შეიძლება „ქართული ნაციონალური კულტურა“ ვუწოდოთ. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ახალი კულტურა, გარკვეული აზრით, არისტოკრატიული, „ხალხური“ (ბარის ორალური) და საეკლესიო კულტურების სინთეზს წამოადგენს, რომლის ძირითადი სუბიქტი არის ქართველი ერი. ამავე დროს ამ ნაწილთა შემკვრელი უკვე დასავლური (ევროპული) ტიპის კულტურაა, ანუ ეწ. ქართული ნაციონალური კულტურა, მთელი თავისი სტრუქტურით, წყობითა და ფაქტობრივად შიდა სისტემით, ევროპული კულტურის მოდელს მიჰყვება. მხოლოდ ამ მოდელის ფარგლებში ხდება შესაძლებელი „ქართულ ნაციონალურ კულტურად“ გაფორმება და მისი ასეთად მოხსენიება; მეტიც, ეს პროცესი კულტურულ-ისტორიულად ცნობიერ, მიზანმიმართულ პროცესად წარმოსდგება.

მოვიხმოთ მაგალითად თუნდაც მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნება და მასში ეწ. „ეროვნული ფორმის“, „ტრადიციის უწყვეტობის“ ანუ იდენტურობის გამოვლენისა და შენარჩუნების ერთ მთავარ, როგორც მხატვრულ, ისე თეორიულ პრობლემად არსებობა და მისი მნიშვნელოვნება. ეს პრობლემა დგება სწორედ მაშინ, როდესაც საქართველო ევროპულ ორიენტაციაზე გადადის, ანუ, როგორც ჩანს, მაშინ, როდესაც, რომ არაფერი ვთქვათ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ იდენტურობაზე, კულტურული იდენტურობა კრიზისის მდგომარეობაში აღმოჩნდება; ტიპოლოგიურად შეცვლილი კულტურა, რომელსაც ეს პრობლემა უწინ არ ედგა, თვით-რეფლექსირების, თავის თავის გაცნობიერების მოთხოვნილების წინაშე

დგება. ეს მთელი სიაშპარავით XIX საუკუნის დასაწყისშივე გამოვლინდება. ერთი მხრივ, ეს ქართული კულტურის შიდა პრობლემად წარმოსდგება, მეორე მხრივ იგი ევროპული ორიენტაციისადმი არა თუ ნეიტრალური მიმართების ან დაპირისპირების, არამედ პირიქით, მისი სრულად მიღების, შესაბამისად მისი პრობლემატიკის სრული გათავისების შედეგიცაა, რამდენადაც იგი ევროპულ ორიენტაციას მისივე იდენტურობის კრიზისთან ერთად ტიპოლოგიურად სრულად იღებს და თავის კულტურულ, შესაბამისად, მხატვრულ, თეორიულ პრობლემადაც აქცევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტფილის როგორც ქალაქი ზოგადად და როგორც დედაქალაქი, ნელ-ნელა ხდება ქართული კულტურის ცენტრი – აქ არსდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება და სხვ. ქართული კულტურული ცენტრები, რაც, საბოლოოდ, 1918 წელს უნივერსიტეტის დაარსებით გვირგვინდება.

ამ პროცესში განუსაზღვრელია პროფესიული ქართული თეატრის მნიშვნელობა; ჩამოყალიბების პროცესში მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად (დავით მაჩაბლის პირველ ქართული დასი (1791-1795 წ.წ.) აღა-მაჭად-ხანის შემოსევის დროს ბრძოლის ველზე განადგურდა; ნახევარსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ გიორგი ერისთავის მიერ შექმნილი პროფესიული თეატრი (1850-1856წ.) დაიხურა, და მხოლოდ 1879 წელს, „დრამატული კომიტეტის“ ძალისხმევით აღსდგა) მან უდიდესი როლი შეასრულა ქართული ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალბებაში, რუსეთის ცარიზმის პირობებში ქართული ენის განვითარებასა და მის საჯაროდ გამოყენების საქმეში, და შესაბამისად წარმოადგენდა ზოგადნაციონალურ კულტურულ ფენომენს.

თეატრში გამოიკვეთა ერთიანი ქართულ-ნაციონალური და თბილისური ქალაქური კულტურისათვის დამახასიათებელი ტენდენციები. ჰეროიკულ-რომანტიული სტილის სპექტაკლები რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული ნაციონალურ-გამანთავისუფლებელ იდეას ატარებდა, ხოლო თბილისური ცხოვრება სცენაზე კომედიისა თუ ფარსის ფორმით თვალსაჩინოვდებოდა. სოციალურ დრამაში რეალისტური მიმდინარეობის თეატრში თავის გამოხატულებას პოვებდა ქალაქურ-მდაბიური და ქართულ-არისტოკრატიული კულტურების დაპირისპირება, ქართულ-სომხური დიქოტომია.

ამასთანავე ქალაქური თეატრალური კულტურის განვითარებაში დიდ როლს თამაშობდნენ სხვა სუბკულტურებიც, მაგალითად თბილისური სომხური თეატრალური კულტურა (დრამატურგი გაბრიელ სუნდუკიანი), რომელიც გადაიქცა თბილისური კულტურის ორგანულ ნაწილად.

XIX ს-ის თეატრალურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანებია ევროპული (იტალიური ოპერა) და რუსული საბალეტო და დრამატული დასები (რუსული თეატრი - ამჟამად ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული თეატრი დაარსდა ქართულზე 5 წლით ადრე - 1845 წელს).

ამდენად „ევროპული“ კულტურის დამკვიდრება და ამ პროცესში ქართული ინტელექტუალური ძალების გაერთიანებაც განსაკუთრებით სწორედ თეატრთან მიმართებაში იკვეთება (საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის ძალისხმევა ქართული თეატრის განვითარების საქმეში).

აუცილებელი განმარტება: ჩვენ მივიჩნევთ, რომ ქართული კულტურა და ევროპული კულტურა ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც ნაწილი – მთელს, ანუ ქართული კულტურა ევროპული კულტურის ნაწილია. ეს კარგად ჩანს როგორც კულტურული დეოლოგიურ მიმდინარეობათა შედარების დროს, ისე სალიტერატურო და ხელოვნების სტილთა ანალიზისას. XIX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე საქართველოში არსებობდა და არსებობს ყველა ის სტილი და მიმართულება, რაც ზოგადევროპული კულტურისთვისაა ნიშანდობლივი (კლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი). ამრიგად, ტიპოლოგიურად ქართული კულტურა ევროპულ კულტურას მიეკუთვნება. ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, თვალსაჩინო ხდება იმაშიც, რომ XIX საუკუნიდან ქალაქი, როგორც ასეთი (თბილისი, გარევეულწილად სხვა ქალაქებთან ერთად), ხდება ნაციონალური კულტურის შემქმნელი და განმსაზღვრელი. ურბანული კულტურა თანდათანობით იწყებს თანხვედრას ნაციონალურ კულტურასთან და უკვე სადღაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში იქცევა მის განმსაზღვრელადაც; ანუ ქალაქი ქმნის და წარმართავს კულტურას.

შესაბამისად, „ევროპულისა“ და „ქართულის“ გამოყოფა ჩვენს ანალიზში საჭიროა მხოლოდ მეთოდოლოგიური გამარტივების მიზნით – ანუ იმ ფაქტის საჩვენებლად, რომ ქართული კულტურის გარდა თბილისში ევროპული კულტურის სხვა წარმომადგენლებიც არსებობენ – გერმანული, პოლონური და ა.შ. კულტურები, რომლებიც ისევე არიან ევროპული კულტურის ნაწილი, როგორც

ქართული კულტურა, მაგრამ, განსხვავებით ქართული კულტურისაგან, ისინი, ამავე დროს, თბილისურ სუბკულტურებს წარმოადგენენ.

### **2.3. თბილისური მოდერნიზმი (XX საუკუნის პირველი მეოთხედი)**

უკვე მოდერნისტულ პერიოდში დამოკიდებულება ტფ(თბ)ილისური დაბალი კულტურისადმი კვლავ იცვლება – იგი ერთი მხრივ იქცევა ქალაქური, უკვე კვდომის გზაზე მდგარი ეგზოტიკური კულტურის ფენად, მეორე მხრივ გარკვეულწილად დრამატული ნიშნის მქონეც კია (მაგალითად ლადო გუდიაშვილის ხელოვნება). ყოველ შემთხვევაში, მისდამი დამოკიდებულება ისტორიულ-ესთეტიკურ ხასიათს იძენს და ესთეტიკურად შეფასება-დაფასების ობიექტი ხდება რაც კულტურის დეიერარქიზაციას, კულტურის პორიზონტალურად განფენის ფაქტს მოწმობს (ამიტომაა, რომ სწორედ მოდერნიზმი აღმოჩენს და დააფასებს ფიროსმანიშვილის მხატვრობას).

საუკუნის დასაწყისშივე თბილისის კულტურულ ლანდშაფტში მკვეთრად დომინირებს მულტიკულტურული დიალოგი, განუმეორებელი თბილისური კონკივიალობა (ადამიანურ ურთიერთობათა დიაობა, სითბო). დედაქალაქს სტუმრობენ ევროპელი და რუსი არქიტექტორები, მხატვრები, არტისტები. მაგალითად, სუდეიკინი, კრუხიონის, ბურლიუკები ; 1904 წელს ჩამოდის გ. მეერხოლდი და დგამს თავის საეტაპო სიმბოლისტურ სპექტალებს; მიუხედავად ამისა, მისი ნოვაციები ჯერ ვერ პოვებენ გამოძახილს ქართულ თეატრში (ის ნატურალიზმისა და რეალიზმის ფაზაში იმყოფება).

საინტერესოა კულტურის პოლიტიკის დეცენტრილზაციის გარკვეული ელემენტები. დედაქალაქის თვითმმართველობა აქტიურ დემოკრატიულ კულტურულ პოლიტიკას ახორციელებს – 1910 წელს დაარსებული პირველი „მუნიციპალური მუზეუმის“ (დღეს ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი – „ქარვასლა“) შექმნას მოყვება „ავჭალის მუშათა თეატრის“ დაარსება.

1922 წ. რუსეთიდან ბრუნდება უკვე სახელმოხვეჭილი რეჟისორი პ. მარჯანიშვილი და თეატრში იწყება ახალი ეპოქა. კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი პაექრობა უდიდეს ზეგავლენას ახდენს თბილისის კულტურის შემდგომ განვითარებაზე. რუსთაველის თეატრის სახით

იკვეთება თეატრი-ლიდერი, რომელიც ზოგადნაციონალურ მასშტაბს სცდება და ქართულ თეატრალურ მოდერნიზმს ევროპული დონის მოვლენად აქცევს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ თეატრში მოდერნიზმი გაცილებით მეტხანს გრძელდება, ვიდრე ზოგადად ამ სტილის დროითი მონაკვეთი (ის მთავრდება ახმეტელის დახვრეტით 1937 წელს).

ოციანი წლებიდან ყალიბდება პროფესიული სცენოგრაფია, ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა მხატვრები: ი. გამრეკელი, პ. ოცხელი, დ. კაკაბაძე, გ. ახვლედიანი, ლ. გუდიაშვილი.

თბილისში იწყება კინოწარმოება (1911 წ.) – პირველი ამიერკავკასიაში.

XX საუკუნის დასაწყისში გავრცელებული მოდერნის სტილი თბილისს მდიდარ არქიტექტურულ მემკვიდრეობას უტოვებს – ეს, ზედმიწევნით ევროპული სტილი განსაცვიფრებელი სილაფითა და სისწრაფით ითვისებს „თბილისური სახლის“ სტრუქტურულ ტრადიციას (იხ. ჩანართი – ბუკლეტი „მოდერნი თბილისში“).

პოეტ პაოლო იაშვილის ოცნება, გადაექცია თბილისი ახალ პარიზად, 1920-იანი წლების ბოლოს თითქმის განხორციელდა. თბილისური მოდერნიზმის ყველაზე დინამიკური პერიოდი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო გიგანტური დამოუკიდებლობის პერიოდს (1918-1921 წ.წ.), მაშინ როდესაც საქართველოში მცხოვრებ მოდერნისტებს რევოლუციური რუსეთიდან ჩამოსული მოდერნისტები უერთდებიან.

### თბილისური კულტურის „სოციალისტური“ შრე (1922 – 1991 წ.წ.)

თბილისური კულტურის „სოციალისტური“ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი, რა თქმა უნდა, ე.წ. სტალინური არქიტექტურა, კინო და სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ე.წ. მონუმენტური ხელოვნებაა. ამასთან ერთად, სწორედ ამ დროს დაიწყო დედაქალაქია „თავკომბალიზაციის“ პრინციპით განვითარება. საგულისხმოა, რომ პარალელურად თბილისმა დაკარგა კავკასიის კონტექსტში კულტურული, სოციალური და, გარკვეულწილად, პოლიტიკური ცენტრის ფუნქცია.

ნაციონალური პოლიტიკის შედეგად თბილისი წმინდა ქართულ ქალაქად გადაიქცა, მოისპო რა მისი როგორც მულტიკულტურული ქალაქის ტრადიცია. ეს, უპირველეს ყოვლისა, აისახა თბილისის ურბანულ კულტურაზე, რამაც დაუკარგა დედაქალქს კულტურული მრავალფეროვნებისა და კულტურული დინამიზმის თითქმის ყველა ნიშანი – სხვა ეროვნებები ეთნიკურ უმცირესობებად გადააქცია და, ფაქტობრივად, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყა.

ამგვარ ნაციონალურ პოლიტიკას პერიფერიზაციის პრინციპიც დაერთო (რაც რუსეთის იმპერიის დროსაც მოქმედებდა, მაგრამ მას რეგიონის იზოლაციაში მოქცევის მიზანი არ ჰქონია) – დედაქალაქი ვიწრო ტერიტორიულ და ეთნიკურ ჩარჩოებში მოქცა და პროვინციულ ქალაქად გადაიქცა. ამ პროცესს ხელს უმართავდა და ამყარებდა „ფორმით ნაციონალურის“ პროგრამა, რომელმაც მთლიანად განსაზღვრა დედაქალაქის ვიზუალურ-ესთეტიკური მხარე. შესაბამისად, ქალაქს რადიკალურად შეეცვალა კონტექსტი, მან დაკარგა საკუთარ თავთან იდენტობა, იქცა ე.წ. მონო-კულტურულ ქალაქად, რამაც კულტურულ-ისტორიული მეხსიერების გაქრობა, ამნეზია ან, რაც უარესია, კულტურული მეხსიერების დეფორმირება გამოიწვია.

მაშასადამე, სახეზეა მოდერნის საბჭოური (იდეოლოგიური) ვარიანტი. შესაბამისად, ეს იყო ლოგიკიდან გადახვევა, უპე არსებული მიმართების ძალდატანებითი და ხელოვნური დამუხრუჭება და შეცვლა, რამაც თავისი შედეგი დედაქლაქის ურბანულ კულტურაზე ბუნებრივია იქონია.

ეს ყოველივე მოწმობს იმას, რომ დედაქალაქის მიმართ განხორციელებული პოლიტიკა შემთხვევითი, დაუგეგმავი და სტიქიური არ ყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ დედაქალაქის „ნორმალურ“ და „ბუნებრივ“ მდგომარეობაში დაბრუნება და მისი წინსვლა ასევე მყარ და მიზანდასახულ პოლიტიკას საჭიროებს.

საგულისმოა, რომ ჩვენ დღემდე არ გაგვიცნობიერებია, თუ რა კულტურულ-ინტელექტუალურ-სამართლებრივი მემკვიდრეობა გვერგო უახლოესი საბჭოური პერიოდიდან, რა სახით, რა მიმართულებით აისახა ის დედაქალაქზე, არ გვიცდია ამ მემკვიდრეობის შეფასება. საბჭოური ფასეულობები ისევ ცოცხალია და ეს მეტისმეტად აშკარად აირეპლება ჩვენს ურბანულ კულტურაზე და, შესაბამისად, ვიზუალურადაც მკაფიოდ და მძაფრად იკითხება.

გვიანდელი თბილისური სოციალისტური კულტურის ერთ-ერთი მთავარი კულტურული ფენომენი „თბილისობაა“. როგორც ტიპური სოცრეალისტური „პერფორმანსი“, „თბილისობა“ შემდგომ კვლევას მითხოვს. აღნიშვნის დირსია არქიტექტორ შოთა ყავლაშვილის მიერ თბილისის ძველი უბნების „რეკონსტრუქცია“ (გასული საუკუნის 70-80-იანი წლები), რაც სწორედ „თბილისობის“ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. თბილისური კულტურის ამ „აღორძინებაში“ აღსანიშნავია გიორგი ცაბაძისა და სხვა „აშუდური“ მუსიკა.

მეორე მხრივ, XX საუკუნის 70-იან წლებში თბილისური კულტურის სხვაგარი (ძირითადად, სუბკულტურული) რეცეპციაც ხდებოდა: სერგო ფარაჯანოვის „ტფ(თბ)ილისური“ კინო (საიათნოვა, სურამის ციხე, აშიძ-ქერიძი, ფიროსმანი), ბაშეუკ-მელიქოვი, ავთო ვარაზის და სხვათა მხატვრობა და ა.შ.

ურბანულ კულტურაში, და განსაკუთრებით, თეატრში სტრატიფიკაციის შედეგად იკვეთება მკვეთრად დაპირისპირებული აკადემიური და კამერული ფორმები.

რუსთაველის თეატრის კარნავალური მასშტაბურობისა და მარჯანიშვილის თეატრის ფსიქოლოგიური აკადემიურობის დიქოტომიის ფონზე ჩნდება ახალი, მცირეფორმატიანი, მაგრამ კულტურული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი-კამერულ-სტუდიური კინომსახიობთა თეატრი (დაარსდა 1978 წელს).

ის დასაბამს აძლევს ტრადიციული თეატრალური სივრცის უარყოფას, „ადამიანის მასშტაბის“ შესაბამის, მცირე თეატრალური სივრცეების გაჩენის ტენდენციას, რომელიც განსაკუთრებული სიმბაფრით უახლეს პერიოდში „სარდაფების“ სახით გვევლინება (უკვე განსხვავებული მხატვრულ-იდეური დატვირთვით). მიხეილ თუმანიშვილის ესკიზურ-იმპრესიონისტული თეატრალური მიმდინარეობა აღბათ უფრო მეტად შეესაბამება „თბილისური კულტურის“ ცნებას, ვიდრე „რუსთაველისა“ თუ „მარჯანიშვილის“ თეატრების აკადემიურობა.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში ოფიციალური „საბჭოთა კულტურის“ პარალელურად ყალიბდება ისეთი თბილისური კულტურული კლიშეები, როგორებიცაა „ჭეშმარიტი თბილისელი“, „ნამდვილი ქალაქელი“, რაც უპირისპირდება ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა „ჩამოსული“, „სოფლელი“ და ა.შ. ჩნდება „პრესტიული“ და „არაპრესტიული“ უბნის ცნება. სწორედ ამ დროს იგივდება „ქართული“ და „თბილისური“.

თუკი „სტალინური პერიოდი“ (1924/29?-1953წ.) ოფიციალური იდეოლოგიისა და ოფიციალური კულტურის უპირობო ბატონობით ხასიათდება, რის გამოც ამ კულტურას „ტოტალიტარული კულტურა“ ეწოდება, გვიანდელი სოციალიზმის პერიოდში თბილისური კულტურის დუალიზმი თავს იჩენს „სოციალისტური“ და „ეროვნული“ კულტურების, „ოფიციალური“ და „დისიდენტური“ იდეოლოგიების, „ოფიციალურისა“ და „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის და ა.შ. დაპირისპირების (ამავე დროს, გარკვეულწილად, დიფუზიის) სახით. XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს კი დუალიზმი ასეთ სახეს იღებს: ოფიციოზი/არაფორმალური, კომუნისტური ნომენკლატურა/ეროვნული მოძრაობა, საბჭოთა კულტურა/ქართული ნაციონალური კულტურა, რაც, საბოლოოდ, „საბჭოთა სოციალისტური კულტურისა“ და შესაბამისი ისტორიული პერიოდის დასასრულს მოასწავებს.

### **თბილისური კულტურის თანამედროვე შრე (1992-2004 წწ.)**

რადგანაც თბილისური არქიტექტურისა და ქალაქის კულტურული ლანდშაფტის სივრცეში მიმდინარე დესტრუქციულ მოვლენებს ჩვენ უკვე შევეხეთ (იხ: შესავალი – 1.1.), ამიტომაც ყურადღებას თანამდროვე თბილისური კულტურის სხვა თავისებურებებს მივაჰყოთ.

1991-92 წლების თბილისის ომმა კარგად აჩვენა „თბილისურისა“ და „ქართულის“ არაიგივეობა – „ავანგარდული“ და „მოწინავე“ თბილისი დაუპირისპირდა „არიერგარდულსა“ და „ჩამორჩენილ“ დანარჩენ საქართველოს. საყურადღებოა, რომ თვითონ ეს ომი პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ (1941–1993 წ.წ.) „გერა-ვაკესაბურთალოს პუტჩად“ მონათლა. ცხადია, აქ იგულისხმება საკუთრივ თბილისური კულტურის დუალიზმი: ცენტრალური/პერიფერიული, პრესტიჯული/არაპრესტიჯული და ა.შ.

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასწყისისათვის თბილისურ (და, საზოგადოდ, ქართულ) კულტურაში სხვაგვარი დუალიზმი გამოიკვეთა: „ძველები“ და „ახლები“, „ძველი“ ნომენკლატურა და „ახალი“ რეფორმატორები, „ძველი ინტელიგენცია“ და „ახალი ინტელექტუალები“, „ძველი ნაციონალური კულტურა“ და „ახალი ლიბერალური ფასეულობები“.

შეიძლება ითქვას, რომ, პოლიტიკური თვალსაზრისით, 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ სწორედ „ახლების“ სრული ტრიუმფით დაგვირგვინდა, სტაგნაციური

გერონტოკრატია რევოლუციურმა ნეოპრატიამ ჩაანაცვლა. მაგრამ, საგულისხმოა, რომ „ძველი ნაციონალური“ და „ახალი ლიბერალური“ კულტურების დაპირისპირების მოხსნის (ან/და შერბილების) მიზნით „ახლების“ პოლიტიკურად ყველზე უფრო აქტიურმა ნაწილმა საკუთარ თავს „ნაციონალური მოძრაობა“ უწოდა. ცხადია, ამით „ახალსა“ და „ძველ“ კულტურებს შორის დაპირისპირება არ ამოწურულა. „ძველი“ კულტურის უმთავრეს საყრდენად საშუალო სკოლა და საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა რჩება.

„ნაციონალური“ და „ლიბერალური“ კულტურების დაპირისპირებასთან ერთად თბილისური კულტურის სივრცეში სხვა წინააღმდეგობაც წარმოიშვა, რაც მოწმობს ქალაქის ურბანული ტრადიციის სრულ იგნორირებას, იწვევს ქალაქის სახის რდგვეას და რაც ქალაქს უკარგავს საკუთარ იდენტურობას; რომ არაფერი ვთქვათ ურბანულ კულტურაზე, რომელიც ძველი საბჭოური ტრადიციის ნაყოფად რჩება, ქალაქი ვერ ქმნის მდგრადი განვითარების გეგმას; აშკარად შეინიშნება უკვე აღნიშნული არაინსტიტუციონალური, ერთგვარი ვიზიონერულ-ფუტურისტული და ფრაგმენტულ-სპონტანური, სტიქიური დამოკიდებულება ქალაქისადმი.

მაგალითად: თბილისის პოლიტიკური ისტებლიშმენტის ერთი ნაწილის მხრიდან გამოითქვა აზრი, რომ ქალაქის ისტორიული ნაწილი ერთ უბნად უნდა გაერთიანდეს და რომ იგი საოფისე სივრცედ უნდა გადაიქცეს. ესაა საინფორმაციო საშუალებების გზით მოპოვებული ინფორმაცია (სხვა საშუალება ინფორმაციის მოპოვებისა დღეს არ არსებობს, როგორც ჩანს იქიდან გამომდინარე რომ არ არსებობს თანამიმდევრული მუშაობის პროცესი ამ მიმართულებით). საოფისე სივრცედ ქცევა სრულიად ობიქტურად გამოიწვევს ქალაქის რადიკალურ გარდაქმნას – დღის წესრიგში დადგება ძველი ნაგებობების ნგრევისა და მათი ახალი შენობებით ჩანაცვლების საკითხი. ეს კი, საბოლოოდ, გულისხმობს ლინეარული თბილისის რეგულარულ ქალაქად ქცევას.

რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა საგსებით ლეგიტიმურია – ამას მხარს უმაგრებს სხვა დედაქალაქთა მსგავსი ტრანსფორმაციის ისტორიული მაგალითებიც: პარიზის რეგულარულ ქალაქად გარდაქმნა ლუდოვიკო XIV-ის დროს, ბუდაპეშტის (უფრო ზუსტად, პეშტის) დანგრევა და, ფაქტობრივად, თავიდან აშენება XIX საუკუნეში (რაც ბუდაპეშტისათვის იმპერიის მეორე დედაქალაქის ფუნქციის მინიჭებამ გამოიწვია), მოსკოვის რადიკალური ტრანსფორმაცია სტალინურ პერიოდში და ა.შ.

მაგრამ, ამისათვის საჭიროა გააზრებული სტრატეგიული გეგმის არსებობა და შესაბამისი რესურსების (როგორც ინტელექტუალური, ისე ეკონომიკური თუ ფიზიკური და სხვ.) ამოქმედება. სამწუხაროდ, მოცემული კონცეფციის ავტორებს ყოველივე ეს, ქვეყნის დღეგანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, არარეალისტურად და გაუმართლებლად გვესახება.

ამიტომაც, თბილისური კულტურის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებათა ჩვენებული მოდელი (იხ: მოცემული კონცეფციის მე-4 ნაწილი) თბილისური კულტურის „პალიმფსესტურსა“ და ლინეარულ პარადიგმას ემყარება.

სტრატეგიის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი იქნება ჩვენს მიერ შემოთავაზებული სელექციური მეთოდი დღეს არსებული კულტურის სელექციური ფენის გათვალისწინებით, რამდენადაც დღეს არსებული სელექციური ფენა ჯერ კიდევ სტალინის პერიოდში ჩატარებული კულტურის სელექციის სახით არსებობს: უპა სტალინის პერიოდიდან იწყება, ასე ვთქვათ, წარსულისკენ შებრუნება, რაც მთავარია წარსული მემკვიდრეობის გადარჩევა, მისი იდეოლოგიური უტილიტარული ფუნქციით დატვირთვა. ხელოვნებაში ეს გამოიხატა ტრადიციული ორნამენტის ჭარბ გამოყენებაში და მის იდეოლოგიზირებაში, საეკლესიო კედლის მხატვრობის კომპოზიციური სქემების სესხებაში და მის კულტივირებაში, ეთნოგრაფიული ფორმების ასლირების მეთოდში და ამ ყოველივეს სოციალისტური რეალიზმის უაღრესად მწყობრ თემატიკასთან ეკლექტურ შეჯერებაში (ამ მეთოდმა ბუნებრივია განაპირობა სახელოვნებო განათლების მეთოდოლოგია)...

### **თბილისის კულტურის პოლიტიკის მონაცემები**

ქვემდებარე კონცეფციის მეთოდოლოგიისა და ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ის ძირითადი სფეროები, რომლებიც თბილისის, როგორც დედაქალაქის ურბანული კულტურის პოლიტიკას განსაზღვრავს. ეს სფეროებია: უძრავ-მოძრავი კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები და სპეციფიკური ცხოვრების წესი; ხელოვნების სხვადასხვა დარგები: ლიტერატურა, მუსიკა (კლასიკური, ფოლკი, თანამედროვე), თეატრი, სახვითი და ვიზუალური ხელოვნება, პოპულარული კულტურა; კროსკულტურული სფეროები - განათლება, მასმედია, ტურიზმი.

**ჩამოთვლილი სფეროების მოკლე მიმოხილვა იხილეთ დანართში №1.**

## სიტუაციის ანალიზი:

**თბილისში ტურიზმის განვითარების რესურსული პოტენციალი**

### შესავალი

თბილისის ტურიზმის განვითარების კონცეფცია, რომელიც დაფუძნებულია ზემოთ უკვე აღწერილ ქალაქის კულტურის რესურსულ პოტენციალზე, უნდა ითვალისწინებდეს იმ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, რაც ამოძრავებს მსოფლიო ტურიზმს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმი არ არის ეკონომიკის ლოკალურად არსებული და დამოუკიდებლად განვითარებადი დარგი. ის დარგთაშორისი დარგია, რომლის განვითარება ბევრ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კომპონენტზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ტურიზმის განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბებისას, გხელმძღვანელობთ რა თანამედროვე ეკონომიკული მიდგომებით, ტურიზმს განვიხილავთ, როგორც უაღრესად მრავალასპექტიან კლასტერს.

**მხედველობაში გვაქვს ტურიზმთან დაკავშირებული სექტორები:** დარგის განვითარებით დაინტერესებული იურიდიულ-პოლიტიკური და გარემოს დაცვითი მოძრაობების მონაწილეები; კულტურის, სპორტის, ჯანდაცვის, განათლების, ფინანსური, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი სექტორების წარმომადგენლები; რესურსების ამოღება-ამოქმედებით, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეებით დაკავებული სპეციალისტები; ტრანსპორტის ინდუსტრიის, ინფრასტრუქტურის, სანახაობრივი და გასართობი ინდუსტრიის წარმომადგენლები და ა.შ.

**უფრო კონკრეტული (ხმელეთის განსაზღვრისა და ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბებისას) მიდგომისას, მაგალითად ისე, როგორიცაა თემა – ტურიზმის ინდუსტრიის მოქმედების სექტორი:** ტურისტული მომსახურება, დაბინავება (განსახლება), ტრანსპორტირება (შიდა საქალაქო და საქალაქოშორისო), გართობა, კვება (საერთაშორისო და ნაციონალური სამზარეულოს მთელი შესაძლებლობები), მოგზაურობების გაყიდვა (საექსკურსო), დღესასწაულები (საეკლესიო, საერო, რეგიონალური, ნაციონალური, საერთაშორისო), ატრაქციონები, თავგადასავლები და სხვა გარე გართობის სახეობები და ა.შ.

**თუ საკითხს კიდევ უფრო ჩავულრმავდებით (და ეს აუცილებელი გახდება ხტრატებიული გეგმის შემუშავებისას), საკითხები განსახილველი იქნება ისეთი დეტალობით, როგორც მაგალითად – ატრაქციულობა:**

**კულტურული ატრაქციულობა:** ისტორიული და არქეოლოგიური ადგილები, არქიტექტურა, მონუმენტი, ინდუსტრიული ადგილი, მუზეუმი, ეთნიკური კუთხე, სამზარეულო, თეატრი, კონცერტი/წარმოდგენა და ა.შ.

**ბუნებრივი ატრაქციულობა:** პეიზაჟი, ლანდშაფტი, პარკი, მთა, ფლორა, ფაუნა, და ა.შ.

**დღესასწაულები (მოვლენები):** განსაკუთრებული, საზოგადოებრივი მოვლენები, ფესტივალები, რელიგიური, სპორტული დღესასწაულები (ზემოქმედი), დია ვაჭრობა (საზეიმო ბაზრობა), კორპორატიული მოვლენები და ა.შ.

**რეკრეაციული რესურსები:** ლირსშესანიშნაობების მონახულება, გოლფი, ცურვა, ჩოგბურთი (ტენისი), გასეირნება, ველო-სეირნობა, სპორტის ზაფხულისა და ზამთრის სახეობები და ა.შ.

**სამაყურებლო ატრაქციულობა:** თემატიკური პარკები, ლუნა-პარკები, კაზინო, კინოთეატრი, მაღაზიების ქსელი, ხელოვნების საშემსრულებლო სახეობების ცენტრები, სპორტული კომპლექსები და ა.შ.

ტურიზმის განვითარებას, როგორც ლოგიკურად თანამდევი პროცესები, მოჰყვება ისეთი გარე ეგზოგენური მოვლენები, როგორიცაა: დემოგრაფიული და სოციალური ცვლილებები, ცვლილებები პოლიტიკაში, საკანონმდებლო და მარეგულირებელ სფეროში, ვაჭრობის განვითარება, ეკონომიკური და ფინანსური ცვლილებები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სფეროს განვითარება და ა.შ. შესაბამისად, აუცილებელი იქნება ამ ცვლილებებისადმი როგორც საკანონმდებლო, ასევე სტრუქტურულ-მმართველობითი და სოციალურ-ეკონომიკური მზაობა.

გასათვალისწინებელია, რომ დარგის განვითარებას თან შეიძლება ახლდეს როგორც დადგებითი – ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, შემოსავლების ზრდა, ურბანიზაციის პროცესის დაჩქარება, ბუნებრივი კომპლექსების გაფართოება, რეგიონის ატრაქციულობის ხარისხის, კულტურული ცხოვრების დონის ზრდა, სოციალური და კულტურული პროცესების დაჩქარება, ადგილობრივი კულტურული ღონისძიებების, ხალხური შემოქმედების, რეწვის, ტრადიციების აღორძინება,

ადგილობრივი კულტურის ძეგლების დაცვა და აღდგენა, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ადგილობრივ პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდა; ასევე უარყოფითი მომენტები – მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების პოლარიზაცია და კომერციალიზაცია, არაკვალიფიციური შრომის ხვედრითი წილის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რიცხვის ზრდა, ოჯახური ცხოვრების წესის „ეროზია“, კულტურის კომერციალიზაციის პროცესში საზოგადოებრივი გემოვნების მკვეთრი დაცემა და ტოტალური „მასკულტურიზაცია“, კონკრეტული ტურისტული მიმართულების თვითმყოფადობის დაკარგვა, შესაძლო კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტებს შორის და სხვა.

მომავალი სტრატეგიული გეგმის დამუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტურიზმის განვითარების პოლიტიკის მირითად ასპექტებს:

- ტურისტული რესურსების მაქსიმალურად სრული ჩამონათვალის მომზადება;
- ტურიზმის განვითარების მიზნით ეროვნული ქონების გამოყენების სქემის ჩამოყალიბება;
- მირითადი ტურისტული რაიონების/უბნების და ტურისტული დანიშნულების ობიექტების განსაზღვრა;
- დონისძიებათა კომპლექსის განსაზღვრა-რეალიზაცია, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასა და ტურისტებს ასწავლის ქვეყნისა და მისი ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების (ამ შემთხვევაში – თბილისის ცალკეული უბნების) კულტურული ღირებულებების პატივისცემას;
- ადგილობრივი რესურსული (ბუნებრივი, ისტორიული, ადამიანური და ა.შ.) პოტენციალის დაცვის დონისძიებების განსაზღვრა.

კონცეფციაში ცალკე არ შევეხებით, თუმცა შემდგომ ეტაპზე აუცილებელი იქნება კვალიფიციურად დამუშავდეს ისეთი საკითხიც, როგორიცაა ტურისტული რეგიონის მიზნიდველობაზე მოქმედი ფაქტორები, რომლებიც მოიაზრება როგორც:

- შეღწევადობა;
- დამოკიდებულება ტურისტებისადმი;

- ინფრასტრუქტურა;
- ბუნებრივი სილამაზე და კლიმატი;
- კულტურული და სოციალური დახასიათება;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი და რეკრეაციული რესურსი;
- განათლების ცენტრები;
- კომერციის ცენტრები;
- ფასების დონე და ა.შ.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ამერიკულ ლიტერატურაში გაჩნდა ე.წ. „ადექვატური ტურიზმის“ ცნება, რომლის ძირითადი პრინციპებია:

- კონკრეტული ტერიტორიის მემკვიდრეობის (კულტურული, ისტორიული, ბუნებრივი) დაცვაში აქტიური მონაწილეობა;
- სხვა რეგიონებთან შედარებით კონკრეტული ტერიტორიის მემკვიდრეობის (კულტურული, ისტორიული, ბუნებრივი) უნიკალობის ხაზგასმა და შესაბამისი წარმოჩენა;
- ადგილობრივ მოსახლეობაში უნიკალური მემკვიდრეობისადმი (კულტურული, ისტორიული, ბუნებრივი) სიამაყისა და პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდა;
- ტურიზმის განვითარების პროგრამის შემუშავება კონკრეტული ტერიტორიის უნიკალური მემკვიდრეობის (კულტურული, ისტორიული, ბუნებრივი) გამოყენების საფუძველზე.

ჩვენის აზრით, სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებელი იქნება აღნიშნული პოზიციების გათვალისწინება.

### **თანამედროვე ტურიზმი – განვითარების ძირითადი ტენდენციები**

დღევანდელი ტურიზმი, რომელიც კომპიუტერიზაციისა და აგტომატიზაციის ფართოდ დანერგვის საფუძველზე საერთაშორისო ინფორმაციული ტექნოლოგიების და პროცესების სფეროდ გადაიქცა, უახლესი სატრანსპორტო საშუალებებითა და მომსახურებით სულ სხვაგვარი წარმოდგენები შექმნა დროსა და სივრცეზე, ძალზე

ფაქტად რეაგირებს დედამიწაზე მიმდინარე პროცესებზე. შესაბამისად ჩნდება ახალი ტენდენციები, მოძრაობები, მიმართულებები. სწორედ აქედან გამომდინარე გაჩნდა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ერთიანი მარეგულირებელი აქტების შექმნის საჭიროება. „ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი“ (მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, სანტიაგო, ჩილი, 1999 წლის 1 ოქტომბერი) ტურიზმს განიხილავს, როგორც:

- ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორს;
- მდგრადი განვითარების ფაქტორს;
- სფეროს რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში;
- საქმიანობას, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის.

აღნიშნული ზოგადი შეფასებებიდან და დასკვნებიდან თუ გადავინაცვლებთ ტურიზმის, როგორც დარგის პრაგმატული, გამოყენებითი მხარის ანალიზზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მისი განვითარება სახელმწიფოს (ქვეყანას), კონკრეტულ რეგიონს, ქალაქს, როგორც დაინტერესებულ (მონაწილე) მხარეს, უქმნის შესაბამისი სტიმულების ნაირსახეობას:

- ახალი სამუშაო ადგილები და საწარმოები;
- დამატებითი შემოსავლები;
- ახალი გასაღების ბაზრები ადგილობრივი პროდუქციისათვის;
- ინფრასტრუქტურის, ასევე კომუნალური მომსახურების ობიექტებისა და სამსახურების მოდერნიზაცია;
- ახალი პროფესიები და ტექნოლოგიები;
- საზოგადოების მიერ გარე სამყაროსა და კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებისა და მათი დაცვის აუცილებლობის საფუძვლიანი გაგება;
- ახალი მიდგომები მიწათსარგებლობაში, სოფლის მეურნეობაში, გადამამუშავებელ მრეწველობაში და ა.შ.

ამასთან ერთად, იმისათვის, რომ ტურიზმია ეკონომიკური მოგება მოუტანოს ქალაქს, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს და ამავე დროს თავისი ბუნებით უნდა იყოს დამზოგავი. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს განსახლების სისტემის, დასახლებათა ტრადიციულ არქიტექტურას და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას.

ტურიზმის განვითარების დაგეგმვის თვალთახედვით პოტენციური შესაძლებლობების შეფასების დროს (რაც აუცილებელი იქნება სტრატეგიის დამუშავებისას) აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას – რა საჭირო კომპონენტები უნდა არსებობდეს ტურიზმის განვითარებისათვის? ეს კომპონენტებია:

**ლირშესანიშნაობები** და **თავისუფალი დროის გატარების ფორმები** – სანახავი ადგილები და ის, რითაც შეიძლება ტურისტი გაერთოს ადგილზე ყოფნის დროს;

**მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა** – დაბინავებისა და კვების ადგილები;

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა** და **მომსახურება** – საბაზო ადგილამდე ჩასვლისა და შიდა ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალება;

**ადგილობრივი საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა** – წყალმომარაგება, ელექტროგაეგანილობა, კომუნიკაცია, კანალიზაცია და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა;

**მოგზაურობების ორგანიზება** – ტუროპერატორები, ტურაგენტები და გიდები;

**ტურისტული პროდუქციის ბაზარზე გატანა** და **ტურისტული ინფორმაციის სამსახურის არსებობა** – ინფორმაცია ტურისტებისათვის იმაზე, თუ რა შეუძლიათ ნახონ და აკეთონ მათ ადგილზე ყოფნის დროს.

ტურიზმის, როგორც ქვეყნის დედაქალაქის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტის განსაზღვრისათვის, უპყევ სტრატეგიაზე მუშაობის დროს, აუცილებელი იქნება გაანალიზდეს შემდეგი საკითხებიც:

- არსებობს თუ არა თბილისში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსები;
- არსებობს თუ არა შესაბამისი ტურისტული ბაზარი, რომელზეც შეიძლება გასვლა;

- ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად ესაჭიროება თუ არა თბილის ტურიზმის განვითარება;
- არის თუ არა საჭირო შრომითი რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის, დამატებითი შრომითი რესურსების შემოყვანის გარეშე;
- გამართლებულია თუ არა დანახარჯები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის;
- შესაძლებელია თუ არა კონკურენტების გამოჩენა არსებული ან შესაძლო ტურისტული პროექტებიდან მეზობელ რეგიონებში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ 1992 წლის გაეროს ცნობილი სამიტის (რიო დე ჟანეირო) შემდეგ, ნებისმიერი ქვეყნისა და დარგის განვითარებას საფუძვლად დაედო ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტი „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“, რომელშიც გაცხადებული იქნა მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები და მოთხოვნები.

#### **აღნიშნული დოკუმენტის თანახმად მდგრადი ტურიზმი:**

- ხელს უწყობს ტურიზმის ზემოქმედების გზების გაგებას ბუნებრივ, კულტურულ და სოციალურ სფეროებზე;
- ხელს უწყობს შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიან განაწილებას. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს უშუალოდ ადგილობრივ ტურიზმსა და მის მონათესავე სფეროებში;
- ხელს უწყობს მომგებიანი ადგილობრივი დარგების განვითარებას – სასტუმროები და სხვა სარეკრეაციო ობიექტები, რესტორნები და კვების სხვა ობიექტები, სატრანსპორტო სისტემები, ხალხური რეწვა და საექსკურსიო-საინფორმაციო საქმე;
- ხელს უწყობს რეგიონში უცხოური გალუტის შემოსვლას და ადგილობრივი ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდებას. ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში, სადაც დასაქმებას შეიძლება პქონდეს სეზონური ან შემთხვევითი ხასიათი;

- მოითხოვს სივრცით გეგმარებასა და ზონირებას, რომელიც შეესაბამება ადგილობრივი ეკოსისტემის გამტარუნარიანობას; გადაწყვეტილების მიღების პროცესში რთავს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს;
- ხელს უწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას;
- ქმნის რეკრეაციულ ობიექტებს, რომლებითაც სარგებლობა შეუძლიათ როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ასევე ტურისტებს;
- ბუნებრივი ტურიზმი ხელს უწყობს იმ მიწების პროდუქტიულ გამოყენებას, რომელთაც არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა;
- კულტურული ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებას;
- ეკოლოგიურად მდგრადი ტურიზმი ნათლად გვიჩვენებს ბუნებრივი და კულტურული რესურსების დიდ მნიშვნელობას სოციალ-ეკონომიკური განვითარების საქმეში და ხელს უწყობს მის დაცვას.

**ტურიზმის მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპებია** (ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიხედვით):

- **რესურსების მდგრადი მოხმარება** (**ბუნებრივი, სოციალური და კულტურული რესურსების დაცვა და მდგრადი მოხმარება ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობის საწინდარია);**
- **ტურისტულ ტერიტორიებზე დატვირთვისა და ნარჩენების შემცირება** (**რესურსების მოხმარების რეგულირება და ნარჩენების შემცირება ხელს უწყობს ტურისტული პროდუქტის ხარისხის ზრდას და ამასთან ერთად ამცირებს ბუნების კონსერვაციის ხარჯებს**);
- **ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება** (**ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნება ტურისტული საქმიანობის წარმატებისა და მიმზიდველობის განმსაზღვრული ფაქტორია**);
- **ტურიზმის ინტეგრირება დაგეგმვის პროცესში** (**ტურიზმის განვითარების ინტეგრირება გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხების დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფს ტურისტული საქმიანობის წარმატებას**);

- ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერა (ეკოტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, ითვალისწინებს გარემოზე მიეკუთხდო შესაძლო ზიანის კომპენსაციას, თავის მხრივ იცავს და ამცირებს კელურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას);
- ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობა (ადგილობრივი თემის თანამონაწილეობას არა მარტო ეკონომიკური სარგებელი მოაქვს, არამედ გაცილებით უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ტურისტულ პროდუქტს);
- კონსულტაციები და თანამშრომლობა (ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილების უზრუნველყოფა);
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
- მარკეტინგი;
- კვლევა და შეფასება.

ყველა აღნიშნული საკითხი, ჩვენის აზრით, სერიოზული ყურადღების საგანი უნდა გახდეს იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც დედაქალაქის განვითარების სტრატეგიულ გეგმაზე, და კონკრეტულად, ტურიზმის ბლოკზე იმუშავებენ.

### **თბილისის, როგორც ტურისტული ობიექტის აღწერა**

პარაგრაფი, რომელშიც, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების თანახმად, უნდა აღიწეროს ქალაქის მთელი რესურსული პოტენციალი, შესაძლებელია სხვადასხვაგვარად ჩამოყალიბდეს. არსებითია ის, თუ როგორ მივუდგებით თვითონ ტურიზმს, რაში ვხედავთ მის შესაძლებლობებსა და მიმზიდველობას. წინამდებარე დოკუმენტში, რომელსაც კონკრეტული მიზანი და ორიენტაცია გააჩნია (იგი დედაქალაქის სტრატეგიული განვითარების ერთიანი გეგმის ნაწილი, კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის საქმეში ხელისუფლების სამოქმედო გეგმა უნდა გახდეს), გამოყენებული იქნება აპრობირებული, სტანდარტული მიდგომა და სტრუქტურა, თუმცა თბილისის ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი (ატრაქციული) გავხადოთ ის საფუძველი, რაც უნდა გახდეს კონცეფციის დერძი.

როგორც ერთ-ერთი მაგალითი, რასაც შეიძლება დაეფუძნოს თბილისის ტურიზმის კონცეფცია, შესაძლებელია განხილული იქნას ის ინფორმაცია, რაც ათეული წლების განმავლობაში გროვდებოდა იმ ადამიანთა გამონათქვამებისა და შთაბეჭდილებების სახით, რომლებიც მისი განვითარების სხვასახვა პერიოდში ეწვივნენ თბილისს.

„თბილისი რომ არა, შესაძლოა ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთანები და შაჰები. თბილისი იდგა როგორც ევროპის ციხე-სიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისაგან დაცლილი და დასუსტებული თუ აღწევდნენ ევროპამდე“.

ავსტრიელი პოეტისა და მთარგმნელის (თარგმნა „გეფხისტყაოსანი“) პუგო ჰუბერტის სიტყვები მისი ნაწარმოებიდან „თბილისის აპოლოგია“ შესაძლებელია ამ ნაწილის ეპიგრაფად გამოგვეყენებინა და თბილისის ტურისტულ პოტენციალზე კონცეპტუალური მსჯელობა სწორედ ამ ფუნქციით დაგვეწყო. თუმცა აქვეა გასათვალისწინებელი ისიც, რომ ავსტრიელი ავტორი ერთადერთი არ არის და სწორედ ეს – ისტორიაა, რითაც, როგორც ვარიანტი, შესაძლებელია დავიწყოთ თბილისის ტურისტულ შესაძლებლობებზე საუბარი.

კონცეფციის ძირითადი არგუმენტია თბილისის, როგორც კულტურათა შეხვედრის ადგილის მრავალმხრივი შესწავლა, კვლევა და განვითარება. ამდენად მიზნობრივად გამოსაყენებელია თბილისის შესახებ ვრცელი მასალები, რომელიც უცხოელმა მეცნიერებმა, მკვლევარებმა და მოგზაურებმა დაგვიტოვეს (იხილეთ დანართი № 2).

ამ მასალათა შესწავლა-გამოყენება აუცილებლად უნდა მიმდინარეობდეს თბილისში არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა და მათი სუბკულტურების ანალიზის კონტექსტში, თავად უმცირესობათა წარმომადგენლობების აქტიური თანამონაწილეობით. მით უფრო, რომ სანგრძლივი ურბანულ-კულტურული დიფუზიის პროცესში კულტურული უმცირესობები მნიშვნელოვან მხატვრულ სახეებსა და წარუშლელ კვალს ტოვებდნენ ქალაქის კულტურულ ლანდშაფტზე.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თბილისის ერთ-ერთ უბანს, რომელიც გერმანელებით იყო დასახლებული, ერქვა „ალექსანდერსდორფი“ - (ტერიტორია

რკინიგზის მაგისტრალის, მტკვრის მარცხენა სანაპიროს, ვანის ქუჩასა და მაუდ-კამპოლის კომბინატს შორის).

ქალაქურ ტოპონიმიკაში დღემდე გვაქვს შემონახული „კირიჩნი“, „ზემელი“ (ლატვიელი ევგენი ზიემელის დღეს არარსებული ისტორიული აფთიაქის მიხედვით) და სხვა.

ანალოგიურად გერმანელებისა, თბილისში არსებობდა „ფრანგთა უბანი“ (პატრების საყდრის, პატრებიანთ, კათოლიკეთა უბანი) – შეა ბაზრის (კლესელიძის ქ.) მარჯვენა მხარეს;

მხოლოდ ზემოთმოყვანილი ჩამონათვალი და შესაბამისად მათთან დაკავშირებული ისტორიები შეიძლება გახდეს ტურიზმის განვითარებისა და თბილისური კულტურის დაცვა-რეაბილიტაციისა და ადაპტაციის საფუძველი.

ამავე პრინციპით განსახილველია ის ფაქტი, რომ თბილისი 1973 წლიდან დამმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის წევრია.

თბილისთან დამმობილებული ქალაქებია: ზაარბრიუკენი (გერმანია), ლიუბლიანა (სლოვენია), ნანტი (საფრანგეთი), ინსბრუკი (ავსტრია), ატლანტა (აშშ, ჯორჯია), პალერმო (იტალია), ბილბაო (ესპანეთი), ბრისტოლი (დიდი ბრიტანეთი), მეგობარ-პარტნიორი ქალაქებია: ბაქო (აზერბაიჯანი), მოსკოვი (რუსეთი), ერევანი (სომხეთი), მინსკი (ბელორუსია), სანკტ-პეტერბურგი (რუსეთი), კიევი (უკრაინა), ვლადიკავკაზი (რუსეთი), ოდესა (უკრაინა), ათენი (საბერძნეთი), ანკარა (თურქეთი), პარიზი (საფრანგეთი), რომი (იტალია), იერუსალიმი (ისრაელი), სტამბოლი (თურქეთი). ამდენად თბილისში ტურიზმის განვითარებისათვის ამ ფედერაციის წევრობა კიდევ ერთი სერიოზული მიმართულება და შესაძლებლობაა.

რაც შეეხება ე.წ. „სტანდარტულ“ დამოკიდებულებას, იგი შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

**თბილისი** – საქართველოს დედაქალაქი, ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი, უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძია.

თბილისი აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. მტკვრის ორივე მხარეს, თბილისის ქვაბულშია მოქცეული, ზღვის დონიდან 380-750 მ-ის სიმაღლეზე. ქალაქის ფართი შეადგენს 366 კმ<sup>2</sup> (აქედან 45%-ზე მეტი განაშენიანებულია).

## მოსახლეობა

1 მილიონზე მეტი (2002 წლის აღწერის მონაცემებით).

### რელიეფი

თბილისსა და მის მიდამოებს საკვანძო ადგილი უჭირავს საქართველოს ურთიერთგანსხვავებულ მსხვილ ლანდშაფტურ რეგიონებს შორის (სწორედ აქ იყრიან თავს დიდი ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულები). რელიეფში ნათლად ჩანს განსხვავება მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებს შორის (მარჯვენა გაცილებით მაღალია და გარკვეულ „ამფითეატრს“ ქმნის). რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევ-ხეობებით, უფრო ციცაბოა, ძლიერ არის დაღარული მდინარეთა ხეობებითა და ხრამებით; მარცხენა სანაპიროს შედარებით დაბალი მდებარეობა აქვს, რელიეფი უფრო ნაზია, უმეტესად დანაწევრებულია მცირე სიღრმის ხევებითა და ხრამებით.

თბილისისა და მისი შემოგარენის რთული და მრავალფეროვანი რელიეფი გარკვეულ სიძნეელეს ქმნის ქალაქის განაშენიანებისათვის; მეორეს მხრივ, იგივე პირობები განუმეორებელ სილამაზეს ანიჭებს ქალაქს.

### ჰავა

„ჰავითა არს მშვენი და მხიარული ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარი ცივი, გაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო“, ასე ახასიათებს თბილისის ჰავას ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.).

თბილისი და მისი მიდამოები მდებარეობს ზომიერად მშრალი სუბტროპიკული ოლქის აღმოსავლეთ პერიფერიაზე. სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობა და მცირე ღრუბლიანობა განაპირობებს მზის ნათების მნიშვნელოვან ხანგრძლივობას (2112 საათი წელიწადში) და ინტენსივობას წლის ყველა სეზონში.

ყველაზე ცივი თვეა იანვარი (საშ. ტემპერატურა –  $0,9^{\circ}\text{C}$ ); ყველაზე ცხელი თვეა ივლისი (საშ. ტემპერატურა –  $24^{\circ}\text{C}$ ). ღრუბლიანობა ზომიერია; მოდრუბლულ დღეთა რაოდენობა 100-130-ია წელიწადში. ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობაა – 65-70%.

თბილისისა და მისი მიდამოების ჰავა ჯანსაღია, საუკეთესოა ადამიანის საცხოვრებლად და სამურნეო საქმიანობისათვის. მიდამოებში ბევრი საგარეუბნო

კურორტი და სააგარაკო ადგილია: კიკეთი, კოჯორი, ტაბახმელა, წაგისი, წოდორეთი, წენეთი და სხვა.

### შიდა წყლები

პიდროგრაფიული ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს (რელიეფის ხასიათიდან გამომდინარე): მარჯვენა სანაპიროზე ქსელი უფრო ხშირია. მდინარეებს ვიწრო ხეობა, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ. მარცხენა სანაპიროზე სუსტად განვითარებული მეჩხერი ქსელია, მდინარეები ვაკის ტიპისაა, ფართოკალაპოტიანი.

ზედაპირული ჩამონადენის მთაგარი არტერიაა მდ. მტკვარი, რომელიც თბილისის ტერიტორიაზე დაახლებით 35 კმ-ზე მიედინება. მტკვარი ტრანზიტული მდინარეა, მისი პიდროლოგიური რეჟიმი უმთავრესად თბილისის ფარგლებს გარეთ ყალიბდება და ადგილობრივ მიმდინარე პიდროლოგიური პროცესების გავლენა მის რეჟიმზე მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აღინიშნება.

ტბებს შორის მნიშვნელოვანია ლისის ტბა და კუს ტბა, უფრო პატარაა გლდანის ტბები, წოდორეთის ტბა, ჭილიტბა, მუხაოგვერდის ტბა, წენეთის ტბა და სხვა. თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდაშე ტბების ადგილზე, 1951 წელს შეიქმნა თბილისის წყალსაცავი.

**P.S.** სტრატეგიის დამუშავებისას აღნიშნული ბლოკების გაფართოებასთან ერთად, განსახილველი იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ნიადაგები, ფლორა და ფაუნა, ბუნებრივი ლანდშაფტები, როგორც ტურისტულ-რეკრეაციული ორიენტაციის მაფორმირებელი კომპონენტები.

### **ტურისტული ინდუსტრიის შესაძლებლობები და თბილისის პერსპექტივა საქართველოში ტურიზმის განვითარების ძირითადი პრობლემები**

აღნიშნული საკითხი საკმაოდ სერიოზულია და შესაბამის კვლევასა და ანალიზს მოითხოვს. კონცეფციის ფარგლებში აუცილებლად ჩავთვალეთ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩატარებული მსგავსი სამუშაოების (სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ) ანალიზის საფუძველზე მხოლოდ დავაფიქსიროთ ძირითად პრობლემათა ნუსხა, რამდენადაც ქვეყნის მასშტაბით არსებული პრობლემები იღენტურია თბილისისთვისაც.

დღეისათვის საქართველოში ტურიზმისა და კურორტების დარგის წინაშე არსებული პრობლემები პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, რომელთაგან თითოეულში გამოიყოფა რამოდენიმე ქვეჯგუფი (ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ პოზიციებს, რომლებიც მიესადაგება თბილისის სინამდვილეს):

I. ტურისტულ პროდუქტთან დაკავშირებული ასპექტები

- ტურისტული პროდუქტის შეზღუდული სპექტრი;
- ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები;
  - ა) ტრანსპორტირება ქვეყნის შიგნით (შეზღუდული შესაძლებლობები);
  - ბ) ტურისტული ღირსშესანიშნაობებისა და სანახაობების მდგომარეობა და ადაპტირებულობა;
  - გ) ტურისტთა განთავსების საშუალებების ხარისხი;
  - დ) ტურისტული ინფრასტრუქტურის სხვა თბილებების დაბალი ხარისხი;
  - ე) ფასი/ხარისხის დაბალი კოეფიციენტი;
  - ვ) ტურიზმის დარგში კომპეტენტური პერსონალის ნაკლებობა;
  - გ) ენობრივი ბარიერი;
  - ჰ) უსაფრთხოების პრობლემები
  - ი) კავკასიის რეგიონის არასტაბილურობა;
- რეგიონებში ტურისტთა განთავსების საშუალებების არასაკმარისი და სეზონური სიმძლავრეები;
- ინვესტიციების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორები
  - ა) ინფრასტრუქტურის ხარჯები;
  - ბ) ბიზნესის პროგნოზირების სირთულე;
  - გ) საჭირო ინვესტიციების დიდი ოდენობა;
  - დ) ტურიზმში განხორციელებული ინვესტიციების დიდი მოცულობის გამო მათი ამოგების ხანგრძლივი პროცესი;
  - ე) გრძელვადიანი და შედაგათიანი კრედიტების არარსებობა;

- ვ) საგადასახადო სისტემის სირთულე;
- გ) ყოველდღიური პრობლემები და კორუფცია;
- ჰ) უცხოური ინვესტიციების არასაკმარისი რეკლამა;
- ბიზნესის წარმართვასთან დაკავშირებული პრობლემები
- ა) მაღალი მარკეტინგული ხარჯები;
  - ბ) სერტიფიცირების არსებული პროცედურის ფორმალურობა (ის ვერ იცავს მომხმარებელს);
  - გ) ბაზრის შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია;
  - დ) კონკურენციის დაბალი დონე;
  - ე) არაჯანსაღი კონკურენცია;
  - ვ) კაპიტალზე მაღალი ამონაგების მოთხოვნა;
- II. ტურისტული ბაზრის მოთხოვნები
- ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები;
  - ა) არსებულ და პოტენციურ ტურისტულ ბაზრებთან დამაკავშირებელი ავიარეისები;
  - ბ) მანძილი საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებამდე;
  - გ) რეისების მოუხერხებელი განრიგი;
  - დ) არასაკმარისი რეგიონალური საპარო კავშირები;
  - რეკლამირების არასათანადო დონე;
  - ა) ტურისტული ბაზრის მარკეტინგული პროცედურის არარსებობა.
  - ბ) ქვეყნის დადებითი იმიჯის პოპულარიზების არარსებობა.
  - გ) ტუროპერატორების მიერ პროდუქციის შეზღუდული მარკეტინგი;
  - დ) საერთაშორისო ბაზარზე უსისტემო და არაკოორდინირებული წარმოჩენა.
  - ე) მარკეტინგზე და ქვეყნის არაკომერციულ რეკლამაზე გაწეული ხარჯების არარსებობა (ტურიზმის დარგის ტოტალური დაუფინანსებლობის გამო);

- კონტრენცია სარჯებსა და ფასებზე;
- შემომყვანი ტუროპერატორების სტრუქტურული პრობლემები :

  - ა) მცირე სიმძლავრეები;
  - ბ) კაპიტალის არარსებობა;
  - გ) უცხოელ პარტნიორებთან კონტრაქტის დადებასთან დაკავშირებული სირთულეები;
  - დ) ადგილობრივი და რეგიონალური ტურისტული ბაზების უგულვა-ბელყოფა;

თუ ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს გავაანალიზებთ და მოვახდენთ მათ რანჟირებას პრიორიტეტების შესაბამისად, პრობლემების შემდეგი სახის კრებსით სურათს მივიღებთ:

- ქვეყნის დადებითი (ტურისტული) იმიჯის პოპულარიზაცია და მარკეტინგი;
- ტურისტული პროდუქტის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა;
- უსაფრთხოების საკითხის მოგვარება;
- კომპეტენტური პერსონალის მომზადება;
- ინფრასტრუქტურის განვითარება, სასტუმრო და სატრანსპორტო სიმძლავრეების უზრუნველყოფა.

### **თბილისში ტურიზმის განვითარების დამატებითი სპეციფიური პრობლემები**

**სპასერო ტრანსპორტი** – უმრავლესი რეისების მოუხერხებელი გრაფიკი (გვიან დამით, ან გამოენისას, რაც დამატებით სირთულეებს უქმნის სასტუმროებსაც); აეროპორტში ტურისტებისათვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის არ არსებობა (არ ფუნქციონირებს სერვის ცენტრი, არ არის შესაბამისი ნაბეჭდი პროდუქცია, გაუთვალისწინებელია ე.წ. სატრანზიტო მგზავრებისათვის კომფორტული სერვისი, ან აუცილებელი პირობები გარკვეული რეისების შეფერხების შემთხვევაში); კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურული და სხვა სუბიექტური სირთულეები.

**სარკინიგზო ტრანსპორტი** – სამიერ ძირითადი სარკინიგზო სადგურის (ცენტრალური, დიდუბე, ნავთლუდი) აბსოლუტური არაადაპტირებულობა ტურისტული მომსახურებისადმი (შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქის ის „სახე“, რასაც ქმნიან რკინიგზის სადგურები ანტიტურისტულია);

**საავტომობილო ტრანსპორტი** – ყველა ძირითადი ავტოსადგური (გარეგნული სახიდან ვიდრე მომსახურების კულტურამდე) აბსოლუტურად არაადაპტირებულია არა მარტო საერთაშორისო, არამედ შიდა ტურიზმისთვისაც კი;

**სასტუმროების ქსელი** – დედაქალაქს გააჩნია საკმარისი სიმძლავრეები, არსებობს მისი გაზრდის რეალური პერსპექტივებიც, თუმცა სასტუმროთა ერთნაირი სისტემა (მხოლოდ ე.წ. „გესტპაუსები“), მათი კონცენტრაცია ქალაქის ცენტრში, შიდა ტურიზმის განვითარებისათვის მიუღებელი მაღალი ფასები, ქალაქის ე.წ. პერიფერიულ ზონებში არსებული სასტუმროების მომსახურების დაბალი დონე (საერთოდ სასტუმროების პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების პრობლემა) გარკვეულ სირთულეებს ქმნის დიდი ტურიზმის განვითარებისათვის; აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისში (და არა მხოლოდ) საერთოდ არ არის ფიქსირებული ტურისტების განთავსების ისეთი ობიექტები, როგორებიცაა ე.წ. „B/B“, მოტელი, სასტუმრო სახლი, „აპარტ-ოტელი“ და ა.შ.

### საკომუნიკაციო სისტემები

**შიდა და სატრანზიტო გზები** – მიუხედავად უკანასკნელ წლებში გატარებული გარკვეული ღონისძიებებისა, უნდა აღინიშნოს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ადგილია ტურისტულ კლასტერში; განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია შიდა (არამაგისტრალური) გზები. №2 რუკაზე მოცემული ზოგადი სქემის თანახმად, მაგალითისათვის, ლესელიძის ქუჩა მთავარი მაგისტრალია ძველი თბილისის საექსკურსიო მარშრუტი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი დღეისათვის საერთოდ არ არის აღაპტირებული ტურიზმის მოთხოვნებისადმი (გადატვირთული მოძრაობა, ტრანსპორტის მიზნობრივი გაჩერების შეუძლებლობა, დაზიანებული და უსუფთაო ტროტუარები, რომლებიც ასევე გადატვირთულია უსისტემოდ და ანტისანიტარიულ პირობებში მომუშავე გარემოგაჭრებით და ა.შ.); რაც შექებათ სატრანზიტო გზებს, ძალაშე ხშირად ისინი არ არიან აღჭურვილი შესაბამისი ინფორმაციის მატარებელი

ფარებით, ისევე როგორც სატრანზიტო გზებისათვის საჭირო საინჟინრო ინფრასტრუქტურით და სხვა;

**პაგშირგაბმულობის საშუალებები** – ქ. თბილისის მაგალითზე აღბათ ეს არის ის ერთადერთი კარგი გამონაკლისი, რომელიც თითქმის სრულად პასუხისმგებელი მოთხოვნებს.

### **მომსახურების სფერო**

**ტურისტული კომპანიები** – ქ. თბილისში დღეისათვის 60-ზე მეტი რეგისტრირებული ტურისტული კომპანია, რომელთაგან ოფიციალურად (ქ. თბილისის მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ცენტრის მიერ 2003 წელს ჩატარებული კვლევის მასალები): მხოლოდ 3 ორგანიზაციაა დაკავებული შიდა ტურიზმით, 1 – სერვისული მომსახურებით, მხოლოდ 5 – ძირითადად ტურისტების ქვეყანაში შემოყვანით, დანარჩენი ორიენტირებულია ძირითადად ტურისტების გაყვანასა და ავია ბილეთების გაყიდვაზე. უკვე ეს სტატისტიკა გვიჩვენებს, თუ რამდენად არასწორად არიან ორიენტირებულები თვითონ ტურკომპანიები. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კვლევის გრაფაში „ძირითადი საქმიანობა“ არცერთი კომპანია არ აჩვენებს მიმართულებას – ტუროპერეიტინგი.

**ტურისტების პგების ორგანიზაცია** – თბილისში უამრავი კვების ობიექტია (რესტორანი, ბარი, კაფე და ა.შ.); ერთი შეხედვით თითქოს არავითარი პრობლემა არ უნდა იყოს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ თბიექტების უდიდესი უმრავლესობა ტურიზმზე არაორიენტირებულია (სეზონურობა და შესაბამისი დისქაუნტების სისტემა, კომპლექსური მენიუები, ტურისტული ჯგუფების მიღების ორგანიზაცია და ა.შ.); ასევე შესაბამისი მომზადება აქვს გასავლელი კვების სისტემაში მომსახურე პერსონალს.

**სატრანსპორტო უზრუნველყოფა** – თბილისს, მიუხედავად მისი ისტორიისა, კულტურული მემკვიდრეობისა და ა.შ. არა აქვს შიდა საქალაქო მარშრუტებისათვის გავალისწინებული ე.წ. „ქალაქის საექსკურსიო ტრანსპორტი“ (საკითხის სწორად დაყენების შემთხვევაში ერთმანეთის კონკურენტები შეიძლება ყოფილიყვნენ – ადაპტირებული კონკა, ფაეტონი, ტივი და ბორანი – მტკვარზე და ა.შ.);

**სერვისული მომსახურება** – მიუხედავად ტურიზმის (როგორც დარგის) განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიისა, დღეისათვის (უკანასკნელი

ათწლეულის სტანდარტული მემკვიდრეობა) ქალაქში არა გვყავს ახალგაზრდა პროფესიონალი გილი-ექსკურსიამძღოლები, გიდები (მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში); ძალზე მწირია ის თვალსაჩინო მასალა, რაც სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ამ მიმართულებით კეთდება (გაიდ-ბუქები, რუკები, პროსპექტები, სხვა სპეციალური სარეკლამო მასალა და ა.შ.); თბილისს არა აქვს სერვის ცენტრი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება და აუცილებელი შეკვეთების გაფორმება; თბილისის 12 სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი თითქოს ამზადებენ სპეციალისტებს ამ დარგისათვის, მაგრამ სასწავლო პროგრამებისა და პროფილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკულად ყველა ამზადებს ე.წ. „საერთაშორისო ტურიზმის მენეჯერს“, რაც ნამდვილად არ ხსნის კადრების პრობლემას.

პრობლემათა ჩამონათვალი ამით არ ამოიწურება. შემდგომ ეტაპზე, სტრატეგიის შემუშავებისას, აუცილებელი იქნება თითოეული ამ პრობლემის გადაჭრისათვის როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი გამოცდილების გაანალიზება და ქალაქის სინამდვილისადმი მორგება.

### **თანამედროვე თბილისი და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები**

დღეგანდელ თბილისში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების (ზემოთ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე) პერსპექტივების ანალიზისას, მიგვაჩნია, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით (ფორმის შესაბამისად), განხილული შეიძლება იყოს სამი ძირითადი ვარიანტი:

1. **თბილისი** – როგორც შიდა, ასევე საზღვარგარეთელი ტურისტების, უშუალოდ მიმღები ობიექტი;
2. **თბილისი** – როგორც გარკვეული აგლომერაცია (თავისი შემოგარენით) და აქედან გამომდინარე ტურისტების (როგორც შიდა, ასევე საზღვარგარეთელი) მიმღები ობიექტი;
3. **თბილისი** – როგორც დედაქალაქი, ანუ ცენტრალური ქალაქი, რომელიც იღებს საქართველოში ჩამოსული სტუმრების უდიდეს ნაწილს და, აქედან გამომდინარე, ძირითადი სატრანზიტო ფუნქციების მატარებელი ობიექტი.

თითოეულ მიმართულებას, გამომდინარე ზემოთაღნიშნული კრცელი კულტუროლოგიური ინფორმაციიდან, შესაბამისი განვითარების შესაძლებლობები გააჩნია, თუმცა მაინც არსებობს გარკვეული პრიორიტეტები და ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციები.

### **ა) თბილისი (აგლომერაციაც) – როგორც ტურისტების მიმღები ობიექტი**

გამომდინარე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობიდან (რაც ზემოთ ვრცლად არის აღწერილი), გეო-პოლიტიკური მდებარეობიდან და მისი, როგორც დედაქალაქის ფუნქციიდან, თბილისში შესაძლებელია და უნდა განვითარდეს ტურიზმის შემდეგი სახეები:

- **კულტურულ შემეცნებითი ტურიზმი** – ამ მიმართულების შესაბამისად, გამომდინარე მისი რესურსული პოტენციალიდან, შესაძლებელია დამუშავდეს უაღრესად საინტერესო მარშრუტები:

➤ **ძველი თბილისი (იხ. რუკა №1)** – ამ მარშრუტში უნდა აისახოს ზუსტად ის, რასაც წინამდებარე კონცეფციით თბილისის ისტორიის პირველი შრე ჰქვია. ვფიქრობთ სერიოზულად არის ჩამოსაყალიბებელი როგორც მარშრუტი (ვარიანტები: თბილისის მუზეუმიდან მუზეუმამდე, ან აბანოთუბნიდან მეტების პლატომდე და ა.შ.), ასევე შესაქმნელია შესაბამისი ისტორიულ-სარეკლამო ტექსტი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაძლებელია დამუშავდეს როგორც დღის, ასევე დამის მარშრუტი; ასევე ცალკე შეიძლება გაკეთდეს მარშრუტი მტკვარზე გასეირნებით ძველ თბილისში (ჩოგბურთის კორტებიდან 300 არაგველის ობელისკამდე) შესაბამისი პროგრამით (გასეირნებისათვის შესაძლებელია როგორც არსებული სამდინარო მცირე ზომის გემების გამოყენება, ასევე ტივის ანდა სულაც ბორნის თემის გაცოცხლება).

აღნიშნული ზონა ერთნაირად საინტერესო იქნება როგორც საზღვარგარეთელი (ე.წ. შემომსვლელი), ისევე ადგილობრივი ტურისტისათვის. ადგილობრივთან დაკავშირებით სერიოზულად იქნება ჩამოსაყალიბებელი ტექსტებიც და მარშრუტებიც ახალგაზრდებისათვის (სასკოლო ასაკი და სტუდენტობა), რომლებთან მიმართებაშიც ეს ექსკურსიები უმჯობესი იქნება დაუკავშირდეს საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის სასწავლო პროგრამებს (ასეთი მიდგომის შემთხვევაში, რაც მსოფლიოში ყველგან არის აპრობირებული,

ერთნაირად მოგებული დარჩება როგორც სახწავლო ინსტიტუტები, ასევე ტურისტული ობიექტები).

ძველ თბილისთან დაკავშირებით ხაზგასმით გვინდა კიდევ ერთი გარემოების აღნიშვნა:

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ XVIII საუკუნემდელი თბილისის რეალობიდან (მაშინ, როდესაც დედაქალაქის 16 საუკუნოვან ისტორიაზე ვსაუბრობთ) თითქმის არაფერი აღარ არის შემორჩენილი თვით ძველ თბილისშიც (კრწანისის ომის შემდეგ ქალაქი პრაქტიკულად მოისპო, შემორჩენილია მხოლოდ საკულტო ნაგებობების ნაწილი – სიონი, ანჩისხატი, მთაწმინდა, მეტეხი და თვით ნარიყალა). შესაბამისად, საკმაოდ რთულია ჭეშმარიტი ისტორიის ადექვატური ტურისტული პროდუქტის ფორმირება და შეთავაზება. ამავდროულად ვახუშტი ბატონიშვილის მიერ 1735 წელს გაკეთებულ თბილისის გეგმის მიხედვით შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით აღვადგინოთ ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების აღილმდებარეობა, როგორებიცაა: მეფისა და დედოფლის სასახლეები, კარის ეკლესია, მეფის მოედანი, ბატონიშვილის სასახლე, ამილახვრის, მუხრანბატონის, ციციშვილის, არაგვის ერისთავის სასახლეები და სახლები, მეფის ფუნდუკი, თბილელის, მელიქის, ბეჟანას ქარვასლები, მეფის საბაზიერო, მეიდნის ახალი, ბებუთას, კრწანისის, ციხის, სეიდაბადის, თბილელის, ყაიბულას, მამასახლისის მეფისა და დედოფლის ბაღები, ქალაქში შესასვლელი ყველა კარი, ხიდი, ეკლესია და მრავალი სხვა საერო დანიშნულების ნაგებობა. იმისათვის, რომ ძველი თბილისი თანამედროვე ტურისტული ობიექტი გახდეს, აუცილებელია მოიძებნოს ზემოთ აღნიშნული ობიექტების გეგმარებითი და სივრცული მონიშვნის ფორმები და საშუალებები (თანამედროვე მსოფლიოს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. მაგ.: ქ. ფილადელფიაში უკვე არარსებული ჯ. ვაშინგტონის სახლი „მონიშნულია“ და საექსკურსიო ობიექტს წარმოადგენს) და, ამასთან ერთად, გაცოცხლდეს ყველა ლეგენდა თუ თქმულება, რომელიც ადექვატური „შეფუთვის“ შემთხვევაში, ტურისტების მოზიდვის საშუალება გახდება.

- თბილისის ისტორიულ-კულტურული ცენტრი (იხ. რუკა №2) – ეს არის ტერიტორია, სადაც თავმოყრილია პრაქტიკულად ყველაფერი ის (თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე გამონაკლისს), რაც შეადგენს დედაქალაქის

ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას. აქედან გამომდინარე ამ ზონაში შესაძლებელია განხორციელდეს ყველა ის თემატური მიმართულება, რაც ქვემოთ არის აღწერილი.

- ♦ ევროპისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორია თბილისის ქუჩებში
  - აღნიშნულ მარშრუტზე უნდა ლოგიკურად (ქრონოლოგიურად) დალაგდეს ყველა ის ობიექტი და ზონა თბილისის ისტორიულ-კულტურული ცენტრისა, რომელიც არის დაკავშირებული: გერმანული, ფრანგული, ბრიტანული, იტალიური, თურქული და სხვა (რეალური მასალის შესაბამისად) ქვეყნების წარმომადგენელთა თბილისის გავლის (მოგზაურები მარკო პოლოდან დაწყებული), თბილისში ცხოვრებისა და მოღვაწეობის (როგორც ზოგადად კულტურის, ასევე ბიზნესის, რელიგიის და ა.შ. წარმომადგენლები) ისტორიასთან. საკითხი საკმაოდ სერიოზულ თეორიულ მუშაობას მოითხოვს (რომ ჩამოყალიბდეს კვალიფიცირებული და დირებული მარშრუტების ტექსტები), თუმცა სხვანაირად შეუძლებელი იქნება მსოფლიო (თუნდაც ევროპული) ტურისტულ ბაზარზე გასვლა, სადაც დღეს ყველაფერს უმაღლესი კვალიფიკაცია, შეთავაზებული სერვისების დონე და მრავალფეროვნება, ეგზოტიკურობა და გარკვეული გაგებით მითოლოგიზირება განსაზღვრავს.

აღნიშნულ ზონაში მარშრუტების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემოსული ჯგუფის ხასიათი (წარმომავლობა) და უნდა შეეთავაზოთ არა ზოგადად ისტორიულ-კულტურული ცენტრი (როგორც ასეთი), არამედ გერმანელის, ფრანგის ანდა ბრიტანელისათვის საინტერესო (ორმხრივი ისტორიულ-კულტურული კავშირების დამადასტურებელი) ქუჩები (ძველი და ახალი დასახელებით), შენობანაგებობები, უბნები, სახლ-მუზეუმები (სადაც არსებობს ამ ორმხრივი კავშირების დამადასტურებელი მასალები), მუზეუმები და ა.შ.

იგივე მარშრუტები ორგანულად შეიძლება დაუკავშირდეს შიდა ტურიზმში ახალგაზღების განათლება-გათვითცნობიერების ამოცანებს (შესაბამისად ჩამოყალიბდეს ურთიერთობის ფორმები სასწავლო დაწესებულებებსა და ტურისტულ კომპანიებს, ან ქ. თბილისის ტურისტულ სამსახურთან, რომელთან დაკავშირებითაც ქვემოთ სპეციალურად შევჩერდებით). მარშრუტებზე გარკვეული ნოსტალგიური

ინტერესით გაივლიდნენ უფროსი თაობის (პენსიონერები) ადამიანებიც, მითუმეტეს თუ შესაძლებელი იქნებოდა მათთვის ე.წ. „სოციალური ტურების“ ორგანიზება.

- ♦ **რუსული კულტურის გზები თბილისში** – რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია (როგორც ხანგრძლივობით, ასევე მრავალფეროვნებითა და მრავალსახეობით) საკმაოდაა ასახული საქართველოს დედაქალაქის იერსახეზე. ტურიზმისათვის რა თქმა უნდა საინტერესოა ის მასალა, რომელიც შეიძლება საინტერესოდ და ორმხრივ სასარგებლოდ შეეთავაზოს როგორც რუსეთის ტურისტულ ბაზარს, ასევე საქართველოში მაცხოვრებელ რუსულ დიასპორას. მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ტურისტული ბაზრისათვის (და არა მხოლოდ!) ერთნაირად მიუღებელია როგორც ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული (დიდი ქმა), ასევე პოლარულად განსხვავებული (აუცილებლად მტერი) სტერეოტიპები. საერთოდ, სამომავლო თვალთახედვით მითუმეტეს, ძალზე ბევრი საინტერესოს ნახვა შეიძლება თბილისის ქალაქად ჩამოყალიბების ისტორიასა და კონკრეტული რუსი პიროვნებების დამსახურებას შორის (თუნდაც ვორონცოვი, რომლის სახელი თბილისის ერთ-ერთ უბანს, მიუხედავად ათასგზის ცვლილებისა, მაინც შემორჩა). აღნიშნულიდან გამომდინარე ახლიდან და ახლებურად არის გასააზრებელი მთელი იმ მასალის (მარშრუტი, ტექსტი, ბუკლეტი, გზამკვლევი, რუპა და ა.შ.) შინაარსი, რომელიც რუსულენოვანი ტურისტული ბაზრისათვის შემუშავდება.
- ♦ **მოდერნიზმი და თბილისი** – აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონცეფციაში ჩადებულია სპეციალური ბუკლეტი „მოდერნი თბილისში“ ავტორიზებული ტექსტითა და მარშრუტით, სწორედ იმის სადემონსტრაციოდ თუ როგორ უნდა მომზადდეს ისტორიულ-ანალიტიკური ტექსტი და სქემა მარშრუტისა – როგორც ტურპროდუქტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.
- ♦ **თბილისი მულტიკულტურული ქალაქი** – ამ თემაზიკის მარშრუტმა უნდა აჩვენოს ნებისმიერ დაინტერესებულ ტურისტულ ჯგუფს ის ტოლერანტობა (როგორც თბილისური ცხოვრების წესი), რომლის შედეგიც არის თბილისის ეროვნულ-ეთნიკური მრავალფეროვნება.

მარშრუტები უნდა დამუშავდეს ცალკეული ეთნო-კულტურების წარმომადგენლებისათვის (ასეთმა ტურპროდუქტმა შეიძლება კარგად იმუშაოს ე.წ. „ნოსტალგიური“ ტურების ორგანიზებისას), მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მსგავსი დიასპორები სხვადასხვა ქვეყნებში ჩამოყალიბებულია და, მასობრივი ტურიზმისათვის აღექვატური პირობების შექმნის შემთხვევაში, პირველ რიგში სწორედ შესაბამისი პროგრამები და იმ ეთნიკური დღესასწაულების (საერო, რელიგიური) კალენდარი იქნება შესათავაზებელი, რისი ორგანიზებაც შეეძლება ქალაქს.

- ♦ **თბილისური ცხოვრების წესი** (ისტორიული უბნები, თბილისური სახლი, აივნები და ა.შ.) – აღნიშნული თემატური მარშრუტებით, რომელიც მოიცავს როგორც ისტორიულ ძველ თბილისს, ასევე მის ახალ რაიონებს, შესაძლებელი იქნება ასეთი ტურ-პროდუქტით დაინტერესებულ მნახველს აჩვენო ქალაქი-პალიმფსესტის ისტორიულ-ურბანული გენეზისი; აჩვენო რა როლი ითამაშა ამა თუ იმ პერიოდმა (ამა თუ იმ სტილმა თუ მიმდინარეობამ) თბილისის დღევანდელი „სახის“ ჩამოყალიბებაში.

მიგვაჩნია, რომ ამ მარშრუტების ე.წ. „საშინაო“ მოდელები, რომლებიც მიზნობრივად მოზარდ თაობაზე (განსაკუთრებით ე.წ. თინეიჯერები) შეიძლება იყოს გათვლილი, ძალზე ფაქიზად და საინტერესოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რათა მან თავისი როლი ითამაშოს მომავალი თბილისელების ფორმირებაში. სხვა შემთხვევაში ქვეყნის დედაქალაქი არა მხოლოდ ურბანულ-არქიტექტურულად დაკარგავს თავის საკუთარ სახეს.

„უსახური“ ან თუნდაც ე.წ. ტიპიური ქალაქებისათვის დღევანდელი ტურისტული ბაზარი დროს და სახსრებს აღარ ხარჯავს.

- ♦ **თბილისი – ქართული ლიტერატურის ცენტრი** (მწერლებისა და პოეტების სახლ-მუზეუმები) – აღნიშნული თემის შესაბამისი მარშრუტისა და ლეგენდის (ტექსტის) დამუშავება საშუალებას მოგვცემს „გავაცოცხლოთ“ ის სახლ-მუზეუმები, რომლებიც დღეს განადგურების პირსაა მისული. ამ მარშრუტის ძირითადი კონტინგენტი/მომხმარებელი მეცნიერები (ლიტერატორები), სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდები შეიძლება იყვნენ. სახლ-მუზეუმების ფეხზე დაყენებისა და მათი თანამედროვედ

ადაპტაციის შემდეგ მათი მნახველი ნებისმიერი კონტინგენტი შეიძლება (და უნდა) იყოს.

- ◆ **სახვითი ხელოვნება და თბილისი** – კულტუროლოგიური მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც სახლ-მუზეუმების, ასევე საგამოფენო დარბაზების საშუალებით თბილისში შეგვიძლია გავეცნოთ როგორც ქართული, ასევე გ.წ. „თბილისური“, ევროპული და აზიური სკოლების ნამუშევრებს, რომლებიც აინტერესებთ როგორც დარგის სპეციალისტებს, ასევე ნებისმიერი ქვეყნის განათლებულ საზოგადოებას.
- ◆ **თეატრალური თბილისი** – ქალაქის თეატრალური კულტურის ისტორია პრაქტიკულად ქვეყნის ანალოგიური ყოფის ისტორიაა. რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს (ზემოთ უკვე აღნიშნულ დუალიზმთან და დიქოტომიასთან ერთად) დამატებული ე.წ. ძველი თუ უკანასკნელი ათწლეულის პირმშო თეატრები (როგორც შენობა-ნაგებობები, ასევე კოლექტივები და რეპერტუარი) ორგანულად შეიძლება ჩაერთონ ქალაქის ტურისტულ ფუნქციაში როგორც დამოუკიდებელი მარშრუტი (სპეციალისტებისა და უბრალოდ თეატრის თაყვანისმცემლებისათვის), ასევე დამატებითი სერვისული მომსახურება ნებისმიერი კატეგორიის ტურისტული ჯგუფებისათვის. აქ ხაზგასასმელია ერთი გარემოება – თბილისის თეატრალური ცხოვრება არანაირად არ არის ადაპტირებული ტურისტულ სეზონთან, რაც ცალკე ფიქრის საგანია.
- ◆ **თბილისი –კინემატოგრაფიული ცენტრი** – ქართული კინოს ისტორიის მთელი შესაძლებლობა თბილისშია კონცენტრირებული, შესაბამისად დიდ სირთულეს არ წარმოადგენს საინტერესო მარშრუტისა და კინო- დაგენდის დამუშავება, რომელიც ერთნაირად საინტერესო იქნება როგორც ადგილობრივი, ასევე შემომსვლელი ტურისტებისათვის. გასათვალისწინებელი იქნება ასაკობრივი მოთხოვნილებები და ინტერესები.
- ◆ **მუსიკალური თბილისი** – ეს არის ქალაქის ის შესაძლებლობა (ფოლკლორული მრავალფეროვნებიდან კლასიკამდე), რომელიც აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული როგორც დამატებითი სერვისი.

თუმცა აღსანიშნავია, რომ მუსიკალური და ტურისტული სეზონები თანხმდენილი არ არიან და ესეც შესაბამისი რეგულირების საგანია.

- ♦ **თბილისი, როგორც სოცრეალისტური ფენომენი** (მაგალითად მარშრუტი „სტალინური“ არქიტექტურა) – ეს მარშრუტიც, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა თემა, პირველ რიგში საჭიროებს ზუსტ კარტირებას და შესაბამისი ლეგენდის (ტექსტის) დამუშავებას. რაც შეეხება ისტორიულ მასალას, ის ქალაქში, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, საკმარისზე მეტია.

➤ და ა.შ.

ამასთან ერთად, თითოეულ მარშრუტთან მიმართებაში (განსაკუთრებით საზღვარგარეთელი ტურისტებისათვის) შესაძლებელია ცალკე ელემენტები დამუშავდეს ე.წ. „თბილისური აბანოს“ (თავისი მექისით, ჩაიხანითა და ა.შ.) თემა და შეთავაზებული იქნას როგორც პროგრამული ნაწილი (ინკლუზივ-ტურებისათვის) და როგორც დამატებითი სერვისული მომსახურება; ამავე ასპექტში შეიძლება განხილული იქნას თბილისური დღესასწაულების (ის რაც კონცეფციის შესაბამისად შეიძლება განხორციელდეს) კალენდარი და მასში ტურისტების თანამონაწილეობაც.

- **სპეციალიზებული ტურიზმი** – აღნიშნული, ტურიზმის ის კომპლექსური მიმართულებაა, რომლიშიც შეგვიძლია მოვიაზროთ როგორც მეცნიერების სხვადასხვა დარგი (არქეოლოგია, ისტორია, ლინგვისტიკა, ეთნოგრაფია და ა.შ.), ასევე ბიზნეს-ტურიზმი და ე.წ. „კონფერენც-ტურიზმი“. ქ. თბილისს, როგორც საქართველოს დედაქალაქს, ყველა ამ მიმართულების შესაბამისად საქმაოდ კარგი რესურსი (ტრადიცია და თანამედროვეობა, გეო-პოლიტიკა, საერთაშორისო პროექტები – დიდი აბრეშუმის გზა, ტრასეება, ევრაზიური კორიდორი და ა.შ.) და მითუმეტეს განვითარების პერსპექტივები აქვს. საჭირო იქნება ამ პერსპექტივების გათვალისწინებით აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა, რომლის გარეშეც საქმაოდ დიდი პოტენციალი გამოუყენებელი დარჩება.
- **ახალგაზრდული ტურიზმი** – თბილისი სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი მძლავრი საუნივერსიტეტო ქალაქია; შესაბამისად, მისი მაცხოვრებლების სოლიდური ნაწილი ახალგაზრდაა (როგორც ადგილობრივი, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული). საგანმანათლებლო რეფორმის

მიმდინარეობის ფონზე ვვარაუდობთ, რომ ეს თანაფარდობა კიდევ უფრო გაიზრდება. აქედან გამომდინარე აუცილებელია დამუშავდეს შესაბამისი თემატური მარშრუტები და შეიქმნას მიზნობრივი ტურისტული პროდუქტი (რომელიც ფორმითა და შინაარსით განსხვავებული იქნება). ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ქართული (შესაბამისად თბილისური) ტურისტული პროდუქტი არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ეს შენიშვნა უპირველესად სწორედ ასაკობრივ კატეგორიებს ეხებათ.

თუ გავითვალისწინებთ თბილისის შემოგარენის გეოგრაფიას, ინფრასტრუქტურის არსებულ მდგომარეობას, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის რესურსეს, შესაძლებელია განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის შემუშავდეს როგორც ფეხით მოსიარულეთა, საცხენოსნო, მაუნთბაიქინგის და შერეული კონფიგურაციის მარშრუტები, რომლებიც, ყველაფერთან ერთად, ხელს შეუწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას.

- „**სოციალური ტურიზმი**“ – აღნიშნული მიმართულება ტურიზმის ის რეზერვია, რომელიც ჩვენთან განვითარებული არ არის (სახელმწიფოს საბიუჯეტო-ფისკალური მდგომარეობის გამო), თუმცა დროა სერიოზული ყურადღება დავუთმოთ, თუნდაც იმ შემომსვლელ ტურისტებთან მიმართებაში, რომლებიც ასეთი პროგრამებით მოგზაურობენ (მათთვის შეთავაზებულ სერვისებს გარკვეული სპეციფიკა აქვს).

თბილისს თავისი შემოგარენის ჩათვლით აქვს საშუალება განავითაროს ტურიზმის ისეთი მიმართულებებიც, როგორებიცაა (იხ. რუკა №4):

- **ეპო-ტურიზმი** – შესაძლო მარშრუტებია: თბილისი – საგურამო – ზედაზენი, თბილისი – გლდანი – მამკოდა, თბილისი – მცხეთა – არმაზის ხეობა, თბილისი – მთაწმინდა – კუს (ქორქის) ტბა, თბილისი – კოჯორი – უმო – მთაწმინდის ქვედა პლატო, თბილისი – თელეთის ქედი – შავნაბადა.

ამავე ორიენტაციით გარკვეული ინტერესის საგანი შეიძლება იყოს თბილისში ე.წ. „პატრიარქი ხეები“, პეპლები (800-მდე სახეობა რეგისტრირებულია, რაც საქართველოში ცნობილი პეპლების 50%-ა) და ა.შ.

- **სათავგადასავლო ტურიზმი** – შემოგარენის გეოგრაფიიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია დამუშავდეს სამთო და ფეხით მოსიარულეთა, საცხენოსნო, მაუნთბაიქინგისა და

შერეული კონფიგურაციის მარშრუტები ტურისტების ასაკობრივი კატეგორიების გათვალისწინებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ფორმა აქტიურად შეიძლება იყოს გამოყენებული ე.წ. „უიქ-ენდის“ (დასვენების დღის) პროგრამების შედგენისას (ამის დიდი ინტერესი ქ. თბილისში მომუშავე დიპლომატიური კორპუსისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უველთვის პქონდათ).

- **აგრო-ტურიზმი (ფერმერული/სასოფლო)** – თუ გავითვალისწინებთ თბილისის გარშემო მდებარე სოფლების მეურნეობრივი განვითარების ისტორიას, ტრადიციას, გამოცდილებასა და ყოფითი კულტურის დონეს, შესაძლებლად მიგვაჩნია ტურიზმის თვით ასეთი მიმართულების განვითარებაც კი.

#### **ბ. თბილისი – როგორც სატრანზიტო ქალაქი (იხ. რუკა №4)**

აღნიშნული ფუნქციის შესაბამისად ქალაქში ტურიზმის განვითარების კონცეფციის შემუშავებისათვის აუცილებელია ხედვის ჩამოყალიბება ისეთ პოზიციებთან მიმართებაში, როგორებიცაა:

- **ქალაქის (შესაბამისად ქვეყნის) შეღწევადობის ხარისხი** – აეროპორტი, სარკინიგზო და ავტო სადგურები, საერთაშორისო მარშრუტები, სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმები, საზღვარგარეთელი მოქალაქეების ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის, გასვლის, ისტორიულ-კულტურული დირექტულებების შემოტანა-გატანის რეჟიმები და ა.შ.
- **თბილისში ტურისტების სხვადასხვა კატეგორიების მიღება-განთავსების მოთხოვნათა ადექვატური ინფრასტრუქტურის (სასტუმროები კატეგორიების შესაბამისად, მოტელები, კემპინგები, საერთო საცხოვრებლები და ა.შ.) არსებობა და შეთავაზებული სერვისების ხარისხი; განსაკუთრებით ფასი/ხარისხის, კატეგორიის მინიჭების (აქ სრული ანარქიაა) და აქედან გამომდინარე მომსახურების დირექტულების საკითხები;**
- **დედაქალაქში ტურისტების კვების ორგანიზაციის ინფრასტრუქტურა** – მისი შესაძლებლობები და მრავალფეროვნება, საფასო პოლიტიკა, ადაპტირებულობა ტურისტულ პოლიტიკაზე და ა.შ.
- **დაზღვევისა და სამაშველო სამსახურების შესაძლებლობები;**
- **დედაქალაქში ტურისტული სერვის-ცენტრებისა და სერვის სამსახურების საქმიანობის შესაძლებლობები და პრაქტიკა:**

- შიდასაქალაქო, საქალაქთაშორისო და რეგიონთაშორისი სატრანსპორტო მომსახურება, სისტემის ადექვატურობა ტურიზმის მოთხოვნილებებისადმი;
- საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა;
- გართობა-დასვენების, თავისუფალი დროის გატარების ინფრასტრუქტურის ადექვატურობა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის ადექვატურობა შესაძლო მოთხოვნილებისადმი და ა.შ.

### **ტურიზმის მართვის სისტემის ანალიზი (ოპტიმიზაციის მირითადი ასპექტები)**

ქ. თბილისში ტურიზმის მართვას ხანგრძლივი ისტორია და შესაბამისად მუდმივად ცვალებადი ხასიათი აქვს. გასულ საუკუნეში თბილისს (გარდა ცხნილობური და პროფესიული უწყებებისა) ჰქონდა თავისი ტურისტული სამსახური, რომელიც ასევე თავის თავზე იდებდა ყველა სერვისულ (ტრანსპორტი, გიდი, დაბინავებისა და კვების ორგანიზაცია და ა.შ.) მომსახურებას. ამასთან ერთად პოლიგრაფიულ-საგამომცემლო კომპლექსი უზრუნველყოფდა სხვადასხვა ტიპის ნაბეჭდ სარეკლამო პროდუქციას.

ქვეყანაში განხორციელებული რადიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შემდეგ (1990 წლის შემდეგ) სახელმწიფო მართვის იერარქიაში ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა (შესაბამისი საბიუჯეტო ფინანსირებით); ამის მიხედვით გარკვეული ავტონომიური სტატუსით ფუნქციონირებდა ქალაქის ტურისტული სამსახური (პრაქტიკულად 2-3 შტატი და პროგრამულ-მიზნობრივი დაფინანსების პერსპექტივა, რაც პერსპექტივად რჩებოდა წლების მანძილზე).

2003 წლის ბოლოს განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდა თბილისის კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სამსახური (პირველად მოხდა კულტურისა და ტურიზმის ერთიანად მოაზრება, რაც შეესაბამებოდა საერთაშორისო პრაქტიკასა და დარგის განვითარების ლოგიკას), სადაც პირველად დაიწყო დედაქალაქის კულტურისა და ტურიზმის განვითარების კონცეფციაზე მუშაობა; აღსანიშნავია ისიც, რომ ტურიზმის სამსახურს ჰქონდა გარკვეული პროგრამული ბიუჯეტიც. თუმცა 2004 წლის ბოლოს ეს სამსახური ისევ დაიშალა და ტურიზმის სამსახური შეუერთდა

მერიის ეკონომიკურ სამსახურს (სახელმწიფო მართვის ახალი სტრუქტურის შესაბამისად, სადაც გაუქმდა ტურიზმის დეპარტამენტი და სამსახურის სახით, 10 კაციანი შტატით(!) შეუერთდა ეკონომიკის სამინისტროს) 2 შტატით და დამოუკიდებელი ბიუჯეტის გარეშე(!). ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი) ღიად აცხადებს დარგის პრიორიტეტულობის შესახებ. სახეზე გვაქვს კლასიკური შეუსაბამობა.

# გარე და შიდა რესურსული პოზიციალის ანალიზი

## (Swot)

### kultura

#### ძლიერი და სუსტი მხარეები

ფაქტორები	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. კულტურის სახელმწიფო პოლიტიკა	კვლევითი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების მთველი რიგი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა; საქანონმდებლო ბაზის არსებობა (მეტნაკლებად).	კულტურულ ფასეულობათა იერარქიის რდევება; მართვის ორიენტაციის არასტაბილურობა (ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაცია) თვითმმართველობაში. სამართლებრივი სტრუქტურების შექარებისას კულტურული დაწყებების პრაქტიკასთან; კანონები, როგორც წესი არ სრულდება; კულტურული დაწყებებულებები და პროექტები მეტწილად საკუთარ ინტერესებზე არიან ორიენტირებულები და საერთო პროცესის გაუმჯობესებას არ უწყობენ ხელს; თანამედროვე, ეფექტური კულტურის მენეჯმენტის შეზღუდული ცოდნა, რაც უარყოფით მოქმედებს კულტურის განვითარებაზე; კულტურის სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და განვითარებისადმი ზერელუ დამოკიდებულება; ინფორმაციის პერმეტიზაცია და არასაჯარობა; საბჭოური ელექტრონული მქონე მასკულტურის პროპაგანდირება;
2. მოსახლეობა	კულტურის დაცვა-გადარჩენის საქმეში საზოგადოებრივი ჯგუფების აქტივობა – სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო ინიციატივები; ქალაქისათვის სიმბოლური შენობების რესტავრაცია კერძო დაფინანსების საშუალებით;	მოსახლეობის პროპაგანდირებული მასკულტურაზე ორიენტაცია; მოსახლეობის კულტურული დეზორიენტაცია; საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის კონსოლიდაციის არ არსებობა; ინფორმაციის გასაჯაროებასთან დაკავშირებული სუბიექტები და ობიექტები პრობლემები.
3. სივრცითი ორგანიზაცია	ქალაქის რედიუფის მრავალფეროვნება	ურბანული პოლიტიკის არ არსებობა; ქალაქის განვითარების კონცეფციისა და სტრატეგიის არ არსებობა; კულტურული „თაგომბალიზაცია“ - ცენტრის „კულტივირება“; ურბანული კულტურული სიერცის უთანასრობა, ქალაქის პერიფერიული უბნების კულტურული იზოლირება, მარგინალიზება; ვაზუალური ქაოსი სიერცითი გეგმის არასტაბილური გამომდინარე; კულტურაზე, როგორც ურბანიზაციის, თანამედროვე დაზიანისა და არქიტექტურის საკითხების მომცველ ფართო სფეროზე დაკვირვების სირთულე;
4. კეოლოგიური მდგრადირება		ეკოლოგიური კატასტროფის ნიშნები (მითუმებები, რომ ქალაქის სამრეწველო სიმძლავრეები გაჩერებულია); მწვანე საცარის გაქრობა
5. საინჟინრო ინფრასტრუქტურა		მიწისქვეშა კომუნიკაციების უმძიმესი მდგრადირება (ურბანულ-კომუნალური კატას-

		ტროფის პერსაცეპტივა); უხარისხო მშენებლობა
6. ექონომიკური ფონი (დარგის განვითარებისათვის)		ფინანსური რესურსების ნაკლებობა (არასებობა); კულტურული ინდუსტრიის განვითარებლისა; გააზრებული კულტურის ექონომიკური პოლიტიკის არასებობა (შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა); ფსევდოტრადიციული (საბჭოური) კულტურის დაფინანსების დომინირება;
7.სოციალური ფონი (დარგის განვითარებისათვის)	კონკივიალურობა-თანაცხოვრების უნარი ეროვნულ ხასიათში არსებული ბუნებრივი არტისტიზმი; პრივატული ყოფის (სივრცის) ესთეტიზაცია;	საზოგადოებრივი სივრცეების იგნორირება; არ ხდება კულტურის სოციალური მიზანი; კულტურა გაიაზრება კვლავ ვიწროდ, როგორც ესთეტიკური შემოქმედების სფერო და რჩება ეწ. კულტურის მოღვაწეთა პრობლემად; „ავტორიტეტების“, „ცნობილი სახეების“ ინსტიტუტის შექმნა, რომელიც ქმნის ამგვარ კულტურულ იდეოლოგიას;
8. საზოგადოების სართო კულტურული დონე (ისტორია, ტრადიცია)	სტუმართმოყვარეობა; სოციალური ურთიერთობების გახსნილობა, გულისხმიერება, სამეზობლო (სათემო) ინსტიტუტის არსებობა;	ტრადიციის პროფანირება;
9.სუბკულტურები	14 სათვისტომოს არსებობა; სხვადასხვა კულტურათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული ძეგლების არსებობა; მულტიკულტურულ ურთიერთობათა წარმატებები მაგალითები და ტოლერანტობის ხანგრძლივი ისტორია (ანტისეიტიზმის არსებობა; წარსულში რელიგიური ჟენტინარებლობა); სუბკულტურათა ურთიერთმიმართება ერთანი კულტურული ლანგაზტის შექმნისას	არაინტეგრირებულობა ზოგადად საზოგადოებაში; შიდაინსტიტუციონალური სისუსტე; უმცირესობათა პრობლემების საკითხებით დაკავშირული სპეციალური სახელმწიფო უწყებების არარსებობა; ქართული მოსახლეობის მხრიდან ინტეგრის სიმცირე და „უცხოუს“ შიში; სუბკულტურების შიდაზაკეტილობა; რელიგიური შეუწყნარებლობის ზრდის ტენდენცია.
10. კულტურის ძგლები (უძრავი და მოძრავი)	უძველესი კულტურული მემკვიდრეობა მდიდარია ისტორიული ძეგლებით; მრავალფეროვანი და საინტერესო ძირითადი კულტურული რესურსები;	მათი მძიმე მდგრმარეობა;
სუროთმოძღვრება	მდიდარი მემკვიდრეობა – საკულტო, საქრო;	მათი მძიმე მდგრმარეობა;
სახითი ხელოვნება	მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა – საკულტო, საქრო; მათი ნაწილობრივ კარგი მდგრმარეობა;	მათი მძიმე მდგრმარეობა;
ხელნაწერები	მდიდარი მემკვიდრეობა – საკულტო, საქრო; მათი მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი მდგრმარეობა;	საცავების მძიმე მატერიალურ-ტექნიკური მდგრმარეობა და აქვდან გამომდინარე პრობლემები;
11. კულტურული დანდშავტი (მრეჯბი)		არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ურბანული შრეების იგნორირება და მათი დაღუპვა; მუზეუმების მძიმე მდგრმარეობა;
12. ხელოვნება	შესაბამისი ინსტიტუტების არსებობა; საგანმანათლებლო და სხვა ინსტიტუტებში, გადაწყვეტილი კონკურენტუნარიანი გარემოს შესაძლებლობა; თბილისი XX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან დღემდე თანამედროვე ხელოვნების ცენტრია ეთნოსიაში: ხელოვნების მუზეუმის, თეატრისა და კინოს მუზეუმების საცავებში დაცულია რუსული, სომხური, თანამედროვე ხელოვნების გარემოს შესაძლებლობა;	„ოფიციალური“ ხელოვნების განხილვა; ფსევდო აგტორიტეტთა ინსტიტუტის შექმნა; ძალზე არათანაბარი სასტარტო მდგრმარეობა ბაზის შესაქმნელად, შეფასების კრიტერიუმების არ არსებობა. შემოქმედის სოციალური დაცვის საკანონმდებლო სივრცის არარსებობა; თანამედროვე ხელოვნების მარგინალის

	პოლონური, ქართული და ა.შ. ავანგარდის ნიმუშები.	ზაცია; ინსტიტუციათა შორის საერთაშორისო ურთიერთობის არარსებობა; იზოდაციონიზმი – ექსპორტ-იმპორტის არ არსებობა; ცუდი საგანმანათლებლო სისტემა – კადრების რაოდენობის ულოგიკო ზრდა; მატერიალური ბაზის არარსებობა.
13. არქიტექტურა	სამშენებლო ინდუსტრიის არსებობა;	ურბანული პოლიტიკის არარსებობის ფონზე არსებული „ცუდი“ ხარისხის არქიტექტურა;
14. მუსიკა	ინსტიტუტების არსებობა, კადრების კვალიფიკაცია; პროფესიული და ფოლკლორული ფესტივალები, კონცერტები, „შემოღომის თბილისი“, „ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსი“, „პაინისტთა საერთაშორისო კონკურსი“, თბილისის ჯაზფესტივალი, „ისტერნ პრომოუშენის“ საერთაშორისო ესტრადის გარსკვლავთა კონცერტები, ოპერაში გასტროლირთა კონცერტები. ქართული მრავალხმიანობის საერთაშორისო სემპოზიუმის დაარსება ფოლკორული ანსამბლები – რუსთავი, ერისონი, სუხიშვილები, ქართული ხმების, ანწისხატის გუნდი და ა.შ.)	კადრების დიდი გადინება;
15. ქორეოგრაფია	ინსტიტუტების არსებობა, მათი რაოდენობის ზრდა ვ. ჭაბუკიანისა და ჯ. ბალანჩინის სახ. საერთაშორისო საბალეტო კონკურსი.	კადრების გადინება; დარჩენილი კადრების დისკვალიფიკაცია
16. თეატრი	ინსტიტუტების არსებობა, ინფრასტრუქტურის განვითარება; ბაზრის კონკურენციადმი აღქმატური მოქმედება; საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის არსებობა (საჩუქარი)	კადრების კვალიფიკაციის დაბალი დონე
17. კინო	საერთაშორისო კინოფესტივალი „პრომეთე“ ერთადერთია ამიერკავკასიაში. ქართული კინოს ასი წლისთავის იუბილე (2011წ.). დიდი მხატვრულ-შემოქმედებითი ტრადიცია	ინფრასტრუქტურის დაშლა; მუნიციპალური კინოთეატრების არარსებობა

## შესაძლებლობები და საფრთხეები

უაქტორები	შესაძლებლობები	საფრთხეები
1. კულტურის სახელმწიფო პოლიტიკა	დამოუკიდებლობის ტრადიცია, რომელმაც გააძლიერა გამორჩეული კულტურული ფეხომენი;	მთავრობა ირიგირებულია ძირითადი პრობლემის გადაწყვეტაზე და სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს კულტურის განვითარების პოტენციურ როლს; რეფორმა მერყეობს რადიკალური ცვლილებების – ყოვლისმომცველ რესტრუქტურზაციას და სასწრავულ გადასაჭრელ სოციალურ მოთხოვნებს შორის, რის გამოც კულტურის საკითხები მეორე პლანზე ვადადის; ფინანსური წაროვბის შემცირება იწვევს კულტურის რესურსების შეზღუდვას, რაც გამოიწვევს კულტურული მექანიზრების დეგრადაციას და ხელოვნებისა და კულტურის სფეროების დასუსტებას; გადაწყვეტილების მიმღები პირის მენტალიტები კომუნისტური წარსულის გავლენით კულტურას აღიქვამს როგორც პროპაგანდის საშუალებას; კანონის უპატივცემულობა – კანონი

		<p>არსებობს, მაგრამ არ სრულდება. მათი დანერგვისა და ამოქმედებისათვის არც წერა და არც ბერკეტები არ არსებობს. სისტემა უძლური და სტატიკურია;</p> <p>აღმინისტრაციული სისტემა არაპროფესიონალური არის დაომატებელზელი, გადაწყვეტილების მიღების პროცესი არაგამჭვირგალება, ბიუროკრატიული და კორუფციულია;</p>
2. ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობა, ლანდშაფტი	ბუნებრივი	<p>ქალაქის დალზე კარგი (სტრატეგიული) მდებარეობა მთლიანად რეგიონალური (ამიერკავკასია) მასშტაბით;</p> <p>ქალაქის მდებარეობა კვრთისა და აზის გზაჯგრედისზე მაშინ, როდენსაც რეგიონი ინტერ-კულტურულ დღის წესრიგში მოიაზრება;</p>
3. სამართლებრივი სივრცე		<p>საპანონმდებლო ბაზის არსებობა საერთაშორისო კონფენციების აღიარება</p>
4. რეგიონალური ფონი		<p>საქართველოსა და თბილისის, როგორც კულტურული ცენტრის დიდი რეზონანსი;</p>
5. რეგიონალური ინტერნაციონალური კონტაქტები	და	<p>საერთაშორისო ხელშეკრულებების პაკეტის არსებობა (მაგ. რომთან, ფლორენციასთან, მოსკოვთან, ერევანთან)</p>
6. საერთო ეკონომიკური ფონი (დარგების განვითარება)		<p>კულტურული ინდუსტრიის ჩასახვა (ჩამწერი სტუდიები, შოუბიზნეს თრგანიზაციების განვითარება)</p>

## turizmi

### ძლიერი და სუსტი მხარეები

ფაქტორები	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა	<p>ტურიზმის – როგორც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტის დეპლარინება;</p> <p>საპანონმდებლო ბაზის არსებობა (მეზნადებად);</p>	<p>დარგის განვითარების გააზრებული პოლიტიკისა და სტრატეგიის არარსებობა; პოლიტიკური დეპლარიტიებისა და ფინანსური პოლიტიკის არააღმენებულობა;</p>
2. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა	<p>საქანძო სტრატეგიული მდებარეობა ამიერკავკასიაში;</p> <p>საქანძო გასასვლელი ზღვაზე (ევროპაზე); ბერძნებრივი დაცული (ავგასიონის მთავრი წელიგმოფი ქვედა) ჩრდილოეთისა და სამხრეთის (მცირე კავკასიონი) საზღვრები;</p>	
3. ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობა	<p>საკანძო სტრატეგიული მდებარეობა (სტრანსპორტი, საკომუნიკაციო) ქვეყანაში (ძირითადი მაგისტრალები: აღმოსავლეთ-დასავლეთი და ჩრდილოეთი-სამხრეთი უშავლოდ ქალაქზე გადის);</p>	<p>საკანძო სატრანსპორტო მდებარეობიდან გამომდინარე გადატვირთვა სატრანზიტო ნაკადებით;</p>
4. მოსახლეობა	<p>ისტორიული ტოლერანტობა და სტუმრის მიღება-გასტუმრების მდიდარი ტრადიცია;</p> <p>ტურიზმისა და ტურისტისადმი პოზიტიური დამტკიცებულება;</p> <p>ტურისტული ბიზნესის (როგორც შიდა</p>	<p>ტურიზმის – როგორც დარგის განვითარების არადეპლატური (ძველი, საბჭოური) დამტკიცებულება;</p> <p>დარგის განვითარების თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებში გაუფლეობრივობისა და მდგრადი მოვლენებისაგან;</p>

	ასევე საერთაშორისო) განვითარებაზე მენტალური ორიენტაცია;	ბიურება;
5. სიკრიფი თრგანიზაცია	ტურისტების სერვისული მომსახურები-სათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის (განთავსების, კვების, სატრანსპორტო უსრულებელყოფის) მეტ-ნაკლებად მთელი ქლაქის ტერიტორიაზე განაწილება; ძველი თბილისის და ქალაქის ისტორიულ-კულტურული ცენტრის კომპაქტური განლაგება;	ქალაქის პულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრზე გარკვეული ორიენტაცია
6. ეკოლოგიური მდგრმარეობა		კატასტროფის ზღვარზე მყოფი მდგრმარებია;
7. ბუნებრივი ლანდშაფტი	მცხვრის ხეობის ბუნებრივი სახე (მაღალი მარჯვენა სანაპირო და გაშლილი მარცხენა), რომელიც ქალაქის ვიზუალური აღმისათვის გარკვეულ „ამფითეატრს“ ქმნის;	გაუზრუნებელი ურბანულ-არქიტექტურული „მოდგაწვების“ შედეგად დედაქალაქის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ფწ. ვაზუალური აღქმის წერტილების არარსებობა;
8. ეკონომიკური ფონი (დარგის განვითარებისათვის)		
ფინანსური სექტორი	კერძო ბიზნესის რეალური დაინტერესება და შესაბამისი საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვა;	არააღექსატური სახელმწიფო ფინანსური პოლიტიკა; მოუწვესიგბეგბლი საგადასახადო სისტემა, რომელიც ხელს არ უწყობს დარგის განვითარებას;
ტექნოლოგიური სექტორი	სახტუროების ქსელის ძირითადი დამაკმაყოფილებელი მდგრმარეობა;	კვების თბილქების საქმიანობისადმი „ტრადიციული“ მიდგომა, რაც ნაკლებად არის ადაპტირებული ტურისტულ მოთხოვნილებაზე;
ტრანსპორტის სექტორი		სპეციალურად შიდასაქალაქო ტურიზმისათვის განკუთხილი სატრანსპორტო საშუალებების, შესაბამისი მარშრუტების, მოსაცდებლი ადგილების და ა.შ. არარსებობა;
9. სოციალური ფონი (დარგის განვითარებისათვის)	ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და ტოლერანტობა;	მძმე ეკონომიკური მდგრმარეობით (რიგი სხვა ობიექტები და სუბიექტები მიზეზით) გამოწვეული ნებატიური საერთო ფონი; მომსახურების სექტორში დაკავებული სახოგადოების დაბალი კვალიტეტისა და პროფესიული განათლების მიღების ძალაშე მწირი შესაძლებლობები;
ჯანდაცვის სექტორი		კომერციალური-ტექნიკური ბაზის არარსებობის გამო დარგის ტურიზმისადმი არაადაპტირებულობა;
განათლების სექტორი	ქალაქის უმაღლეს სახწაფლებლებში ტურიზმის მენეჯერთა მომზადების ფაკულტეტების (განყოფილებების) არსებობა;	მომზადებულ კადრების კვალიფიკაციის დაბალი დონე
10. მიზიდველობის განმსაზღველი ფაქტორები		არ ხდება ქვეყნის დადებითი იმიჯის კვალიფიციური პოპულარიზაცია (ზემოქმედ პოლიტიზირებულია)
შეღწევადობა	აეროპორტი საერთაშორისო კავშირებით, სარინიგზო და აეტოსადგურები; პირდაპირი მარშრუტების არსებობა ქვეყნის შიგნით პრაქტიკულად ყველა რაიონში, მეზობელ სახელმწიფოებთან (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, სომხეთი) და ევროპის ქვეყნებთან (სავიაციო);	სატრანფო-სახელშეკრულებო და საბაჟო სისტემების ხშირი და ულოგიკო ცვალებადობა; სასახლეო-გამშევები პუნქტების (ავტო და სარკინიგზო ტრანსპორტი) მოქმედების რეჟიმის დამოკიდებულება პოლიტიკაზე;
დამოგიდებულება ტურისტებისადმი	ტრადიციულად კეთილგანწყობილი	მომებებული კრიმინოგენური ფონი
ინფრასტრუქტურა		

შიდა გზები		მოუკლელი და თითქმის მწყობრიდან გამოსული გზების ინფრასტრუქტურა; კატასტროფული გადატვირთული რეჟიმით მომუშავე ქალაქის ცენტრი, სადაც განსაზღვრული ქრონომეტრული და მარშრუტით მოძრაობა (ტურისტული მომსახურების ანბანი) თოვქმის შეუძლებლივა;
კომუნიკაცია	კავშირგაბმულობის კველა სისტემის ინსტიტუტის არსებობა	
კომერციული ცენტრები	კომერციული ცენტრების არსებობა, როგორც ქალაქის ცენტრში, ასევე პერიფერიულში	კომერციულ ცენტრებში ტურისტებისათვის გათვალისწინებული პრეტეინგლად არანაირი საქონლის (განსაკუთრებით სარეკლამო-საორიენტაციო სახიათის) არარსებობა (არსებულის საგმაოდ დაბალი ხარისხი და უაღრესად მწირი ინფორმაციულობა);
ფასების დონე	ადგილობრივ ნატურალურ კვების პროდუქტებზე შედარებით (კვროპულთან) დაბალი დონე;	სასტუმროებისა და სასტუმრო სახლების ფასების მაღალი (ფასი/სერვისი) დონე;
სპორტულ-რეკრეაციული შესაძლებლობები	სპორტულ-რეკრეაციული ინსტიტუტების არსებობა	სპორტულ-რეკრეაციული ინსტიტუტების საქმიანობის რეჟიმისა და ტრადიციის არადაპტირებულობა ტურისტების შესაძლო მოთხოვნილებებისა და, აქვთ გამომდინარე, სერვისები მომსახურების პაკეტების ფორმირების შესაძლებლობაზე;
ბუნებრივი სილამაზე და კლიმატი	ქალაქის ბუნებრივი ატრაქციულობისა და კლიმატის (ზომიერად რბილი) სრული შესაბამისობა ტურიზმის არასეზონური (მთელი წლის განმავლობაში) განვითარებისააზი;	
კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები	მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა – როგორც სატელტო, ასევე საერო;	
არქეოლოგიური ძეგლები	მდიდარი და საქმაოდ ძეგლი არქეოლოგიური მასალა (ზონები), შესაბამისი კვლევის ცენტრი და მუზეუმი;	
საკულტო და სამოქალაქო არქიტექტურა	მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობა	
ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლები		
მუზეუმები, თეატრები, საგამოფენო დარბაზები	აღნიშნული ინსტიტუტების არსებობა	არსებული ინსტიტუტების მუშაობისა და ტურიზმის სეზონების შეუთავსებლობა (ტურისტული პიკი ზაფხულია);
ეთნოგრაფიის, ხალხური რესურსის ობიექტები და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრები	მუზეუმი „დია ცის ქვეშ“; კულტურის ცენტრები, სალონები და საგამოფენო დარბაზები; რამოდენომეტ სპეციალიზებული მაღაზია და საგაჭრო აღგილი ქალაქის ცენტრში	
სოციო-კულტურული ინფრასტრუქტურა	ორგანიზაციებისა და ობიექტების არსებობა	ათო მოქმედებული მენეჯმენტი და მატერიალურ ტექნიკური ბაზა.
ეროვნული სამხარეულო	მდიდარი ტრადიციები და დიდი მრავალფეროვნება	
ტურიზმის ინდუსტრიის სექტორი		
განთავსება	სექტორის გარკვეულად განვითარებული ქსელი (ცენტრი-კერიფერია);	ფასების შეუსაბამობა სისტემასთან „ფასისარისხი“; ობიექტების სისტემური ერთგვაროვნება (სასტუმრო ნახევარ-პანსიონით); კადრების (განსაკუთრებით მომსახურე პერსონალი – კონტაქტ-პერსონა) კვალიფიკაციის დაბალი დონე;

ტრანსპორტი	სატრანსპორტო ორგანიზაციების (სახელმწიფო, კომერციული) არსებობა	შიდა ბაზრისათვის ძალზე მაღალი ფასები; სატრანსპორტო საშუალებების ერთგვაროვნება (აგრძელები) და ჯგუფების სიდიდესთან შეუსაბამობა;
კვება	ეროვნული სამზარეულოს მრავალფეროვნება; ნატურალური პროდუქტის მრავალფეროვნება;	ტურიზმის სპეციფიკადინი ნაკლები შესაბამისობა (დაფასოები); ეროვნული სამზარეულოს პრიმატი; ქწ. „უმცირესობების“ (ვაგეტერინები და ა.შ.) ინტერესების გათვალისწინების პრაქტიკის ნაკლებობა;
დასვენება-გართობა	კაფე-ბარების, ბოჟლინგ-ცენტრის, გოლფ-კლუბის, საბილიარდოების, ქაზინების და ა.შ. არსებობა;	
ტურისტული მომსახურება		
ტურსააგენტოები	ტურსააგენტოების არსებობა და გარკვეული კონკურენტული გარემო;	მომსახურების ფორმებისა და მეთოდების ერთგვაროვნება; ტურისტების „გაყვანაზე“ ორიენტირება; კადრების კვალიფიკაციის დაბალი დონე და პროფესიონალიზმი;
ტუროპერატორები		პროფესიული კომპანიების არ არსებობა, კადრების ნაკლებობა, დაბალი კვალიფიკაცია;
საქსკურსიო მომსახურება	ქალაქში აღნიშნული ორიენტაციით მიმუშავე კომპანიის („სამგორი-ტური“) არსებობა;	
მოტივაციური ასპექტების შესაძლებლობები		
შემეცნება (შესწავლა)	შესაბამისი ინსტიტუტების არსებობა და სპეციალისტების მაღალი კვალიფიკაცია;	
გართობა	შესაბამისი ობიექტების მრავალფეროვნება და საქმარისი რაოდენობა;	თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენების დაბალი დონე; მომსახურების ხარისხისა და პერსონალის კვალიფიკაციის დაბალი დონე;
მკურნალობა	რეკრეაციული რესურსების (ბაღნეოდოგიური, გოგირდის აბანოები) არსებობა; სამედიცინო მომსახურების რიგი მიმართულებების მაღალი ხარისხი და შედარებით (ეგროპა, წინა აზია) დაბალი ფასები;	
მონახულობა (ნოსტალგია)	მსგავსი მოტივაციისა და ქვეყნიდან გახსენილი დიასათონის არსებობა (ისრაელი, თურქეთი, ირანი, რუსეთი, საფრანგეთი და ა.შ.)	აღნიშნული ორიენტაციის ტურისტული პროდუქტის არ არსებობა და ნაკლები გამოცდილება;
უსფრთხოება	უსაფრთხოების სამსახურების არსებობა;	მაღალი კრიმინოგენული ფონი;
სეზონურობა	ტურისტისადმი ქაღაქის შესაძლებლობების არსებონური (მთელი წელი) დამოკიდებულება	

## შესაძლებლობები და საფრთხეები

ფაქტორები	შესაძლებლობები	საფრთხეები
1. ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა	დეცენტრალიზაციის პროცესის შეუქცევადი ხასიათი; ტურიზმის ქვეყნის განვითარების პრიორიტეტიად აღიარება;	სახელმწიფო პოლიტიკის არათანმიმდევრულობა;
2. სამართლებრივი სივრცე	სამართლებრივი სივრცის (როგორც სპეცი-	კანონმდებლობის „ზედმეტი გამგაცრება“

	აღური კანონები, ასვე საგადასახადო კოდექსის და ა.შ.) დახვეწის პერსუქტიფა ევროპაგმირის მოთხოვნათა შესაბამისად;	მთავრობის გადაწყვეტილებით;
3. რეგიონალური ფონი	სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებისადმი ევროპასთან მიმართებაში სატრანზიტო ფუნქცია;	შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებლობით ფუნქციის დაკარგვა;
4. რეგიონალური და ინტერნაციონალური კონტაქტები	„დიდი აბრუშუმის გზის“ პროექტი; ევროპაგმირში გაწევრიანება; ნატო-ში გაწევრიანება;	ფინანსური (ან სხვა) მიზეზების გამო აღნიშვნელ ორგანიზაციებში და WTO-ს წევრობის დაკარგვა;
5. მრავალფეროვნება	ქალაქებს აქცს კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო პოტენციალი; წარსულში შექმნილი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა;	ტურისტული პროდუქტის შეზღუდული სკემები; უცხოელ მომსმარვებელზე ორიენტირებულია პრაქტიკულად მხოლოდ ერთი ტიპის ტურისტები; ტურისტული პროდუქტი; ტურისტული გათვლილია მხოლოდ მაღალ შემოსავლიან ძლიერებულაზე. იგი მოღიანი ტურისტული მოთხოვნის მხოლოდ ერთ სეგმენტს მოიცავს და ამიტომაც ამ ტიპის ჩამოსულ ტურისტთა რაოდგნობა შედარებით მცირეა (ან შედარებით შეზღუდულია);
6. ხარისხი		რეგიონებში ტურისტთა განთავსების საშუალებების დაბალი ხარისხი; ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების დაბალი ხარისხი; ფასი/ხარისხის დაბალი კოეფიციენტი; ტურიზმის დარგში კომპტენტური პერსონალის ნაკლებობა; ენობრივი ბარიერი;
7. უსაფრთხოება	ქალაქის საპატრულო სამსახურის არსებობა	კავკასიის რეგიონის არასტაბილურობა; ქვეყანასი არსებული კრიმინოლოგიური ფონი და ფერქებადსაშიში გარემო (სოციალური ფონი);
8. სიმძლავრე	ქალაქში ახალი თანამედროვე სასტუმროების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (ივერია, აჭარა, აფხაზეთი და ა.შ.), კერძო სექტორის განვითარება;	
9. ინფექცია	ქვეყანაში საერთაშორისო ფონდებისა და ორგანიზაციების არსებობა;	ინფრასტრუქტურის ხარჯები; ბიზნესის პროგნოზების სირთულე; საჭირო ინფექციების დიდი ოდენობა; ხანგრძლივი ამოგების პროცესი; გრძელვადიანი და შედაგოთანი კრედიტების არარსებობა; საგადასახადო სისტემის სირთულე; სამართლებრივი სისტემის მხრიდან დაუცველობის შიში.
10. ბიზნესის წარმართვა		მაღალი მარკეტინგული ხარჯები; სერტიფიცირების არსებული სისტემა ვერ იცავს მომსმარვებელს; ბაზრის შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია; კონკურენციის დაბალი დონე; არაჯანსაღი კონკურენცია; ტურისტთა განთავსების ობიექტების მაღალი საოპერაციო ხარჯები; კაპიტალზე მაღალი ამონაგების მოთხოვნა.
11. ტრანსპორტულება	სარეინიგზო სისტემის ამუშავების პერსპექტივა; - რესერთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია (აფხაზეთის პრობლემის მოხსნა);	სახმელეთო ტრანსპორტი მოუხერხებელია და მგზავრიბას დიდი დრო მიაქს გზების ცედი ხარისხის გამო; შეზღუდულია შედასაპარო რეისები; რეისების მოუხერხებელი განრიგი;

	<p>-თურქეთთან სარკინიგზო კავშირის დამყარება;</p> <p>არსებულ და პოტენციურ ტურისტულ ბაზრებთან დამაკავშირებელი ავიარევისები.</p>	<p>არასაკმარისი რეგიონალური საპარო კავშირები;</p> <p>ავიაკომპანიებს შორის არსებული კონფლიქტები.</p>
12. მარშრუტის აღქმა	მძლავრი და კვალიფიციური სარგებლივ პოლიტიკა;	არათანიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკა;
13. მარკეტინგი	არსებობს სტუმართა ჯგუფები, რომლებიც კარგად იცნობენ ქალქის (ქვეყნის) კულტურულ და რეკრეაციულ პოტენციალს;	<p>ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კვლევის არარსებობა;</p> <p>ტურისტურატორების მიერ პროდუქციის შეზღუდული მარკეტინგი;</p> <p>საერთაშორისო ბაზარზე უსისტემო და არაკოორდინირებული წარმოჩენა;</p> <p>მარკეტინგზე და ქვეყნის არაკომერციულ რეკლამაზე გაწეული ხარჯების არარსებობა.</p>
14. დირექტულება	საგადასახადო სისტემის სრულყოფის შემთხვევაში ფასების ლიბერალიზაცია	სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის მერყეობა;
15. ტუროპერატორები	პროფესიული კომპანიებისა და კადრების გამოჩენა ტურისტულ ბაზარზე;	<p>მცირე სიმძლავეები;</p> <p>კაპიტალის არ არსებობა;</p> <p>უცხოელ პარტნიორებზეან კონტრაქტების დადებასთან დაკავშირებული სიძნელეები;</p> <p>ადგილობრივი და რეგიონალური ტურისტული ბაზრების უგულვებელყოფა.</p>

## დასკვნა

### თბილისის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ძირითადი რეკომენდაციები და წინადადებები

#### ზოგიერთი განმარტება ქალაქის სტრატეგიული განვითარების გარშემო რეკომენდაციების შესახებ

წარმოდგენილი თბილისის კულტურისა და ტურიზმის განვითარების კონცეფციის მიმართულებიდან გამომდინარე ბუნებრივია, რეკომენდაციებიც ქალაქის კულტურის შემდგომი სტრატეგიული განვითარებისათვის შესაბამისი ხასიათის იქნება.

თბილისის, როგორც დედაქალაქის ჩვენებული ხედვა სრულიად განსაზღვრულია – დღეს იგი /თბილისი/ წარმოადგენს ურბანული კულტურის თვალსაზრისით უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ქალაქს, რომლის მთელი ინფრასტრუქტურა მოშლილია, მაგრამ, მეორე მხრივ თბილისი კულტურულისტორიული თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე ქალაქია; მას აქვს თავისებური და საკმაოდ საინტერესო ისტორია, დრამატული თუ არა ტრაგიკული უახლესი წარსული და ალბათ, უნდა ჰქონდეს საკადრისი მომავალი, რაც მდგომარეობის სასწრაფო გამოსწორებას მოითხოვს.

რეკომენდაციების მთავარი მიზანი:

1. თბილისის კულტურის მოდერნიზაცია-დემოკრატიზაცია,
2. კულტურული იზოლაციის დაძლევა,
3. თბილისის კულტურული იდენტურობის შექმნა-დაბრუნება

ეგელაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გაცხადდა და რომელიც ჩვენის აზრით დედაქალაქის წინაშე დგას: დღეს აშკარად შელახულია მისი მორალური უფლებები, რამაც შესაძლოა არა თუ გამოუსწორებლად დააზიანოს მისი ურბანული სხეული, უკვალოდ წაშალოს მისი ისტორია, არამედ ხელყოს მისი სამომავლო ნორმალური ფუნქციონირება, რომ არაფერი ვთქვათ მის მოდერნიზაცია-განვითარებაზე. მიზეზი მრავალია და სხვადასხვა სახის (რაც ამ დოკუმენტის პრეროგატივა არ არის), მაგრამ არის ერთი წმინდა კონცეფტუალური საკითხი, რასაც სასწრაფო გადაჭრა ესაჭიროება – რაიმენაირად უნდა გადაწყდეს

რა ტიპის გვინდა იყოს ჩვენი დედაქალაქი და შესაბამისად რაზე უნდა გაკეთდეს ორიენტაცია.

ამგვარი კონცეფტუალური მიღობა დაგვეხმარება დაიძლიოს ის ერთის მხრივ ფუტურისტული, და რაც ყველაზე საშიშია, სპონტანური ხასიათის დამოკიდებულება და მიღობა ქალაქის სივრცითი მოწყობის პრობლემისადმი, რისი ნიშნებიც ქალაქის მუნიციპალიტეტის მხრიდან დღეს საგანგაშოდ აშკარად და რამაც ტოტალური ნგრევა-გადაკეთებები შეიძლება მოიტანოს, დააზიანოს რა თუმცა საფუძვლიანად მივიწყებული, მაგრამ ჯერ ვირტუალურად მაინც არსებული მისი ისტორია; მეორეს მხრივ დაიძლიოს კულტურის ის პროფინციალიზაციის პროცესი, რომელიც საბჭოთა დროს დაიწყო და დღეს კვლავ სახეზეა და რაც, შეიძლება ითქვას, მიზეზიცაა იმ არსებული ქალაქის მიმართ ფუტურისტულ-სპონტანური დამოკიდებულებისა, რომელიც უმოტივაციო და არათანმიმდევრული იდეებით არის გაჯერებული.

ამიტომ ჩვენ ნაკლები ყურადღება დავუთმეთ ქალაქის ყოფითი და სოციალური კულტურის პრობლემებს (თუმცა ვაღიარებთ, რომ ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც საჭიროებს მრავალმიმართულებიან პრაქტიკულ სამუშაოებს დაწყებული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებიდან), და ყურადღება შევაჩერეთ კულტურული იდენტურობის პრობლემებზე, მის კონტექსტში კი კულტურული იზოლაციის დაძლევისა და მისი დემოკრატიზაციის პრობლემებზე.

ამან განაპირობა თავიდანვე შესაბამისი პოზიციის არჩევა; ჩვენ შევჩერდით თბილისის იმ ყველაზე დამახასიათებელ თვისებაზე, რომელსაც ქალაქის მრავალშრიანობა ჰქვია და რაც თბილისის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებაა მისი ისტორიის ყველა ცალკეულ ეტაპზე და მის ისტორიაში საერთოდ, ანუ როგორც სინქრობიაში ისე დიაქრონიაში. ამიტომ ვუწოდეთ ჩვენ მას ქალაქი – პალიმფსესტი.

**რეკომენდაციები კლასიფიცირებულია თემატურად და ბუნებრივია, ექვემდებარება გარკვეულ დიფერენციაციას.**

მაგრამ ერთი ცხადია: თუ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩვენთან მიზანდასახულად კულტივირებული იყო თბილისური მდაბიური კულტურის შეე მისი ერთ-ერთი სუბ-კულტურის სახით და იგი „ეროვნულ-ქალაქურ-თბილისურ

კულტურად“ იყო წარმოჩენილი, ამჟამად კი კულტივირებულია ლოკალურ-პროგინციალური ხასიათის ე.წ. მასკულტურა (შოუები, გარკვეულწილად საკასო თეატრალური სპექტაკლები და სხვ.), რაც ფაქტობრივად წინა ათწლეულების გამოცდილების ლოგიკური გაგრძელებაა, ჩვენ ვეცადეთ მოგვეძია ამის ალტერნატიული გზა, რომელიც კონკრეტული მიმართულებებით არის წარმოდგენილი, მაგალითად:

- ა) თბილისის ისტორიის მუზეუმის ახალი ფუნქციით დატვირთვა და მისთვის ახალი მულტიკულტურული კონცეფციის შემუშავება,
- ბ) თბილისური კულტურის კარტოგრაფირება, კულტურული მარშრუტების შემუშავება,
- გ) თბილისური მიკროკლიმატის შენარჩუნება,
- დ) „თბილისობის“ ახალი კონცეფციის შემუშავება,
- ე) უმცირესობათა გააქტიურება და მათი კულტურული ცენტრების ჩაბმა თბილისური კულტურის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას.
- ვ) სხვადასხვა მუზეუმებში არსებული სოცრეალიზმის ნიმუშების გამოფენათა ციკლი; სტალინური არქიტექტურის კატალოგის შექმნა; სტალინური კულტურის მარშრუტის შემუშავება,
- ზ) გარეუბანის და თინეიჯერული კულტურის წარმოჩენა,
- თ) ქალაქის ინტელექტუალური ტრადიციის აღდგენა
- ი) ქალაქის რეგიონალურ კულტურულ ცენტრად გადაქცევა და მისი საერთაშორისო კულტურულ პროცესში ჩაბმა და მრავალი სხვა),
- ამ მიმართულებების შემუშავება ითვალისწინებს არა მარტო აწმყოში კულტურული სიტუაციის ქალაქში შეცვლას, არამედ სხვადასხვა ფორმით – ერთი მხრივ სანახაობითი პროგრამებით, მეორე მხრივ კონცეფტუალური მუშაობით, სტრატეგიის თეორიული დამუშავებით და სხვადასხვა ხასიათისა და მიმართულების მქონე აქტივობით, ქალაქის ისტორიისა და გამოცდილების ანალიზს, ქალაქისადმი მისი მოსახლეობის ცნობიერი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, მის რეაბილიტაციას ერთი მხრივ მეხსიერების აღდგენის გზით, მეორე მხრივ და სწორედ ამ მეთოდით მომავლის უფრო გააზრებულ დაგეგმვას.

ეს გახდება გარანტია იმისა, რომ თბილისი იფუნქციონირებს, როგორც თანამედროვე ქალაქი, მას ექნება თავისი პერმანენტული და ბუნებრივია, ცვალებადი აწმყო, არ იქნება მუდმივად გარდამავალ პერიოდში წარსულიდან მომავლისაკენ (ფუტურისტული განწყობებით). ანუ იგი იცხოვრებს აწმყოში, რომელმაც იცის თავისი ისტორია, კულტურა და გეგმავს თავის მომავალს.

**პრემბულა.** თბილისი ქალაქი-პალიმფსესტი და, ამავე დროს, ლინეარული ქალაქია. ის სულ მცირე ხუთ კულტურულ შრეს მოიცავს: უძველესს, „იმპერიულს“, მოდერნისტულს, „სოციალისტურსა“ და თანამედროვეს. ყოველი ამ შრისა თუ ფენისადმი საჭიროა საეციფიკური მიღება. ამავე დროს, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ, მაგალითისათვის, „იმპერიული“ შრე გულისხმობს სხვადასხვა სუბკულტურების მიერ შექმნილ ქვეშრეებს – სომხურს, ებრაულს, „აღმოსავლურს“, გერმანულს, პოლონურს და ა.შ., რომელიც დღესაც განიცდის განვითარებას. აქ აუცილებელია მულტიკულტურული მიღებამის გამოყენება და ამ ქვეშრეების არა ოდენ შენარჩუნება, არამედ რეკონსტრუირება და გამოკვეთა. „სოციალისტური“ ფენისადმი საჭიროა განსხვავებული მიღებამის გამომუშავება: ერთი მიღება უნდა გამოვიყენოთ ე.წ. „სტალინური არქიტექტურისადმი“, ხოლო მეორე – ე.წ. „საბჭოთა ინტერიერისადმი“. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს თბილისის ლანდშაფტს, რომელიც კულტურის მაწარმოებელ ფაქტორს წარმოადგენს.

თბილისი იმ ქვეყნის დედაქალაქია, რომლის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იყო და კვლავაც იქნება ტურიზმი, მთელი მისი მრავალფეროვნებით (ზემოთ უკვე იყო აღწერილი რესურსული პოტენციალი), შესაბამისად აუცილებელია მუდმივად მიმდინარეობდეს მუშაობა ამ მიმართულებაზე (მუდმივად, რადგან დარგი ძალზე დინამიური და მგრძნობიარეა) და დედაქალაქს ჰქონდეს დარგის განვითარების თანამედროვე სტრატეგიული პროგრამა.

იმისათვის, რომ გამოიკვეთოს თბილისის კულტურული განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები, საჭიროა ქალაქის ფუნქციის, მისი წამყვანი თავისებურებების, ანუ საიდენტიფიკაციო კოდისა და სამომავლო პერსპექტივის განსაზღვრა.

კონცეფციის შესამუშავებლად ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ თბილისის კულტურული იერსახე მნიშვნელოვანია, როგორც:

- 1) ქვეყნის პოლიტიკის ინდიკატორი;
- 2) საქართველოში ტურიზმის განვითარების საფუძველი;
- 3) ევროპისა და აზიის კულტურული მემკვიდრეობების მედიაციური სივრცე;
- 4) ადგილობრივი მოსახლეობის კულტურისა და განვითარების დონის ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი;
- 5) ქვეყნის ცნობადობის ამაღლებისა და იმიჯის გარკვეული კუთხით პოზიციონირების საშუალება;

შესაბამისად რეკომენდაციები იყოვა შემდეგ თემატურ ბლოკებად:

## I თემატური ბლოკი

### თბილისი – ქალაქი-პალიმფსესტი

- თბილისის მუზეუმების, როგორც ქალაქის შრეების ამსახველი უმნიშვნელოვანები ინსტიტუციის, ახალი კონცეფციის შემუშავება:

თბილისური კულტურის მუზეუმის (ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის, ე.წ. „ქარვასლის“ ბაზაზე) ახალი კონცეფციის შემუშავება;

- მუზეუმის საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა და მისი ფილიალის სახით ICOMOS-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ შემუშავებული „თბილისური სახლის“ პროექტის განხორციელება. (ძველ უბანში ისტორიული შენობის მაგალითზე თბილისური ყოფის რეკონსრუქცია, რაც მეტად მიმზიდველი იქნება, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ტურიზმისათვის);
- თბილისის სუბკულტურების მუზეუმების ( მაგალითად, დავით ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, „სმირნოვების სახლი“ - ლექსანდრე პუშკინის მემორიალი) ერთიანი კონცეფციის შექმნა, შესაბამისი დონისძიებების პაკეტის შემუშავება;

- თბილისის ისტორიული ნაწილის აღდგენა-ადაპტაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება:

2003 წელს ICOMOS-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტის „თბილისის ისტორიული ნაწილის მენეჯმენტის გეგმის სტრატეგიული მიმართულებაზი“ ძირითადი რეკომენდაციების შესაბამისად თბილისის ისტორიული ნაწილის მართვის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოს თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციას:

- მრავალდისციალინარულ ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, რომელიც 1 წლის მანძილზე დაამუშავებს მართვის სისტემის მოდელს, მისთვის საჭირო რეფორმების პაკეტს, მათ შორის თბილისის ისტორიული ნაწილის მართვის ორგანოს დაფუძნებას.
- ამ ორგანოს იურიდიული სტატუსით დაფუძნება (ერთ-ერთ ალტერნატივად შეთავაზებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი.)

- თბილისური კულტურის შრეების კვლევითი სამუშაოების განხორციელება:
- კულტურის სფეროში დარგობროვი კვლევები;
- კულტურის სფეროში სოციოლოგიური კვლევები;
- კულტურისა და ტურიზმის სფეროში მარკეტინგული კვლევები;
- კვლევების ანალიზის ერთ-ერთი გამოყენებითი შედეგი-თბილისის კულტურული შრეების, კულტურული და ტურისტული ზონების/უბნების/ კარტოგრაფირება, რუკებზე თბილისის კულტურული მარშრუტების ჩვენება; რუკების მულტიმედიურ-მუსიკალური გაფორმება, თბილისის ისტორიასა და კულტურაზე, ღირსშესანიშნაობებზე CD გამოცემა.

- **ურბანული შრეების/ზონების ზუსტი დადგენა:**
  - ზონირების რუქების შექმნა, შრეების/ზონების დაცვა, მათი პოპულარიზაცია და, ეკონომიკური თვალსაზრისით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მომგებიანობის დამკვიდრება; მაგალითისათვის, ისტორიულ შენობაში გახსნილი სასტუმროს, რესტორნისა და კაფეს პრესტიულობისა და სარფიანობის დამკვიდრება-პოპულარიზაცია, ძეგლის პირვანდელი სახის აუცილებელი დაცვის ფონზე.
- „**თბილისური სახლისა**“ და აივნის, როგორც კულტურული კომუნიკაციის გიზუალურ-მატერიალური გამოხატულების ფენომენის შესწავლა:
- ძველი აივნებისა და ახალი უბნების „აივნომანიის“ შედარებითი ანალიზი, შესაბამისად ანალიზის შედეგების გამოყენება თბილისის კულტურისა და ტურიზმის სტრატეგიაში.
- მარკეტინგული პროცესის ანალიზის საფუძველზე, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროდუქციის შექმნა (ალბომი, კალენდარი, ფოტოები, სუმენირული მაკეტები).

## II თემატური ბლოკი

### ძველი თბილისის კულტურა: მითოსი და კარნავალი

- „**თბილისობის**“ ახალი კონცეფციის შემუშავება:
- ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისის დაარსების შესახებ ლეგენდის გათამაშება;
- ყენობის და ბერიკაობის „აღდგენა“;
- ამქრობის ანუ ამქართა ზეიმის დაარსება – თეატრალიზებული მსელელობა ბაირალებითა და საკარნავალო კოსტუმებით.

- აბანოს ისტორიასთან დაკავშირებული კულტურული მარშრუტის შემუშავება.
- აბანოთუბანში სპეციალური საინფორმაციო სერვის-ცენტრის შექმნა, რომელიც მოიცავს აბანოსთან დაკავშირებულ სხადასხვა სერვისს (მექისე, ჩაიხანა და ა. შ.).
- თბილისური აბანოების ისტორიის ამსახველი ალბომების, პოსტკარტების, სუვენირების და სხვა საქონლის წარმოების ხელშეწყობა.
- თბილისის შესახებ ყველა არსებული ლეგენდის შესწავლა-დამუშავება კულტურულ-საგანმანათლებლო და ტურისტული დანიშნულებისათვის :
- შესაბამისი სარეკლამო მულტიმედიური და ბეჭდვითი პროდუქციის შექმნა.
- საერთაშორისო საბავშვო კარნავალ - ფესტივალის დაარსება:
- თბილისის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურის ახალგაზრდობის საქმეთა და კულტურის განყოფილების მიერ ერთობლივი სპეციალური პროგრამების შემუშავება და დაფინანსება, რომელიც ხელს შეუწყობს თბილისელ ახალგაზრდებს, თინეიჯერებს და ბავშვებს საკუთარი კულტურული ინიციატივების განხორციელებაში. თბილისის ახალგაზრდა თაობისათვის ფართო საერთაშორისო ურთიერთობებისა და კონტაქტების შესაძლებლობის მინიჭება, შესაბამისად ტოლერანტობის, ღიაობის, კონკივიალობის განვითარება.

### III თემატური ჯგუფი

#### თბილისი – კულტურათა შეხვედრის ადგილი

- თბილისის ისტორიული მულტიკულტურალიზმის განვითარება:
- ღონისძიებათა პაკეტის შემუშავება, რომელიც ქალაქის ღინამიურობის ნიშნის, მისი პოლიეთნიკურობის, რაც თავის მხრივ კავშირშია სხვადასხვა ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ცხოვრების წესის,

ურთიერთობის კულტურისა და ა.შ. გაზიარებასა და ურთიერთზეგავლენასთან, პოზიციონირებას პოპულარიზაცია-პროპაგანდას შეუწყობს ხელს.

- ქალაქის მიერ მოზარდი თაობის ეთნიკურ ჯგუფებს შორის ინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება.
- ქალაქის მთავრობის მიერ მულტიკულტურული პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული დიასპორების წარმომადგენლებს, მოახდინონ რეალური ინტეგრირება საზოგადოებაში და უზრუნველყოფს მათ შესაძლებლობას შეიტანონ ქმედითი წვლილი თბილისური კულტურის განვითარებაში (ამისთვის საჭიროა ეროვნული უმცირესობების მიმართ განსაზღვრული პოლიტიკის შემუშავება თუნდაც მუნიციპალურ დონეზე).
- ქალაქის ახალი მულტიკულტურული პოლიტიკის შემუშავება:
- თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს (განათლებისა და კულტურის, სპორტის, ეკონომიკის საქალაქო სამსახურებს) დაევალოს, როგორც ქალაქის მთავარი საიდენტიფიკაციო ნიშანი, კულტურის მნიშვნელოვან ინდიკატორად თბილისის სოციუმის მულტიეროვნულობის განხილვა და ამ ფასეულობის შენარჩუნების, განვითარებისა და პოზიციონირებისათვის კონკრეტული ქმედებების დაგეგმვა.
- კულტურულ უმცირესობათა გააქტიურების ხელშეწყობა და მათი კულტურული ცენტრების ჩაბმა თბილისური კულტურის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში (თბილისური სუბკულტურების – ქურთების, ასირიელების, სომხების, ებრაელების, მუსულმანების, ევროპელ უმცირესობათა და სხვა – განვითარების ხელშეწყობა თბილისური კულტურის კონტექსტში).
- თითოეული სუბკულტურის დღესასწაულთა თუ სხვა სამასსოფრო დღეთა ჩართვა თბილისური კულტურის კალენდარში და მათი საერთო ქალაქურ მოვლენად გადაქცევა.

➤ თბილისში კულტურულ უმცირესობათა ერთიანი ცენტრის შექმნა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ქალაქში მცხოვრებ უმცირესობათა შემუშავებულ და მერიის მიერ დაფინანსებულ სპეციალურ კულტურულ პროგრამებს.

- ტრადიციების შენარჩუნება – თბილისური ტოლერანტობა და ლია ქალაქის კონვივიალობა.

თბილისის სტრატეგიული გეგმის შემმუშავებელ ჯგუფს მიეცეს რეკომენდაცია, ქალაქის განვითარების მიმართულებებში გათვალისწინებულ იქნას თბილისური ტრადიციების შენარჩუნებისა და დაცვის მექანიზმები.

ძველი თბილისი ასოცირებულია ძველ ქალაქურ ტრადიციებთან, დინამიურ ადამიანურ ურთიერთობებთან, მიღწევებთან ხელოვნებასა და კულტურაში, ქვევის კულტურასთან, ძველ არქიტექტურასთან, მულტიეროგნულ ურთიერთობებსა და ტრადიციებთან.

ამდენად, ძველი ქალაქი უნდა დარჩეს ცოცხალ, ფუნქციონირებად ორგანიზმად მისი არქიტექტურული გარემოს შენარჩუნებისა და გაფრთხილების ფონზე (საზოგადოების ნაწილის აზრით, საჭიროა გარკვეული „დამცავი ზონის“ შექმნაც კი ისტორიული თბილისის დასაცავად):

- თბილისის ისტორიული ნაწილის არსებული დაცვითი ზონების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ამ ზონების რეჟიმების აუცილებელი შესრულება (სუსტი ადმინისტრირების პრობლემების გადაწყვეტა).

ძველი თბილისის იდენტურობის შენარჩუნებისათვის არქიტექტურის პარალელურად საჭიროა „ძველი თბილისის სოციუმის“ სპეციფიკის შენარჩუნება:

- შესაბამისად, თბილისური ეზოების შენარჩუნება-რეკონსტრუქცია, მათი განუყოფელი ნიშნით, რასაც შეიძლება ვერდოვთ გვერდი-გვერდ მცხოვრებ ადამიანთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის წინაშე, უნდა აისახოს შესაბამის პროექტში და დაფინანსდეს მერიის მიერ. ამ კონტექსტში უნდა გატარდეს მტკიცე პოლიტიკა უკვე არსებული „შენობა-მკვლელების“ ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

თბილისის ცენტრის შესანარჩუნებლად აუცილებელია დაკმაყოფილდეს როგორც თბილისელთა (განსაკუთრებით ახალგაზრდების) ასევე ვიზიტორთა

(უცხოელ ტურისტთა) დედაქალაქის მიმართ არსებული მოთხოვნები: ახალგაზრდებისათვის ის უნდა იყოს დროის სასიამოვნოდ გატარების, თავისუფალი არჩევანის უსაფრთხო ზონა, სადაც ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა მაქსიმალური სიამოვნება მიიღონ მათვის სასურველი გართობის ტიპის მიხედვით; უცხოელი ვიზიტორების დაინტერესებისათვის კი წამყვანი მნიშვნელობა ცენტრის ისტორიულ-კულტურულ ღირებულებას ენიჭება:

- თბილისის ისტორიული უბნის რესტავრაცია-ადაპტაცია;
- გასართობი ინდუსტრიის სერვისის ადმინისტრირება (საერთაშორისო ნორმებთან მიახლოება)
- თბილისის მუზეუმების ახალი მულტიკულტურული კონცეფციის შექმნა.
  - ინტერდისციპლინარული საპილოტო ჯგუფის შექმნა, რომელიც თბილისის მუზეუმების ბაზაზე, ზოგადად ქალაქის კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, იმუშავებს საზოგადოების საკუთარი ისტორიული მეხსიერების აქტივიზაციაზე, კულტურის ანიმაციაზე.
  - თბილისის მუზეუმებში არსებული კოლექციების ანალიზის საფუძველზე ეროვნული კულტურული ფასეულობების კატალოგის შედგენა.
  - თბილისის მუზეუმებში ახალი კონცეფციის შესაბამისი ექსპოზიციების სერიების მოწყობა.
- აშულების დღის დაარსება:
  - იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში კონკურსის ჩატარება სხვადასხვა თბილისური სუბკულტურების წარმომადგენლების მონაწილეობით. აშულების დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალის სახით ახალი თბილისური დღესასწაულის დანერგვა.
- სპეციფიკური კულტურული მარშრუტების შემუშავება, ორიენტირებული შესაბამის კულტურის წამომადგენლებზე:

➤ „ევროპული“ და „რუსული“ მარშრუტების შემუშავება: ევროპულთათვის მაგალითად, ქნუტ ჰამსუნის, ალექსანრდე დიუმასა თუ ანდრე შიდის სახელებთან დაკავშირებულ ადგილთა მონახულება, ხოლო რუსული კულტურის წარმომადგენელებს დააინტერესებს არა ოდენ პუშკინისა და ტოლსტოის „ნაკვალევი“, არამედ XX საუკუნის რუსული მოდერნიზმის კულტურული შრეც – გგულისხმობთ, „პოეტთა ცეცხა“, 41°-ს (რუსული ფუტურიზმის ყველაზე რადიკალურ ფრთას) და სხვა, რომელთა გარეშე XX საუკუნის 20-იანი წლების თბილისი და „ტფ(თბ)ილისური მოდერნიზმი“ წარმოუდგენელია.

#### IV თემატური ჯგუფი

##### სოცრეალიზმი და არაოფიციალური კულტურა

- სოციალისტური ისტორიის ახლებური გადაფასება:
  - საბჭოთა ანექსიის თემაზე ყოველ 25 თებერვალს კულტურული ღონისძიებების პაკეტის შემუშავება-განხორციელება (მაგალითად, კინოჩვენებები, პერფორმანსები, ფოტო და საარქივო გამოფენები და ა.შ.).
  - 8 და 9 მაისის ახალი კონცეფციის შემუშავება – შესაბამისი გამოფენების, კინოჩვენებების, სიმპოზიუმების მოწყობა.
- თბილისობის, როგორც სოცრეალისტური ფენომენის კულტუროლოგიური ანალიზი.
  - სხვადასხვა მუზეუმებში არსებული სოცრეალიზმის ნიმუშების გამოფენათა ციკლის შემუშავება-განხორციელება;
  - ფოტო და კინო მასალების სპეციალური ჩვენების მოწყობა; შესაძლებელია თავად განახლებული „თბილისობის“ ერთ-ერთ ჩანართად დიდ ეკრანზე/ შენობაზე/ძველი ქალაქის რომელიმე კედელზე, მაგალითად ნარიყალაზე/ გიდეოპროექციის განხორციელება.

- სტალინური პერიოდის კულტურული მემკვიდრეობის გადაფასება-ადაპტაცია:
  - სტალინური არქიტექტურის კატალოგის შექმნა;
  - სტალინური კულტურის მარშრუტის შემუშავება.
  - საბჭოთა არაოფიციალური კულტურის ამსახველი კატალოგის შექმნა.
  - საბჭოთა არაოფიციალური კულტურის გამოფენების მოწყობა.

## V თემატური ჯგუფი

### თბილისური გარეუბანი XXI საუკუნეში

- თბილისური გარეუბნის კულტურის კონცეფციის ჩამოყალიბება:
  - ადგილობრივი/რაიონული/ სათემო ორგანიზაციების მიერ გლდანის ან გაზისუბნის კერძო მაგალითზე გარეუბნის საზოგადოებრიობის სოციალურ-კულტურული აქტივობის ხელშემწყობი პროგრამების შექმნა-დაფინანსება.
- ცენტრი და პერიფერია: პრესტიჟული უბანი და გარეუბანი – ახალი მიმართებების შემუშავება.
  - პრესტიჟული გარეუბნის კულტურული განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება (დიდი დიდმის ან კრწანისის მაგალითზე, თბილისის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით).
- გარეუბანი და თინეიჯერული კულტურა:
  - თინეიჯერულ პრობლემათა სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური და კულტუროლოგიური კვლევები.
  - თინეიჯერული სუბკულტურის ზეგავლენის შესწავლა ქალაქის კულტურულ ლანდშაფტზე: გრაფიტის ხელოვნება, რეპი, როკი, ბაიკერები, „უიკ-ენდის“ ჰიპები.
  - თინეიჯერული კულტურის მარკეტინგული კვლევა.
  - საზოგადოებრივი მოთხოვნისა და კულტურული ინდუსტრიის შემოთავაზებათა საფუძველზე გარეუბნებში ახალგაზრდული კლუბების/საღამოს ინსტიტუტების/ ქსელის შექმნა.

- გარეუბანი და ქალაქის ეკომუნიტეტი:

➤ თავისუფალი საზოგადოებრივი სივრცეების გამწვანების პროექტების განხორციელება-კონკურსების ჩატარება საუკეთესო დენდროლოგიურ კომპოზიციაზე /ნარგავებზე/, საუკეთესო ეზოზე, ნარჩენების ეფექტური გადამუშავების მეთოდზე.

## VI თემატური ჯგუფი

### თბილისის განახლებული კულტურული ფუნქცია

თბილისის კულტურული განვითარების სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს იმ ფაქტს, რომ თბილისის მთავარი საიმიჯო მახასიათებელი არის მისი დინამიურობა, მრავალფეროვნება, სხვადასხვა ეროვნებისადმი ტოლერანტულობა, ცხოვრების ცოცხალი, ენერგიული სტილი; რომ თბილისის იდენტურობაში მის მცხოვრებთა ყოველდღიურ ყოფას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თავად ამ ყოფითი ხასიათის პრობლემებს.

თბილისი, როგორც „ბრენდი“, აგებულია ქალაქის ისტორიულ წარსულზე, მოგონებებზე, გადმოცემებსა და ლეგენდებზე და მასში თანამედროვე ქალაქის საიდენტიფიკაციო მასალა ნაკლებადაა პოზიციონირებული.

თბილისის ძველ ტრადიციებთან დაშორება და ახალი ორიენტაციის არარსებობა, ქალაქს იდენტურობის, მისი სპეციფიკის დაკარგვის საფრთხეს უქმნის.

თბილისის კულტურული სახე ბრენდის განვითარების ლოგიკურ სტადიებს გადის და ცვლილებების დაგეგმვისა და მართვის გარეშე, ბრენდი ვერ იარსებებს. ამდენად კულტურის განვითარების პროგრამა ქალაქის იდენტურობის შენარჩუნებასა და პოზიციონირებაში დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

- თბილისის „ბრენდი“-ს შექმნა:

ქალაქის კულტურული იერსახის განვითარების მიზნით ყურადღება უნდა მიექცეს ყველა იმ ფაქტორს, რომელიც ქალაქისა და მისი მაცხოვრებლების ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშვება.

თუკი ქალაქი არ იქნება ასოცირებული მის განმასხვავებელ ნიშანთა კომპლექსთან და წარმოდგენები მის შესახებ ძალიან დიფუზური იქნება, მისადმი სხვა ქვეყნების ყურადღებისა და ინტერესის სტიმულირების შესაძლებლობა ნაკლებად სავარაუდოა:

- თბილისის სავიზიტო ბარათის, დინამიურობს მაქსიმალური გადმოცემა:
  - აქტუალური და აქტიური თეატრალური ცხოვრება/მოღვაწეობა;
  - ვიზუალური ხელოვნების გამოფენები (მათ შორის საერთაშორისო);
  - კლასიკური მუსიკის კონცერტები, კონკურსები, გასტროლები;
  - საერთაშორისო ფესტივალები (ჯაზ-ფესტივალი, ქართული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი, კინოფესტივალი, თეატრალური ფესტივალები);
  - თანამედროვე ქართული კინოს კვირეულები.

მერიის შესაბამის სამსახურებს დაეკისროთ აპრობირებული PR ტექნოლოგიების საფუძველზე აქტიური პროპაგანდისტული პროგრამის შემუშავება, რომელშიც ქალაქის ძელი ტრადიციები და განვითარების ახალი მიმართულებები ერთიანად, მიზანშეწონილობის პრინციპით იქნება წარმოდგენილი:

- თბილისის ადგილობრივი ტელე არხის შექმნის ხელშეწყობა და მხარდაჭერა.
- მუნიციპალური მასშტაბის კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების აქტიური პიარი.
- ქალაქის რომელიმე უბანში ციფრული ეკრანის დადგმა, რომელზეც განთავსდება ქალაქში მიმდინარე მოვლენების ამსახველი მასალა. მოხდება სხვადასხვა მოვლენების ანონსირებაც.

თბილისის ცენტრი კულტურული ცხოვრების თვალსაზრისით ქალაქის ყველაზე აქტიური ნაწილი უნდა იყოს, მიმზიდველი და საინტერესო როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, ასევე ვიზიტორებისთვის:

- კვლევითი სამუშაოები მიმართული ქალაქის კვლევით მდგომარეობის, ისტორიული ძეგლების მდგომარეობის, ძელი ეროვნული

ფასეულობების, ტრადიციული ხელოვნების მიმართულებებისა და თანამედროვე ხელოვნების ტენდენციების შესასწავლად

➤ სამუშაოთა მთელი კომპლექსის განხორციელება დაწყებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი – ICOMOS-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის პროექტებიდან, დამთავრებული ახალი ფესტივალებისა თუ კულტურული ინდუსტრიის განვითარების ღონისძიებებით.

- თბილისის, როგორც დია ქალაქის ლიბერალური დირებულებების დაცვა – განვითარება:

ყურადსაღებია ახალგაზრდებსა და განსაკუთრებით მოზარდებთან გამოვლენილი ტენდენცია, მოიაზრონ კულტურა რელიგიასთან მჭიდრო კავშირში და მის კონტექსტში. ასევე ნიშანდობლივია მათი მხრიდან საკმაოდ ორთოდოქსული რელიგიური შეხედულებების დემონსტრირება.

სამომხმარებლო გემოვნებაზე დამოკიდებულების კულტურული ცხოვრების განვითარების პერსპექტივა ითხოვს კულტურული დიაობის დასამკვიდრებლად სპეციალური პროგრამების შემუშავებას, განსაკუთრებით მოზარდებისათვის:

➤ კულტურულ-საგანმანათლებლო საერთაშორისო გაცელები (თავდაპირველად ამიერკავკასიის მასშტაბით, შემდგომი არეალის გაფართოებით), შესაბამისად, თბილისში მცხოვრები კულტურული უმცირესობების დიასპორებისა და სხვადასხვა ქვეყნების საელჩოების პროგრამების ხელშეწყობა და გამოყენება.

➤ PR კამპანიის წარმოება „დია ქალაქის“ იმიჯისა და ტრადიციული ლიბერალური დირებულებების დასამკვიდრებლად.

- კულტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ხელოვნებასთან ზიარება და, შესაბამისად, ადამიანთა კულტურული განვითარება მნიშვნელოვნად შეზღუდულია თავისი მიუწვდომლობის გამო ფართო აუდიტორიისათვის. არა მარტო, სიმფონიური მუსიკის კონცერტები, თეატრალური

წარმოდგენები, არამედ კინოფილმების ნახვაც კი კინოდარბაზებში ურთიგვარი ელიტარული გართობის სახეობად იქცა:

- მუნიციპალური კინოთეატრების, მუნიციპალური გალერეების, და ხელოვნების სხვა კერების (მაგალითად, კულტურის სახლები საფრანგეთში) დაარსება.
- სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება სტუდენტებისთვის და სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენელთათვის.

#### • გართობის პრობლემის გადაჭრა

ქალაქის კულტურული დონის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს თავისუფალი დროის ორგანიზების, გატარების ტრადიციები. თბილისი ამ თვალსაზრისით ერთგვარ „გასტრონომიულ კულტურას“ წარმოადგენს, (თბილისელების ძირითად გასართობს ქეიფი წარმოადგენს, შესაბამისად ყველაზე აქტიურად ქალაქში მიმდინარეობს რესტორნების მშენებლობა):

- მერიის მხრიდან გასართობი ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობი პროლიტიკის განხორციელება, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გადასახადების ლიბერალიზაციაზე იქნება ორიენტირებული.

### I თემატური ქვებლოკი

#### კულტურის ინფრასტრუქტურის განვითარება

##### • სახელოვნებო განათლების სისტემის განვითარება

სოციოლოგიური კვლევის მონაცემებით (გამოკითხულთა აზრით) თბილისში განათლება თანდათანობით კარგავს ფუნქციურ დატვირთვას, რასაც, თავის მხრივ, თან სდევს კულტურული განვითარების დონის შესუსტება.

უპირველეს ამოცანად რჩება სახელოვნებო სასწავლებლებში მიღების მკაცრი კრიტერიუმების შენარჩუნება და პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სათანადო პროგრამების განხორციელება:

- მერიის შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროექტების შექმნა-დაფინანსება და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების განვითარების ხელშემწყობი პროლიტიკის შემუშავება-განხორციელება.
- სტიპენდიების და დახმარებების დაწესება ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის.
- პედაგოგთა პგალიფიკაციის ასამაღლებლად სისტემატური საერთაშორისო სტაჟირებების დანერგვა;
- საერთაშორისო კონკურსების, ფესტივალების, გამოფენების, სიმპოზიუმებისა თუ სემინარების ხელშეწყობა (მაგ. ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი), დაარსება.
- მსგავს საერთაშორისო დონისძიებებზე მისავლინებლად თბილისელ ახალგაზრდა ხელოვანთა საკონკურსო წესით შერჩევა და დაფინანსება.
- სახელოვნებო განათლების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- მიმდინარე რეფორმების ფონზე სასწავლო მეთოდოლოგიების აღრევისა და სასწავლო პროცესის შეფერხებების აღმოფხვრისათვის სწორი საკადრო პოლიტიკის წარმოება;

#### • თბილისის საბიბლიოთეკო ქსელის განვითარება

საბიბლიოთეკო სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოების მიზნით პრინციპული რეფორმაა გასატარებელი, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წიგნის მკითხველთა, ბიბლიოთეკის მომხმარებელთა კვლევის საფუძველზე წიგნის ბაზრის მარკეტინგული მენეჯმენტის გაძლიერება უნდა გახდეს:

- მარკეტინგული კვლევების ჩატარება;
- ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-განმზღვება; ბიბლიოთეკების ფონდების ახალი ლიტერატურით დაკომპლექტება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;

- სამკითხველო დარბაზში კომფორტული გარემოს შექმნა;
- მჭიდრო კონტაქტების დამყარება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებთან.

#### • მუნიციპალური მუზეუმების განვითარება

თბილისის მუზეუმების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის უპირველეს ეფექტური შესაძლებელია ის სტანდარტები და კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისად ამა თუ იმ მუზეუმს მუნიციპალურის სტატუსი უნდა მიენიჭოს. გადასახედია მუნიციპალურ დაქვემდებარებაზე მყოფ მუზეუმთა ნუსხა, ხოლო ის მუზეუმები, რომლებსაც სტრატეგიული როლი ენიჭება ქალაქის კულტურულ და ტურისტულ განვითარებაში (თუნდაც ის არ იყოს მერიის დაქვემდებარებაში, მაგ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი), ჩართული უნდა იყოს შესაბამის პროგრამებში (იხ. I თემატური ბლოკი, თავი „თბილისის მუზეუმების, როგორც ქალაქის შრეების ამსახველი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციის, ახალი კონცეფციის შემუშავება“).

#### • კულტურის ცენტრების განვითარება

ქალაქის ისტორიული კონვივიალობის განვითარების მიზნით აუცილებელია ეთნიკური უმცირესობების კულტურის ცენტრების, აგრეთვე გარეუბნებში სათემო კულტურული კლუბებისა თუ ცენტრების შექმნა-განვითარების ხელშეწყობა.

- მუნიციპალური კულტურის ცენტრების სტატუსის განსაზღვრა;
- კულტურული უმცირესობების ცენტრებისათვის სპეციალური საკონკურსო პროგრამების დაწერა, რომელიც ხელს შეუწყობენ უმცირესობათა სწრაფ ინტეგრირებას თბილისურ სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში;
- სახელმწიფო ენის შესწავლის უფასო კურსების დაწერა, კულტურის ცენტრების ბაზაზე;
- თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური დიასპორებისათვის სპეციალური პროგრამების შექმნა, რომელშიც აუცილებელი პირობას წარმოადგენს შესაბამისი საელჩოს თანამონაწილეობა (ამგვარი

პროექტების განხორციელება მეტად გაამჟარებს თბილისის საერთაშორისო კონტაქტებს).

### • თეატრების განვითარება

სუბსიდიაზე გადასვლის პირობებში აუცილებელია სწორი კრიტერიუმების შერჩევა ამა თუ იმ პროექტის წარმატებულობის შესაფასებლად, ვინაიდან ფორმალური, სალარო მაჩვენებლები ყოველთვის არ შეესაბამება განხორციელებული სპექტაკლის მხატვრულ დონეს.

საერთაშორისო თეატრალურ პროცესებში თანაბარი თანამონაწილეობის შეზღუდული საშუალების გამო არის საშიშროება ქართული თეატრი მთლიანად (რუსთაველის თეატრის გარდა) აღმოჩნდეს მარგინალურ მდგომარეობაში (თუ დღეს უკვე არ არის ამ როლში).

- მუნიციპალიტეტისა და კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი ხელშეწყობით დაფუძნდეს დამოუკიდებელი თეატრალური საბჭო, რომელიც ფრანგული მოდელის შესაბამისად ხელს შეუწყობს ამ დარგის განვითარებას, თანამედროვე კრიტერიუმების განსაზღვრასა და სხვ.
- შემუშავდეს თეატრალური სეზონების საჯარო განხილვების ფორმა, რომელიც კრიტიკოსების, პრაქტიკოსების, მენეჯერების, ელექტრონული მედიისა და ბეჭდვითი პრესის წარმომადგენელთა თავისუფალი აზრის გამოვლენის შესაძლებლობას მოიცავს. სეზონის შედეგები დაჯამდეს სპეციალურ ბეჭდვით ორგანოში ( თუნდაც ბიულეტენში);
- შემუშავდეს საგასტროლო პოლიტიკა, დაინერგოს საერთაშორისო კურატორების მოწვევის პრაქტიკა, შეიქმნას ხელშემწყობი პროგრამები არამარტო მერიის დაქვემდებარებული თეატრების დასაფინანსებლად, არამედ ახალგაზრდული დასების, ანტრეპრიზისა, სხვადასხვა ინტერაქტიული და მობილური წარმოდგენების და „პეპენინგების“ განსავითარებლად.
- შემუშავდეს ექსპერიმენტული მხატვრული ძიებებისა და საერთაშორისო გაცვლების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები.

## II თემატური ქვებლოკი

თბილისი – რეგიონის კულტურული ცენტრი (შავი ზღვისპირეთის ქვეყნების ჩათვლით):

- თბილისი – ყველაზე თეატრალური ქალაქი კავკასიაში:

- თბილისის თეატრალური ფესტივალების პაპეტის შემუშავება, რომელთაგან ზოგი რესპუბლიკური, ზოგი კავკასიური, ზოგიც საერთაშორისო მასშტაბის იქნება. ფესტივალების უანრობრივი სხვდასახვაობა ხელს შეუწყობს კულტურული შემოთავაზებების მკვეთრ ამაღლებას;
- მუსიკალური თეატრების, თოჯინური თუ მარიონეტული თეატრების, ექსპერიმენტული თუ ტრადიციული დრამატული თეატრების ფესტივალებისაგან შეიქმნება „ბადე-კალენდარი“, რომელიც მთელი წლის მანძილზე უზრუნველყოფს თბილისელ მაყურებელს მრავალმხრივი ინფორმაციით თანამედროვე თეატრალურ სამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ; მისცემს თბილისელებს შესაძლებლობას ეზიარონ მსოფლიო თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებას (ამ თეატრალური „ბადე-კალენდრის“ დაწყება შესაძლებელი იქნება შედარებით მცირე მასშტაბის, მაგრამ აუცილებლად თანამედროვე კონცეპტუალური რეჟისურის წარმომჩენი უანრის ფესტივალიდან).
- სრულყოფილად ფესტივალების ჩასატარებლად აუცილებელია ადგილობრივი საუკეთესო თეატრების (ოპერისა და ბალეტის, რესთავების, მარჯანიშვილის, თუმანიშვილის სახელობის და მარიონეტების თეატრის, რეზო გაბრიაძის სტუდიის) სპექტაკლებისა და სივრცეების ჩართვა, ასევე მერიის მხრიდან სამინისტროსთან, კერძო სექტორსა და საერთაშორისო მსხვილ დონორებთან თანმიმდევრული მუშაობა.

- თბილისი – ამიერკავკასიის კინემატოგრაფიული ცენტრი:

- კინოინდუსტრიის განვითარებისათვის მუნიციპალური კინოთეატრების ქსელის შექმნა.

- კინოფესტივალების „პრომეთე“ და „ელისო“ (სტუდენტური) ხელშეწყობა.
  
  
- **თბილისი – მუსიკალური ქალაქი:**

  - თბილისის საკონცერტო დარბაზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელშეწყობა.
  - თბილისის საზოგადოებრივ სივრცეებში საკონცერტო პროგრამების აღდგენა-დია ესტრადების განვითარება;
  - მუსიკალური ჯგუფების, ორკესტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა;
  - თბილისის სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალების ფინანსური მხარდაჭერა და მათი საერთაშორისო კონტაქტების არეალის გაფართოება.

  
  
- **თბილისი – საერთაშორისო თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ფორუმის ადგილი:**

  - თბილისის ცენტრში ბიზნეს სექტორისა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის კონცეფციის შემუშავება და დაარსება.
  - თბილისის 1996 წლის საერთაშორისო ბიენალეს აღდგენა.
  - მუნიციპალური გალერეის შექმნა.
  - ვიზუალური ხელოვნების პოპულარიზაცია და რეკლამირება (კატალოგების, ბუკლეტების გამოცემა).

  
  
- **თბილისი – მეცნიერების ქალაქი:**

  - ქალაქის ინტელექტუალური ტრადიციის აღდგენა – მათემატიკის, ფიზიკის და ა.შ. მეცნიერების დარგებში საქალაქო, რეგიონული, საერთაშორისო (თავდაპირველად დსთ-ს ფარგლები) ოლიმპიადების, სიმპოზიუმებისა და სხვა დონისძიებების დაწერგვა.

- ძლიერი ქართული სამეცნიერო სკოლების (მაგალითად, ფიზიკა-მათემატიკის, ფსიქოლოგიის სკოლების), გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა შემოქმედების პოპულარიზაცია. შესაბამისი გამოცემების მხარდაჭერა, მრგვალი მაგიდების, სემინარების ჩატარება.
- საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ლიტერატურის თარგმნა და ქართული საავტორო სახელმძღვანელოების გამოცემების ხელშეწყობა.
- **თბილისი – ამიერკავკასიის ტურისტული ცენტრი (იხილეთ VII თემატური ბლოკი);**

თბილისი დარგის განვითარების რეგიონალური (როგორც ამიერკავკასიის, ისე მთლიანად კავკასიისა და შემდგომ შავი ზღვის აუზის) ცენტრად გადაქცევისათვის აუცილებელია კვალიფიციური კვლევისა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება:

- კულტურული ტურიზმის ბაზრის მარკეტინგული კვლევა;
- თბილისში ტრადიციული რეწვის აღდგენა-განვითარება – მუნიციპალური სასუენირო, „სოლანის“ ტიპის, ცეხი-მაღაზიის შექმნა, რომელიც კერამიკას, ჭედურობას, მინანქარს, ფარდაგებს, ხალხური რეწვის სხვა სახეობებს აწარმოებს.
- ხალხურის რეწვის სფეროში სხვა მცირე ბიზნესის განსავითარებლად სახელმწიფო/მუნიციპალური შესყიდვების სისტემის ნაირგვარობის აღდგენა-დანერგვა, პროდუქციის ხარისხის მკაცრი სერტიფიცირების პირობებში.
- ბეჭდვითი პროდუქციის შექმნა – ალბომების, პოსტკარტების, კალენდრების, რუქებისა და გზამქვლევების დამზადება, სადაც გამოსახული და აღნიშნული იქნება არქიტექტურული ძეგლები, მუზეუმები (მათი კოლექციები), თბილისის მხატვრები, ბაღები (ბოტანიკური და ა.შ.) ფლორა და ფაუნა ძველი პერიოდიდან დღემდე, თბილისური პორტრეტები, ძველი ფოტოები.

- ცალკეული უბნების სპორტულ ცენტრებად გადაქვევა:
- საბურთალოს უბნის, როგორც სპორტული თამაშობების ადგილის სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- საბურთალოზე არსებული სპორტული ობიექტების – სპორტის სასახლიდან – იპოდრომამდე განვითარება-ადაპტაციის ხელშეწყობა;
- ძველი ქართული „სახიობისა“ (მასობრივ-კულტურული ღონისძიებების მაგალითზე) და სპორტულ თამაშობათა ურთიერთდაკავშირება – შესაბამისი კონკურსებისა და პროექტების განხორციელება.
  
  
- თბილისის საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება
- თბილისის პარკების ახალი კონცეფციის შექმნა – აქტივაცია: „მუშთაიდი-აზიური ბაზრობა“, „ვაკის პარკი-დისნეი ლენდი“, „მთაწმინდა-ქართული ეროვნული საგანმური“ „ალექსანდრეს ბაღი – პირველი საზოგადოებრივი ბაღის ისტორიები“;
- იპოდრომის, ბოტანიკური ბაღის, კუს ტბის, ლისის ტბის, ვარდების ბაღის, ვერის ბაღისა და სხვათა რეაბილიტაცია;
- თბილისური ეზოების კონკურსის მოწყობა.
- შაბათ-კვირას მოძრავი ბაზრობების მოწყობა რიცხვდან დიდ დიდმამდე – ნაკეთობათა ადგილზე დამზადება, ამ პროცესში მოსახლეობის ინტერაქტიული ჩაბმა.
  
  
- თბილისური მიკროკლიმატის შენარჩუნება საზოგადოებრივ სივრცეებში:
- ბოტანიკურ ბაღში არსებული უნიკალური ჯიშების (მათ შორის თბილისისათვის ტრადიციული ფლორის-აკაცია, ცაცხვი, თუთა, წაბლი) გამრავლება თბილისის ქუჩებში, ბაღებსა და ეზოებში;
- ორთაჭალის ბაღების რეკონსტრუქცია;
- ბალნეოლოგიური კურორტის რეაბილიტაცია;
- გოგირდის აბანოთა ქსელის განვითარება.

## VII თემატური ჯგუფი

### თბილისი – ტურისტული ქალაქი

ქალაქში ტურიზმის განვითარების სტიმულირებისათვის სასურველია, თბილისმა შეინარჩუნოს ურთიერთობის ძლიერი კულტურა. კულტურული ტურიზმის განვითარების პროგრამის მნიშვნელოვანი მიმართულება სწორედ ქალაქის, როგორც დია სისტემის ჩამოყალიბება უნდა იყოს. დია ქალაქი უზრუნველყოფს ადამიანების დაახლოებას ერთმანეთთან, ტოლერანტობის გაძლიერებას, დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებას სოციალური ქცევის დონეზე, რასაც, სავარაუდოდ, მივყავართ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის საკითხთან ქართული ტრადიციების შენარჩუნების (შესაბამისად გადარჩენის) ფონზე.

- ტურისტების მიღება-განთავსების სისტემის განვითარება:

### საჰაერო ტრანსპორტი

- საჰაერო რეისების გრაფიკების შემუშავებისას, შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებული იქნას მასობრივი ტურიზმის მოთხოვნილებები;
- ტურისტებისათვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის მისაწოდებლად აეროპორტში შეიქმნას სერვის ცენტრი, რომელიც იფუნქციონირებს, როგორც ერთიანი მუნიციპალური სერვის-ცენტრის ფილიალი.
- შეიქმნას სერვის-ცენტრისათვის აუცილებელი ნაბეჭდი პროდუქცია.
- აეროპორტში ჩამოყალიბდეს (მიეცეს რეკომენდაცია ბიზნეს სექტორს) მცირე სიმძლავრის პროფილური ტურისტული სამსახური სატრანზიტო და რეისების შეფერხების შემთხვევაში აეროპორტში მყოფი მგზავრებისათვის.

### სარკინიგზო ტრანსპორტი

- შემუშავდეს და რეალიზებულ იქნას სამივე ძირითადი სარკინიგზო სადგურის რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროგრამა (რკინიგზის სადგური – ქალაქის სახეა).

## **საავტომობილო ტრანსპორტი**

- შემუშავდეს და რეალიზებულ იქნას ძირითადი ავტოსადგურების ადაპტაციის გეგმა; ხელი შეეწყოს სათანადო ინვესტიციების მოზიდვას.

## **სასტუმროების ქსელი**

- შემუშავდეს სასტუმროების სერტიფიცირების ერთიანი სისტემა;
- დამუშავდეს ნორმატიული მოთხოვნები სასტუმროების ტიპებისა და სერტიფიცირების მოთხოვნებიდან გამომდინარე;
- ხელი შეეწყოს სასტუმროებში მომუშავე პერსონალის მომზადებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების სისტემის ფორმირებას;
- დამუშავდეს წინადადებები მასობრივი ტურიზმისათვის „B/B“ სისტემის სასტუმროების, მოტელების, სასტუმრო სახლებისა და „აპარტომენტების“, იაფი ტურბაზების მშენებლობის შესაძლებლობების შესახებ.

## **საკომუნიკაციო სისტემა**

### **შიდა და სატრანზიტო გზები –**

- დამუშავდეს თბილისის ძირითადი ტურისტული მარშრუტების სქემა და მომზადდეს წინადადებები ძირითადი მაგისტრალების ადაპტაციასთან დაკავშირებით;
- დამუშავდეს ტურისტული სეზონებისათვის ქალაქის ცენტრში საავტომობილო მოძრაობის სქემები და ჩაუტარდეთ შესაბამისი მოსამზადებელი ტრენინგები პოლიციისა და პატრულის წარმომადგენლებს;

- დამუშავდეს წინადადებები (შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე) ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი ტრაფარეტების, სხვა საგზაო ნიშნებისა და აუცილებელი საინჟინრო ინფრასტრუქტურის სისტემებთან დაკავშირებით (როგორც შიდა, ასევე სატრანზიტო გზებისათვის);

### **მომსახურების სფერო**

#### **ტურისტული კომპანიები**

- ხელი შეეწყოს შიდა ტურიზმზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს.
- ხელი შეეწყოს ტურისტული კომპანიების თანამშრომელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების სისტემის ფორმირებას.

#### **ტურისტების კვების ორგანიზაცია**

- კვების სისტემაში მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარების ხელშეწყობა.

### **სატრანსპორტო უზრუნველყოფა**

- შიდა საქალაქო მარშრუტებისათვის ე.წ. „ქალაქის საექსკურსიო ტრანსპორტი“-ს პარკის შექმნა (საკითხის სწორად დაყენების შემთხვევაში ერთმანეთის კონკურენტები შეიძლება იყვნენ – ადაპტირებული კონკა, ფაეტონი, ტივი და ბორანი – მტკვარზე და ა.შ.);
- გარე ტურისტული მარშრუტების აღჭურვა შესაბამისი (მაგალითად ვერტმფრენები, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს საპატიო სტუმრებისათვის ექსლუზიური მოხმარებისათვის) სატრანსპორტო საშუალებებით.

### **სერვისული მომსახურება**

- პროფესიონალი გიდი-ექსკურსიამდოლების, გიდების მომზადებისა და რეგულარული გადამზადების ხელშეწყობა (მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში მათი დაკავება);
- გაიდ-ბუქების, რუპების, პროსპექტების, სხვა სპეციალური სარეკლამო მასალის წარმოების ხელშეწყობა.
- ქალაქის ცენტრში სერვის ცენტრის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება ყველა საჭირო ინფორმაციის მიღება და აუცილებელი შეკვეთების გაფორმება; შემდგომში კი სერვის-ცენტრების ქსელის განვითარება.

- თბილსის შესაბამის ქუჩებზე და მოედნებზე აბრებისა და ლაიო ბოქსების დამონტაჟება (არქიტექტურულ სამსახურთან თანამშრმლობით)

## VIII თემატური ბლოკი

### მართვის სისტემის ოპტიმიზაციის ძირითადი ასპექტები

- კულტურის სფეროში მართვის ოპტიმიზაცია

ქალაქის კულტურული განვითარება მხოლოდ მუნიციპალიტეტის, ან ერთი რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის გადასაწყვეტი პრობლემა არ არის და ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს როგორც ქალაქის მერია, ასევე კულტურისა და სპორტის, განათლების, ეკონომიკის სამინისტრო, ვინაიდან კულტურული ფასეულობების შენარჩუნება და განვითარება კომპლექსური პრობლემაა და კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. პრობლემების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტერმინანტია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მხარდაჭერის მწირი ფინანსური შესაძლებლობები და ზოგადად კულტურის პოლიტიკის არარსებობა.

მართვის თანამედროვე, ქმედითუნარიანი მოდელის შესაქმნელად, უნდა გამოიკვეთოს თბილისის კულტურული განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები; ამისათვის საჭიროა ქალაქის ფუნქციური დანიშნულების, მისი წამყვანი თავისებურებების, ანუ საიდენტიფიკაციო კოდისა და სამომავლო პერსპექტივის განსაზღვრა:

- სტრატეგიის წინამოსამზადებელი ფართომასშტაბიანი სოციოლოგიური, მარკეტინგული კვლევების ჩატარება;
- ქვემდებარე კონცეფციის საფუძველზე ქალაქის კულტურისა და ტურიზმის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც ძირითადი აქცენტი გადასატანია თბილისური ტრადიციების მოდერნიზაციასა და კულტურული აქტივობის მეშვეობით საზოგადოების სტიმულირების რეალურ პრობლემაზე.
- სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა იყოს თბილისის ისტორიული ნაწილის მართვის სისტემის შექმნა; სისტემაში უნდა შევიდეს ზოგადი პოლიტიკის განმსაზღვრელი, ქალაქის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელი ახალი მუნიციპალური ორგანო – თბილისის მერიის კულტურული მემკვიდრეობის საქალაქო სამსახური (ბალტიისპირეთის გამოცდილება), უნდა განისაზღვროს ამ ორგანოს ურთიერთმიმართება ცენტრალურ ხელისუფლებასთან – კულტურისა და სპორტის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან/კომისიასთან/;

- უნდა შეიქმნას სისტემის მომდევნო რგოლი – თბილისის ისტორიული ნაწილის მენეჯმენტ - ორგანო. ამ ორგანოს იურიდიული სტატუსის ერთ-ერთი ალტერნატივა შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. განსახორციელებელ სამუშაოთა პაკეტი უნდა გადანაწილდეს საკონკურსო პრინციპით შერჩეულ მაღალკვალიფიცირებულ ორგანიზაცია-შემსრულებლებზე (უნდა აღდგეს რესტავრაციის ინსტიტუტი).

#### • კულტურისა და ტურიზმის ობსერვატორია

- ერთიანი ურბანული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია კულტურისა და ტურიზმის ობსერვატორიის ფარგლებში საზოგადოების განვითარებისათვის სახელმწიფო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორები კულტურისა და ტურიზმის სფეროში ერთობლივი საკანონმდებლო და ფისკალური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა პაკეტის დაგეგმვა (მაგ. საქველმოქმედო კანონპროექტის ჩამოსაყალიბებელი ერთობლივი სამუშაო პროგრამა).
- კულტურისა და ტურიზმის ობსერვატორიის ფარგლებში სახელმწიფო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორები კულტურისა და ტურიზმის სფეროში ერთობლივი საკანონმდებლო და ფისკალური პოლიტიკის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა პაკეტის დაგეგმვა (მაგ. საქველმოქმედო კანონპროექტის ჩამოსაყალიბებელი ერთობლივი სამუშაო პროგრამა).
- კულტურისა და ტურიზმის პოლიტიკის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის დარგში სისტემური კვლევისა და ანალიზის განხორციელება.
- სახელმწიფო, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორების საკონსულტაციო მომსახურება თანამედროვე კულტურის განვითარების, კულტურული მემკვიდრეობის, კულტურული ტურიზმის დარგში.

- კულტურისა და ტურიზმის პოლიტიკის დარგში ობსერვატორიის თანამონაწილეობა სამივე სექტორის მიერ ერთობლივი სტრატეგიის შემუშავების პროცესში.
  - საზოგადოებრივი მონიტორინგის დაწესების ხელშეწყობა კულტურის სფეროში მიმდინარე რეფორმებზე (მათ შორის მუნიციპალურ და სახელმწიფო სტრუქტურებზე).
- 
- ტურიზმის სფეროში მართვის ოპტიმიზაცია
- ტურიზმის შესაძლო განვითარება უნდა მოიაზრებოდეს კულტურასთან და ბუნებრივ-კულტურულ მემკვიდრეობასთან, რეკრეაციულ რესურსებთან ერთად და ასეთი მიდგომა უნდა დაედოს საფუძვლად სახელმწიფო მარეგულირებელი (როგორც ქვეყნის, ასევე დედაქალაქისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების დონეზე) სტრუქტურის ჩამოყალიბებას; ამასთან იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფო პრიორიტეტულობის ადექვატური ბიუჯეტით;
  - ზემოთ აღნიშნული სტრუქტურისა და შინაარსის ადექვატურად უნდა ჩამოყალიბდეს თბილისის მერიის კულტურისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური, რომლის გავლენის სფეროში უნდა მოექცეს დედაქალაქის შესაბამისი რესურსები პოტენციალი (ყველა სახისა და ტიპის მუნიციპალური შინაარსის მატარებელი ობიექტი);
  - განვითარებული და ტრადიციული ტურისტული ქვეყნების ანალოგიურად აუცილებელია დედაქალაქში კულტურისა და ტურიზმის ობსერვატორიის ფუნქციონირება.
  - აუცილებელია ჩამოყალიბდეს ტურიზმის მუნიციპალური სერვის-ცენტრი, რომელსაც ექნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა (კავშირი აეროპორტთან, რკინიგზასა და ავტო ვაგზლებთან და ა.შ.);
  - სასურველია მაპროფილებელი მუნიციპალური სამსახური გამოვიდეს დამკვეთის როლში (შესაბამისი ფინანსური შესაძლებლობებით) დარგის პროფესიონალი კადრებით უზრუნველყოფის მიზნით. ამ საქმეში შესაძლებელია კარგად იყოს გამოყენებული თბილისში მოქმედი

ზრდასრულთა მუდმივი განათლების პროფილური ორგანიზაციებისა და ასოციაციების შესაძლებლობებიც.

- **ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობა:**

კულტურის პრიორიტეტულობა სახელმწიფოს პოლიტიკის მიერ მტკიცედ დასახულ და გატარებულ მიმართულებად უნდა იქცეს, რასაც ბიზნესმენები სიამოვნებით აუბამენ მხარს. თავისთავად კულტურის სფეროში ფულის ჩადება და ამ გზით კულტურის განვითარება დღევანდელ ეტაპზე მათ შესაძლებლობებს აღემატება.

- კულტურის სფეროთი ბიზნესის დაინტერესებისათვის მერიის/ხელისუფლების მხრიდან PR კამპანიების ხელშეწყობა, რომლებიც კულტურის დაფინანსების პრესტიულობას გაუსვამენ ხაზს;
- დონაციის ეკონომიკური დაინტერესების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება (სარეკლამო მიზნები, მომავალში შესაძლო საგადასახადო შეღავათები).

- **საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა**

თბილისის ცენტრის განვითარებისათვის აუცილებელია მშენებლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მისი ქმედუნარიანობის უზრუნველყოფა. ისტორიული ნაწილისა და მათ მიმდებარე რაიონებში ძეგლთა და ლანდშაფტის დაცვის მიმართებით სამართლებლივი დოკუმენტაციის შემუშავება:

- კულტურული ძეგლებისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭების პროცედურის გადაწყვეტა და „არქმშენზედამხედველობის შესახებ“ კანონის დახვეწა.

- **აუცილებელი ცვლილებები კულტურის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში:**

- უფრო ზუსტად რომ განისაზღვროს მერიის (ზოგადად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) და მარეგულირებელი სტრუქტურის

(მაგ. კულტურის ობსერვატორიის) ფუნქციები სამუზეუმო საქმიანობის მართვაში, ცვლილებები უნდა შევიდეს მუზეუმების შესახებ კანონში. მერიას მიეცეს უფლებამოსილება განსაზღვროს, კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, ქალაქის მუზეუმებისა და მისი ისტორიული ნაწილის განვითარების სტრატეგიული მიმართულებანი, ხოლო კულტურის ობსერვატორიამ, ან მერიის რომელიმე სტრუქტურულმა ერთეულმა, უშუალოდ განახორციელოს მერიის მიერ ხსენებულ სფეროში შემუშავებული პროექტები.

- კონცეფციით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების მიზნით, საჭიროა ზუსტად განისაზღვროს კანონში „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და კულტურის ობსერვატორიის უფლებამოსილებები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით, ასევე გარკვეული ადმინისტრირების უფლებების მინიჭების სახითაც.
- კანონებით „თეატრების შესახებ“ და „მუზეუმების შესახებ“ უნდა განისაზღვროს თუ რის საფუძველზე მიიჩნევა თეატრი ან მუზეუმი მუნიციპალური დაქვემდებარების მუზეუმად ან თეატრად.
- ანალოგიურად, კანონში „მუზეუმების შესახებ“ შეტანილი ცვლილებებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მიეცეთ უფლებამოსილება დააფუძნონ მუნიციპალურ დაფინანსებაზე მყოფი მუზეუმები საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით.
- ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) ორგანოების უფლებამოსილება ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული კანონში „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. შესაბამისად, აუცილებელია კანონით „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ განისაზღვროს – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება ბიბლიოთეკების დაფუძნებისა და მათი შემდგომი ეფექტური ორგანიზების მიზნით.

ନାନାରୋତ୍ତମା

## დანართი №1

თბილისის კულტურის პოლიტიკის მონაცემები

1. მუნიციპალური კულტურის აღმინისტრაციის ისტორია 1945 წლის შემდეგ:

- ძირითადი მიმართულებები და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც იქნა მიღებული თბილისის კულტურის აღმინისტრაციის მიერ 1945 წლის შემდეგ;
- რომელმა მოქმედმა პირებმა (ხელმძღვანელები: ადგილობრივი, რეგიონული ნაციონალური და სხვ.) შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი მის განვითარებაში?
- ქალაქის ისტორია დროითი პერიოდიზაციის სახით (ი. ზემოთ მოყვანილი ქალაქის ისტორიის ვრცელი ვერსია)

### 1.1

#### **1945 წელი**

თბილისის სახალხო კომისარიატის 1945 წლის 28 დეკემბრის № 1705 დადგენილების შესაბამისად, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 15 თებერვლის № 106 დადგენილებით (ოქმი №4-დან № 14) საქალაქო საბჭოს აღმასკომთან და თბილისის ლენინის, სტალინის, მოლოტოვის, 26 კომისრის, კიროვის, კალინინის და ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭოების აღმასკომებთან კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებები შეიქმნა. ერთიანი საქალაქო სამსახური არ არსებობდა, მაგრამ ერთიანი მართვა ხორციელდებოდა ცენტრალიზებულად, სოციალისტური იდეოლოგიის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული დადგენილებებით კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებების შექმნასთან დაკავშირებით გაუქმდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებების კულტურულ-საგანმანათლებლო ინსპექტორების ორი საშტატო ერთეული.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებებს დაეკისრა თბილისში არსებული სახელმწიფო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელი ქსელის (9 საქალაქო ბიბლიოთეკის, მუზეუმების, კლუბების, კულტურის სახლების, სალექციო ბიუროების, კულტურისა და დასვენების პარკების) ხელმძღვანელობა და სახელმწიფო კონტროლის გაწევა-ამდენად მოხდა ინსტიტუციის გამსხვილება.

### 1953 წელი

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1953 წლის 10 ივნისის № 364 გადაწყვეტილებით (ოქმი 12, §16) კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებას შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „კულტურის განყოფილება“-ანუ გაიზარდა განყოფილების სტატუსი.

### 1959 წელი

თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-7 მოწვევის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1959 წლის 11 სექტემბერის №11 გადაწყვეტილებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის „კულტურის განყოფილებას“ კვლავ შეეცვალა სახელწოდება და დაერქვა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის „კულტურისა და კინოფიკაციის განყოფილება“ -ანუ ინფრასტრუქტურამ განიცადა ზრდა კინო-ობიექტების ხარჯზე.

### 1963 წელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 26 ოქტომბრის № 680 დადგენილების შესაბამისად თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის „1963 წლის 13 ნოემბრის № 881 გადაწყვეტილებებით კინოფიკაციის სამმართველოს შექმნასთან დაკავშირებით, იგი გამოეყო „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურისა და კინოფიკაციის განყოფილებას“ და ეწოდა „თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება“.

კულტურის განყოფილების დაქვემდებარაში იყო:

- ბიბლიოთეკები
- მუზეუმები
- კლუბები
- კულტურის სახლები
- კულტურისა და დასგენების პარკები

იმასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა კულტურის განყოფილების სამუშაოთა მოცულობა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა

რაოდენობა, მათი ფუნქციონირება გახდა უფრო მნიშვნელოვანი და სულ უფრო დიდ როლს ასრულებდა დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, კულტურის განვითარების სტატუსი აღმოჩნდა შეუსაბამო არსებული ქალაქის კულტურის მმართველი სტრუქტურისა.

## 1978 წელი

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოს დაქვემდებარებაში შევიდა 28 სამუსიკო სკოლა, ერთი სამხატვრო სკოლა, ერთი ქართული ხალხური ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია, ერთი ხელოვნების სკოლა, საქალაქო მასობრივი და საბავშვო ბიბლიოთეკები, მისი ფილიალებით, 8 კულტურისა და დასვენების პარკი, 3 მუზეუმი (თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი-„ქარვასლა“, ი. ჭავჭავაძის და 6. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმები, საქალაქო კულტურის სახლი, I საქალაქო კლუბი, 2 პანთეონი ( მთაწმინდისა და დიდუბის)).

**ანუ 1978-2000წ მიმდინარეობს სისტემის ეტაპობრივი გამსხვილება.**

1993წ. სისტემაში შემოვიდა 9 თეატრი.

## 2000 წელი

ქ. თბილისის მერიის ბრძანების №2 04.02.2000წ. საფუძველზე კულტურის სამმართველო გადაკეთდა თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურად. (დამტკიცებულია ქალაქ თბილისის პრემიერის 2000 წლის 16 მარტის №126 განკარგულებით. შეტანილია ცვლილებები თბილისის პრემიერის 2000 წლის 11 სექტემბრის №610, №611, 2001 წლის 29 იანვრის №46 და 2002 წლის 8 იანვრის №1 განკარგულებით)

სამსახურის ამოცანებს შეადგენდა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე კულტურის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა; მასში შემავალი ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების მომზადება, მათი განხორციელების ორგანიზება.

2004 წლის მარტში განხორციელდა რეორგანიზაცია, რის შედეგად კულტურის საქალაქო სამსახურს დაექვემდებარა სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. სამივე სამსახურის 110 საშტატო ერთეულიდან დარჩა 78 ერთეული.

## 2004 წლის მარტი-დეკემბერი

ქ. თბილისის მერიის ბრძანება №72 18.03.2004წ. განკარგულების საფუძველზე შეიქმნა ქ. თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახური.

გამსხვილებული სამსახურის ძირითადი ამოცანებს შეადგენდა:

- ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა; მასში შემავალი ინფრასტრუქტურის ობიექტების რეაბილიტაციისა და განვითარების პროგრამების მომზადება, მათი განხორციელების ორგანიზება.
- ქალაქ თბილისში კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში სპეციალური პროგრამების შემუშავება-განხორციელება; საქალაქო მნიშვნელობის კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა საკითხების მართვა, ღონისძიებების შემუშავება.
- კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში დასაქმებულთა მოღვაწეობის თავისუფლების უზრუნველყოფა, მათი წარმოჩნდების და პოპულარიზაცია-პროპაგანდის ხელშეწყობა;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქალაქის კულტურის სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და მართვა.
- ქალაქისათვის უცხოური ინვესტიციების და კრედიტების მოზიდვის ხელშეწყობა კულტურული, სპორტული, ტურისტული და ახალგაზრდული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისათვის.
- დამმობილებულ ქალაქებთან ქალაქ თბილისის საერთაშორისო კულტურული, სპორტული, ტურისტული და ახალგაზრდული კავშირების განვითარება.

2004 წლის 20 დეკემბრის ქ. თბილისის მერიის ბრძანება №17-ის საფუძველზე გაუქმდა კულტურის საქალაქო სამსახური. (ბრძანებაში აქამდე არსებული კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახური არ არის მოხსენიებული)

მერიის სტრუქტურაში ცალკე ჩამოყალიბდა სპოტრის საქალაქო სამსახური, ხოლო ტურიზმის სამსახური გადავიდა ეკონომიკური სამსახურის მმართველობის სფეროში. განათლების საქალაქო სამსახურს ეწოდა განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, რომლის მმართველობის სფეროში გადავიდა კულტურის ინფრასტრუქტურა.

2004 წლის დეკემბერში თბილისის მერიამ გადასცა ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი – „ქარვასლა“ კულტურისა და სპორტის სამინისტროს მეზეუმების ეროვნული გაერთიანების დაქვემდებარებაში, რომლის შემადგენლობაში ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის მუზეუმი-ქარვასლა შევიდა როგორც ფილიალი (საკუთარი იურიდიული სტატუსის არმქონე სტრუქტურული ერთეული).

## 1.2. კულტურის სამსახურის უფროსების სია წლების მიხედვით:

1953 – 55 წ.წ.	ო. მუხიაშვილი
1955 – 71 წ.წ.	ქ. ოტიაშვილი
1971 – 76 წ.წ.	ც. ქოჩეჩაშვილი
1976 – 81 წ.წ.	რ. დონაძე
1981 – 84 წ.წ.	გ. ჯაფარიძე
1984 – 99 წ.წ.	ო. ბერძენიშვილი
2000 – 04 წ.წ.	დ. ოქიტაშვილი
2005 წლიდან	ნ. მაჩალაძე

## 2. კომპეტენცია, გადაწყვეტილებების მიღება და ადმინისტრაცია

### 2.1. საორგანიზაციო სრუქტურა

- საორგანიზაციო სქემა
- კულტურის ადმინისტრაციის ადგილი ქალაქის ადმინისტრაციაში
- განყოფილებები/სხვადასხვა ინსტიტუციები, რომლებიც კულტურის ადმინისტრაციის ნაწილს შეადგენენ.
- საორგანიზაციო სქემები 2000წ – 2004წ. (იხ. ქვედანართში)

- კულტურის ადმინისტრაციის ადგილი ქალაქის ადმინისტრაციაში (იხილეთ ქვედანართი-1 2000წ – 2004წ).
- თანამშრომელთა პერსონალის რაოდენობა, რომელთაც ანაზღაურება ეძღვათ ქალაქის კულტურის სამსახურებიდან (ინფრასტრუქტურა 2004 წლამდე).

დარგების დასახელება	შტატების რაოდენობა (განაკვეთები) წლების მიხედვით			
	2001	2002	2003	2004
სამუსიკო სკოლები	2452	2524	2523	2543
მუზეუმები	173	173	173	179
თეატრები	990	1077	797	
სასწავლებლები	157	157	157	157
ანსამბლები	104	102	91	91
კულტურის პარკები	119	119	119	119
ბიბლიოთეკები	537	537	538	558
კულტურის ცენტრები	36	36	36	36
პანთეონები და ძეგლები	15	15	20	20
ორკესტრი ბიგ-ბენდი				
დონისძიებები				
მუსიკალური კულტურის ცენტრი	209	209		
კულტურის გადარჩენის ფონდი				
მიწისძვრის სამუშაოები				
კულტურის უნივერსიტეტი				
ტერიზმის დონისძიებები				
ახალგაზრდული დონისძიებები				
სულ	4792	4949	4454	3703

ორგანიზაციათა დასახელება	ობიექტების რაოდენობა წლების მიხედვით			
	2001	2002	2003	2004
სამუშაო სკოლები ხელოვნების სკოლები	24 7	24 7	24 7	24 7
მუზეუმები	8	12	12	12/11
თეატრები	9	13	13	12
სასწავლებლები	2	3	3	3
ანსამბლები	2	2	1	1
კულტურისა და დასვენების პარკები	4	4	4	4
ბიბლიოთეკები, ბიბლიოთეკების გაერთიანება	58	61 1	61 1	61 1
კულტურის ცენტრები	3	3	3	3
პანთეონები	3	3	3	3
ორგესტრი-ბიგ-ბენდი საფორტეპიანო ტრიო	1 1	1 1	1 1	1 1
ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანება	1	1	1	1
მუსიკალური კულტურის ცენტრი	1	1	1	1
კულტურის გადარჩენის ფონდი	1	1	1	1
ფესტივალები, კონკურსები	2 1	3 1	3 1	3 1
უცხოეთან ურთიერთობის ცენტრი	1	1	1	1
ტურიზმის ღონისძიებები	-	-	-	-
ახალგაზრდული ღონისძიებები	-	-	-	-
კულტურის უნივერსიტეტი	-	-	-	1

## 2.1. სისტემის მთლიანი აღწერა

- კულტურის ადმინისტრაციის როლი საქალაქო ადმინისტრაციაში
- კულტურის დეპარტამენტის მოვალეობა-პასუხისმგებლობები
- გადაწყვეტილების მიღების პროცედურები
- სხვა რომელი ინსტიტუციები და ორგანიზაციები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში?

საბჭოთა პოერიოდიდან ქალაქის კულტურის განყოფილება ორმაგ დაქვედებარებაში იყო აღმასკომის თავმჯდომარისა და კულტურის სამინისტროს მიმართ, და არ არსებობდა, როგორც რეალური თვითმმართველობის ორგანო.

1945 წლიდან 1990 წლამდე სამსახურის უფროსსა და ინფრასტრუქტურაში შემავალი ობიექტების (სკოლების, თეატრებს, მუზეუმების) დირექტორებს აღმასკომის წარდგინებით ამტკიცებდა კულტურის სამინისტრო. უფროსი ინიშნებოდა აღმასკომის დადგენილებით, ხოლო 1999 წლის შემდგომ განკარგულებით, კულტურის მინისტრთან შეთანხმებით (საბჭოთა პერიოდში პარტიული ხაზით). გადაწყვეტილებების მიღება ხელმძღვანელი პირების დანიშვნის თაობაზე ხორციელდებოდა სამსახურის კადრების განყოფილების გამგის წარდგინებითა და უფროსის ხელმოწერით, ხოლო ამტკიცებდა კულტურის სამინისტრო.

პოსტსაბჭოთა პერიოდშიც ორმაგი დაქვემდებარება გრძელდებოდა 1990 წლიდან 2000 წლამდე. 2000 წლამდე კულტურის განყოფილებას არ გააჩნდა სტრუქტურული დანაყოფები განყოფილებების სახით. საშტატო ერთეულს ეწოდებოდა ჯერ დარგობრივი ინსპექტორი, შემდგომ სპეციალისტი.

2000 წლიდან სამსახურის უფროსი ინიშნება ქალაქის საკრებულოს დამტკიცებით, მერის, პრემიერის წარდგინებით. ინფრასტრუქტურაში შემავალი ობიექტების (მუსიკალური სკოლების, თეატრების, მუზეუმების) დირექტორებს ნიშნავს სამსახურის უფროსი, ამდენად იზრდება მართვის დეცენტრალიზაცია.

## 2000 წელი

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად ჩამოყალიბდა ქალაქ თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის დებულება, რომელის თანახმად სამსახური გამოვიდა ორმაგი დაქვემდებარებიდან (იგი ემორჩილებოდა მხოლოდ ქალაქის პრემიერს) და განახორციელებდა შემდეგ უფლებამოსილებებს:

- ქალაქ თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური, როგორც ქალაქ თბილისის მთავრობის კომპეტენციას მიკუთვნებული კულტურის საკითხების მართვის მიზნით შექმნილი საბიუჯეტო დაწესებულება, რომელიც „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერიის დებულების“ საფუძველზე დედაქალაქისათვის გადაცემული უფლებამოსილების

ფარგლებში ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას კულტურის სფეროში.

- სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის „შესახებ“ საქართველოს კანონით, „საქართველოს დედაქალაქის–ქალაქ თბილისის მერიის დებულებით,“ საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ქალაქ თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე დებულებით და სამსახურის შინაგანაწესით. მათი შესრულების მიზნით სამსახური წყვეტს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს.
- კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კულტურის სამინისტრო მეთოდოლოგიურად ხელმძღვანელობს კულტურის საქალაქო სამსახურს;
- სამსახურის კომპეტენცია, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ქალაქ თბილისის პრემიერი.
- სამსახური ანგარიშვალდებულია ქალაქ თბილისის მერის, ქალაქ თბილისის საკრებულოს და ქალაქ თბილისის პრემიერის წინაშე.
- სამსახურს აქვს დებულება, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა და საონადო ანგარიში ქალაქ თბილისის ხაზინაში.
- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახური იღებს გადაწყვეტილებებს და მათ შესასრულებლად გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.
- სამსახურის დაფინანსება ხორციელდება საქალაქო ბიუჯეტის ხარჯზე.

ამდენად 2000 წელს კულტურის საქალაქო სამსახურის ჩამოყალიბებით ქალაქის კულტურის მართვაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა უფრო მეტი დეცენტრალიზაციისაკენ.

მიუხედავად ამისა, ქალაქ თბილისის კულტურის აღმინისტრაცია მოიცავს ძალზე ვიწრო არეალს, რადგან მის დაქვემდებარებაში არ არის არც ქალაქის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (ეს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის პრეროგატივა) და არც ქალაქის გარე რეკლამისა თუ ახალმშენებლობათა შესაბამისობის კონტროლი კულტურულ ლანდშაფტთან (ეს საკითხები არქიტექტურის საქალაქო სამსახურისა და ქალაქის მთავარი დიზაინერის ოფისს ექვემდებარება).

შედეგად, მერიის სამსახურებსა და შესაბამის სამინისტროებს შორის არადამაკმაყოფილებელი ინტეგრაციის პირობებში ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად იკვეთება ბოლო წლების კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტების ქაოტურობა.

## 2.1 თანამშრომლობა სხვა უწყებებთან

- სხვა რომელი ინსტიტუციები და ორგანიზაციები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში?

კულტურის დეპარტამენტის თანამშრომლობს:

- საბჭოთა პერიოდში აღმასკომთან, უახლეს პერიოდში მერიის სხვა განყოფილებებთან: ძირითადად ეკონომიკურ და საფინანსო სამსახურებთან;
- ქალაქის (დამოუკიდებელ) კულტურის ინსტიტუციებთან არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნეს ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან (თანამშრომლობა არ არის მხოლოდ კომერციული ხასიათის – ღონისძიებათა ერთობლივი დაფინანსება, ჩარტერული რეისები და სხვა)
- დამოუკიდებელ ხელოვანთა სექტორთან
- ეროვნულ მთავრობასთან-კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან;
- სხვა ქალაქებთან ქვეყნის მასშტაბით თანამშრომლობა წომინალურია;
- კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახური არ არის გაერთიანებული საერთაშორისო პარტნიორულ ქსელებში, თუმცა აქვს ორმხრივი ხელშეკრულებები მსოფლიოს სხვადასხვა დედაქალაქებისა და ქალაქების შესაბამის სამსახურებთან – მოსკოვთან, ერევანთან, რომთან, ფლორენციისთან და სხვა.

### 3. ქალაქის კულტურის პოლიტიკის ძირითადი მიზნები და პრიორიტეტები

#### 3.1. რა არეალს მოიცავს კულტურის ადმინისტრაცია?

#### 3.2. კულტურის პოლიტიკის მიზნები.

- რა ძირითად მიზნებს ისახავს ქალაქის კულტურის პოლიტიკა? რატომ ამ მიზნებს? როგორ სრულდება ისინი?
- აქვს თუ არა ქალაქს გრძელვადიანი კულტურის სტრატეგია? ვინ არიან სტრატეგიის/გეგმის მთავარი მოქმედი პირები? არის თუ არა სტრატეგია/გეგმა დანერგილი?
- მოიცავს თუ არა ქალაქის მთლიანი განვითარების სტრატეგია ქალაქის კულტურის პოლიტიკის ძირითად მიზნებს?

2003 წლის 26 ივნისს თბილისის მერიაში გამართულ ფორუმზე დამტკიცდა დებულება და შეიქმნა ქ. თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებელი საბჭო. (ქალაქ თბილისის საკრებულოს 2003 წლის 20 ივნისის დადგენილება № 53. –დებულების პროექტის „ქ. თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ“ შეთანხმებაზე).

საბჭოს დადგენილებით მერიის სამსახურებს დაევალა შესაბამისი სტრატეგიული გეგმების შემუშავება, მაგრამ დედაქალაქს დღემდე არ აქვს შემუშავებული ერთიანი სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად თბილისს არ გააჩნია გრძელვადიანი კულტურის განვითარების სტრატეგია.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად პირველი ნაბიჯი გადაიდგა 2004 წელს ქალაქ თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის მიერ, რომელმაც დააფინანსა კულტურის გადარჩენის ფონდის პროგრამა „ქ. თბილისის განვითარების სტრატეგიული გეგმისათვის კულტურისა და ტურიზმის პოლიტიკის კონცეფციის შექმნა“, რომლის საბოლოო პროდუქტსაც წარმოადგენს ქვემდებარე დოკუმენტი.

#### 3.1. მიმდინარე კულტურის პოლიტიკის საკითხები:

- რა ძირითადი საკითხები იქნა დასმული ქალაქის კულტურის პოლიტიკაში ბოლო 5 წლის განმავლობაში? როგორი ცვლილებები განიცადეს ბოლო 5 წლის განმავლობაში? რატომ?

ბიუჯეტის ანალიზის შედეგად პრიორიტეტიად შეიძლება გამოიკვეთოს ხელოვნების ის დარგები, რომლებიც საშემსრულებლო და თეატრალურ ხელოვნებას განეკუთვნება; კერძოდ, საერთო არადამაკმაყოფილებელი დაფინანსების პირობებში შედარებით პრივილიგირებულ მდგომარეობაში ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო მუსიკალური სკოლები, სახელოვნებო კოლეჯები და სასწავლებლები, ანსამბლები, თეატრები და მუსიკალური ცენტრი. შედარებით მცირე ზრდა იყო ბიბლიოთეკებისა და საზოგადო სივრცეების – პარკებისა და პანთეონების – დაფინანსებაში. ასევე შედარებით სტაბილურია მუნიციპალური ფესტივალების დაფინანსება.

ყველაზე არაპრიორიტეტულ დარგად ქალაქის ბიუჯეტის მიხედვით შეიძლება დასახელდეს მუზეუმები, რომელთა დაფინანსება, ცალკეული შემთხვევების გამოკლებით, საგრძნობლად შემცირდა.

#### **4. კულტურის დაფინანსება**

კულტურის საქალაქო სამსახურის დაქვემდებარებაში შედის სამუსიკო სკოლები, მუზეუმები, თეატრები, სასწავლებლები, ანსამბლები, კულტურისა და დასვენების პარკები, ბიბლიოთეკები, კულტურის ცენტრები, პანთეონები და ძეგლები, ბიგ-ბენდი, მუსიკალურ-კულტურული ცენტრი და კულტურის უნივერსიტეტი.

#### **მუზეუმები**

2001 წელს 2000 წელთან შედარებით გაიზარდა 1 მუზეუმით.

2001 წელს მუნიციპალური მუზეუმების ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 425974 ლარს, 2002 წელს – 564240 ლარს, ე.ი. გაიზარდა 32,46%-ით; ხოლო 2003 წელს ბიუჯეტით დაფინანსება შეუმცირდათ მუზეუმებს 83%-ით და გეგმამ შეადგინა 308300 ლარი. შესაბამისად, შემცირდა დამთვარიელებლების რაოდენობაც – წინა წელთან შედარებით 16,88%-ით.

მუზეუმებს ძირითადად, გარდა „ქარვასლისა“, არ გააჩნიათ საკუთარი შემოსავლები, რის გამოც მათი ხარჯები მთლიანად დამოკიდებულია ბიუჯეტზე. „ქარვასლა“-ს 2003 წელს წინა წელთან შედარებით სპეციალური სახსრები შეუმცირდა 33,3 %-ით, ხოლო 2004 წელს 12,5%-ით.

## თეატრები

ბიუჯეტით დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება 2001 წლიდან 2003 წლის ჩათვლით. 2001 წელს ყველა მუნიციპალური თეატრი გადავიდა სუბსიდიაზე: კ. ი. თეატრის დირექციასთან იდება ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თეატრი იდებს ვალდებულებას განსაზღვრული თანხის ფარგლებში დადგას გარკვეული რაოდენობის სპექტაკლი და ამით განსაზღვრავს საკუთარი შემოსავლების რაოდენობას. თუ თეატრი არ შეასრულებს აღებულ ვალდებულებას, შესაბამისად ბიუჯეტიც შემდეგ წელს აღარ დააფინანსებს მას, ხოლო უფრო მეტად დააფინანსებს იმ თეატრს, რომელიც ზუსტად შეასრულებს მის მიერ დადებული ხელშეკრულების პირობებს).

2001 წლიდან 2003 წლამდე იზრდებოდა ბიუჯეტით დაფინანსება, ასევე იზრდებოდა სპექტაკლების რაოდენობაც, მაგრამ მცირდებოდა მაყურებელთა რაოდენობა. შესაბამისად იკლო თეატრების საკუთარმა შემოსავლებმაც.

## სახელოვნებო სასწავლებლები

მუნიციპალურ დაქვემდებარებაში შედის 30 სამუსიკო და ერთი სამხატვრო სკოლა. მათი ხარჯების უმეტესი წილი ბიუჯეტზე მოდის, ხოლო საკუთარი შემოსავლები მთლიანად იხარჯება მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე და დამქირავებლიდან ანარიცხებზე.

ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმა წინა წელთან შედარებით შემცირდა 8,6 %-ით, შემოსავლები გაიზარდა 1%-ით. 2003 წელს ბიუჯეტის გეგმა გაიზარდა 48,68 %-ით, ხოლო შემოსავალი შემცირდა 2,2%-ით 2004 წელს ბიუჯეტი გაიზარდა 88,4%-ით (რაც გამწვეული იყო პედაგოგების ხელფასების მატებით) და სპეციალური სახსრებიც – 16,57 %-ით (რაც გამოწვეული იყო მოსწავლეთა კონტინგენტის მატებით).

მუნიციპალური დაქვემდებარების არის 3 სასწავლებელი – ს. ზაქარიაძის სახელობის თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი, ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია და სასწავლო კინოსტუდია. ამათგან საკუთარი შემოსავლები აქვს ს. ზაქარიაძის სახ. კოლეჯს და ქორეოგრაფიულ სკოლა-სტუდიას. მათი შემოსავალი 2001 წლიდან 2003 წლამდე მცირდებოდა 16,57%-ით ხოლო 2004 წელს მათი შემოსავალი გაუთანაბრდა 2001 წლის შემოსავალს. ბიუჯეტით დაფინანსება ყველაზე მეტი იყო 2003 წელს, 2004 წელს შემცირდა 18,53%-ით. სუბსიდიაზეა კულტურის

უნივერსიტეტიც, რომელიც 2004 წელს გადმოვიდა მუნიციპალურ დაქვემდებარებაში.

### **ანსამბლები და ორკესტრი**

სუბსიდიაზე არიან ანსამბლები, ბიგ-ბენდი, მუსიკალურ-კულტურული ცენტრი.

### **ბიბლიოთეკები**

მუნიციპალურ დაქვემდებარებაში შედის 4 ბიბლიოთეკა და 1 ცენტრალიზებული ბიბლიოთეკა, რომელშიც შედის 53 ფილიალი.

ბიბლიოთეკების დაფინანსება ბიუჯეტით 2002 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 21,89%-ით, 2003 წელს შემცირდა 5%-ით, ხოლო 2004 წელს გაიზარდა 4,8%-ით. საკუთარი შემოსავლები მხოლოდ ცენტრალიზებულ ბიბლიოთეკას აქვს. მას შემოსავალი მკითხველთა გაწევრიანებიდან და იჯარიდან შესდის. მათი შემოსავლები ყოველწლიურად იზრდება და 2001 წლიდან 2004 წლამდე გაიზარდა 190 %-ით.

### **პარკები**

მუნიციპალურ დაქვემდებარებაში შედის 4 პარკი (ვაკის პარკი, მუშთაიდის პარკი, მთაწმინდის პარკი და ზოოლოგიური პარკი). ყველა მათგანი სუბსიდიაზე არის და იგივე პირობებია, რაც თეატრებში,

### **კულტურული ცენტრი**

ქალაქის დაქვემდებარებაში შედის 3 კულტურული ცენტრი (აზერბაიჯანის კულტურის ცენტრი, რუსეთის კულტურის ცენტრი და „კავკასიური სახლი“). მათ საკუთარი შემოსავლები არ აქვთ და ბიუჯეტით დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება.

2001 წლიდან 2004 წლამდე 19,13%-ით.

კულტურის საქალაქო სამსახური ახორციელებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს. 2001 წელს გეგმა იყო 643800 ლარი, 2002 წელს შემცირდა 54,9%-ით და შეადგინა 415500 ლარი. 2003 წელს გაიზარდა 112.7%, ხოლო 2004 წელს – 28,5%-ით.

ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს 2002 წელს მიწისძვრით დაზარალებულ კულტურული ობიექტების სარემონტო სამუშაოებს. 2003 წელს ბიუჯეტით დაფინანსება გაიზარდა 116.2%-ით, ხოლო 2004 წელს 12,23%-ით.

2004 წელს კულტურის საქალაქო სამსახურს დაემატა ტურიზმისა და ახალგაზრდული ღონისძიებები.

ტურიზმის ღონისძიებების გეგმა შეადგენს 100 000 ლარს, ხოლო ახალგაზრდული ღონისძიებების გეგმა -275000ლარს.

№	დარგების დასახელება	ობიექტების რაოდენობა				შტატების რაოდენობა (განაკვეთები)				ბიუჯეტის გეგმა				შემოსავლები				
		2001	2002	2003	2004	2001	2002	2003	2004	2001	2002	2003	2004	2001	2002	2003	2004	
1	სამუზეო სკოლები	31	31	31	31	2452	2524	2523	2543	1535945	1414118	2102610	3961032	537000	542000	530000	617806	
2	მუზეუმები	10	12	12	13	173	173	173	179	425974	564240	308300	314173	11000	12000	9000	8181	
3	თეატრები	12	13	13	13	990	1077	797		1025135	1335000	1618500	1214900	245800	156800	207900	147558	
4	სახწავლებლები	3	3	3	3	157	157	157	157	234894	204500	286710	241876	41500	39000	35600	41688	
5	ანსამბლები	4	4	3	3	104	102	91	91	75303	84544	81960	81500					
6	კულტ.პარკები	4	4	4	4	119	119	119	119	1068712	1154200	1255400	1115900	1400	1000	83000	114003	
7	ბიბლიოთეკები	4	4	4	4	537	537	538	558	696935	849560	809190	848523	4500	7500	8700	13029	
8	კულტ.ცენტრები	3	3	3	3	36	36	36	36	39900	44550	48200	47534					
9	პანთეონები და ძგლები	2	3	3	3	15	15	20	20	388925	468925	387670	417600					
10	ბიბ-ბენდი	1	1	1	1					125000	125000	135000	106000			50000	20000	
11	ღონისძიებები									643800	415500	883500	1135560					
12	მუსიკ. კულტ.ცენტრი	1	1		1	209	209			705000	850000	873000	745000	62500	62500	70000	124200	
13	კულტ.გადარჩნის ფონდი									150000								
14	მწისძვრის სამუშაოები										409400	885000	993300					
15	კულტურის უნივერსიტეტი				1								250000					
16	ტურიზმის ღონისძიებები												100000					
17	ახალგაზ. ღონისძიებები												275000					
	სულ	75	79	77	80	4792	4949	4454	3703	7115523	7919537	9675040	11847898	903700	820800	994200	1086465	

2003 წელი წარმოდგენილია როგორც ნიმუში.

2003 წელს კულტურის საქალაქო სამსახურში დაქვემდებარებულ ობიექტთა

- დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 9675040 ლარს,

- დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 9293036 ლარს,
- შესრულება შეადგენდა 7985705 ლარს.
- სხვაობა შეადგენდა 1307331ლარს.

#### **4.1. მოკლე მიმოხილვა**

- მთლიანი ქალაქის (მერიის) დანახარჯები კულტურაზე შეადგენს 10914040 ლარი (თბილისის ბიუჯეტის გეგმა)
- ქალაქის (მერიის) მთელ ბიუჯეტში კულტურის დაფინანსება შეადგენს 4, 78%.
- მუნიციპალური დანახარჯების განვითარება კულტურაზე ბოლო 4 წლის განმავლობაში:

2001 წ. – 7 115 523 ლ

2002 წ. – 7 919 537 ლ

2003 წ. – 9 675 040 ლ

2004 წ. – 11 847 898 ლ

#### **4.2. ქალაქის დანახარჯები კულტურაზე**

მერიის დანახარჯი – 10 914 040 ლარი

#### **4.3. ქალაქის მთავრობის მიერ განსაზღვრული კულტურის შემოსავალი:**

კულტურის სფეროს საკუთარი შემოსავლები 914 200 ლარი.

- ეროვნული /რეგიონული/ პროფინციათა მთავრობების მიერ აღმოჩენილი ფინანსური დახმარება კულტურის დეპარტამენტისადმი.

ძირითადად 2000-2004 წლებში კულტურის საქალაქო სამსახური ეხმარებოდა ცენტრალურ ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციებს და არა პირიქით; კერძოდ, 2003 წლის საქალაქო ბიუჯეტით სახელმწიფო (ცენტრალური) კულტურის ინსტიტუციებიდან დამატებით დაფინანსდა:

- თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,
- შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
- პროგრამა „წიგნის დარბაზი“,
- გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი

- ქ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,
- სასწავლო კინოსტუდია,
- მ. გელოგანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა,
- გ. მიქელაძის სახელობის ტექნიკური ბიბლიოთეკა,
- ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა.

#### 4.4. ქალაქის მთავრობის დანახარჯები კულტურაზე მისი ქვე-სექტორების მხრიდან

— როგორც ევროებში ასევე პროცენტებში.

დარგების დასახელება	ბიუჯეტის გეგმა									
	2001 ლარი	2002 ლარი	2002 %	2003 ლარი	2003 ევრო	2003 %	2004 ლარი	2004 ევრო	2004 %	
სამუსიკო სკოლები	1535945	1414118	-8,6 %	2102610	914178	+48,69%	3961032	1722188	+88,38%	
მუზეუმები	425974	564240	+32,46%	308300	134043	-83,6%	314173	136597	+1,9%	
თეატრები	1025135	1335000	+30,23%	1618500	703696	+21,23%	1214900	528217	-33,22%	
სასწავლებლები	234894	204500	-14,86%	286710	124656	+40,20%	241876	105163	+18,53%	
ანსამბლები	75303	84544	+12,27%	81960	35635	-3,15%	81500	35435	-0,56%	
კულტ-პარკები	1068712	1154200	+8%	1255400	545826	+8,77%	1115900	485174	-12,5%	
ბიბლიოთეკები	696935	849560	+21,90%	809190	351822	-4,99%	848523	368923	+4,86%	
კულტ-ცენტრები	39900	44550	+11,65%	48200	20957	+8,19%	47534	20667	-1,4%	
პანთეონები და ძეგლები	388925	468925	+20,57%	387670	168552	-20,96%	417600	181565	+7,72%	
ბიგ-ბენდი	125000	125000	—	135000	58697	+8%	106000	46087	-27,36%	
ღონისძიებები	643800	415500	-51,35%	883500	384130	+112,65%	1135560	493722	+28,53%	
მუსიკ. კულტ. ცენტრი	705000	850000	+20,57%	873000	379565	+2,71%	745000	323913	+28,53%	
კულტ. გადარჩენის ფონდი	150000		-100%						-17,18%	
მიწისძვრის სამუშაოები		409400	+100%	885000	384783	+116,2%	993300	431870		
კულტურის უნივერსიტეტი							250000	108696	+12,24%	
ტურიზმის ღონისძიებები							100000	43478	+100%	
ახალგაზ. ღონისძიებები							275000	119565	+100%	
სულ	7115523	7919537	+11,30%	9675040	4206540	+22,17%	11847898	5151260	+22,46%	

#### 4.5..პროფესიონალ ხელოვანთა ხელშეწყობა.

ქალაქის მერიის მხრიდან კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ წლების მანძილზე ხორციელდებოდა პროფესიონალ ხელოვანთა ფინანსური უზრუნველყოფა:

- a) 2003 წელს შერჩეულ იყვნენ წლის საუკეთესო პროფესიონალები კულტურის სფეროს ყველა მიმართულებით, დაფინანსებამ შეადგინა 25 000 ლარი.

ბ) 2002-2004წწ-ში შეიქმნა ხელოვნებისა და კულტურის მარტოხელა, უმწეო მუშაქთა დახმარების პროგრამა- 30 000 ლარი.

ქალაქის მერიის მიერ პროფესიონალ ხელოვანთათვის გრანტების გაცემა არასოდეს ყოფილა ასახული ბიუჯეტში.

## 5. ქალაქის კულტურული ინფრასტრუქტურა

### 5.1. ძირითადი კულტურის ინსტიტუციები

- სახელმწიფო (მუნიციპალური, რეგიონული და ნაციონალური კულტურა) და დამოუკიდებელი ინსტიტუციები ქალაქში.
- მათი ადგილმდებარეობა, როლი და მიმდინარე განვითარება.
- წარმოადგენს თუ არა კულტურულ ინსტიტუციათა დეცენტრალიზაცია ქალაქის მნიშვნელოვან საკითხს?
- გაქვთ თუ არა ადგილობრივი ხელოვნების ცენტრები? რა როლს ასრულებენ ისინი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში?

თბილისის კულტურულ ინფრასტრუქტურაში შედის არამხოლოდ მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ორგანიზაციები. თბილისი როგორც დედაქალაქი ყველა გაგებით ქვეყნის ცენტრალური ქალაქია. ქვეყანაში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა (90-იანი წლების დასაწყისში, სამოქალაქო ომების ჩათვლით) თბილისი საქართველოში ლამის ერთადერთ ყველაზე მიმზიდველ ადგილად აქცია.

დედაქალაქის თავკომბალიზაციის პრობლემა დღემდე სახეზეა. თბილისში თავმოყრილია ყველა ადმინისტრაციული თუ სხვა მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. რეგიონებში არსებული მძიმე სოციალური პრობლემების ფონზე თბილისი ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი კულტურული პროცესის ეპიცენტრიცაა.

დღემდე სუსტია კულტურისა და სპორტის სამინისტროს ძალისხმევა უფრო გააძლიეროს და გაააქტიუროს მუშაობა რეგიონებთან, მათი ქვეყნის საერთო-კულტურულ პროცესებში ჩართვის მიზნით. შესაბამისად სამინისტროს

საქმიანობაც მეტწილად დედაქალაქზეა ორიენტირებული და თბილისში ის შესაბამის მუნიციპალურ სამსახურზე გაცილებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუციას წარმოადგენს. ურბანული კულტურის პოლიტიკის ფორმირებაში დედაქალაქის ინფრაქსტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუნიციპალიტეტის სხვა სტრუქტურაც – თბილისის არქიტექტურის სამსახური. სამწუხაროდ დღემდე ცენტრალურ უწყებასა (სამინისტროს) და მერიას შორის (ხშირად თავად მერიის ცალკეულ სამსახურებს შორისაც კი) ადგილი აქვს არაკოორდინირებულ მოქმედებას, რაც დღემდე მკაფიოდ გამიჯნული ფუნქციების არარსებობისა და ჩამოუყალიბებელი პოლიტიკის შედეგია.

დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ასევე მნიშვნელოვანია არასამთავრობო ინსტიტუტების მოღვაწეობა, მაგალითად, ცალკეული საერთაშორისო ფონდებისა და ორგანიზაციების (მაგ. ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“, გოეთეს ინსტიტუტი და ა.შ.) როლი, რომლებიც ხშირად გამოდიან ამა თუ იმ კულტურული პროგრამების დაფინანსებისა თუ ცალკეული ღონისძიებების გამართვის ინიციატივით. ქალაქის კულტურული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ინსტიტუციას, როგორც თავად გარკვეულწილად მასკულტურის ნაწილი – წარმოადგენს მასმედია: თავისუფალი ბეჭდური მედია, კურძო ტელეარხები და ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოებრივი ტელევიზია.

## 5.2 მასმედია

საბჭოთა საქართველოში პრესა, ისევე როგორც მთლიანად კულტურის სფერო მკაცრად იდეოლოგიზირებულია. ამ დროს არსებობს მხოლოდ სახელმწიფო არხები (ორი სატელევიზიო და ერთი რადიო არხი) და პრესა (მათ შორის ხელოვნების სხვადასხვა დარგებისადმი მიძღვნილი პერიოდული გამოცემები: ლიტერატურაზე, მუსიკაზე, თეატრზე, კინოზე და ა.შ), რომელსაც ხელისუფლება პირდაპირ აფინანსებს და ამ დაფინანსების მასშტაბები საკმაოდ სერიოზულია. თუმცა კონკრეტულად თბილისისადმი მიძღვნილი სატელევიზიო არხი არც კომუნისტების დროს არსებობდა, თუ არ ჩავთვლით სახელმწიფო არხზე პერიოდულად მომზადებულ გადაცემებს თბილისელებზე და ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემულ გაზეთებს „თბილისსა“ და რუსულენოვან „გერმანი თბილისს“.

90-იანი წლების დასაწყისში იქმნება პირველი დამოუკიდებელი ტელეკომპანიები „იბერვიზია“, „თამარიონი“, „კავკასია“; ჩნდება დამოუკიდებელი პრესაც, თუმცა მათი უმრავლესობა ამა თუ იმ პარტიის კუთვნილებაა. პარალელურად არსებობას აგრძელებს სახელმწიფო რადიო და ტელევიზია, რომელიც ლამის ერთადერთია, სადაც მართალია შეზღუდული დაფინანსებით, მაგრამ ტრადიციულად გრძელდება საავტორო გადაცემების მომზადება.

ამგვარი პროგრამების მომზადების მცდელობა თავიდან დამოუკიდებელ არსებსაც აქვთ („იბერვიზია“), თუმცა სარეკლამო ბაზრის არარსებობის პირობებში და ქვეყანაში შექმნილი საომარი და კრიმინოგენული მდგომარეობის გამო დამოუკიდებელი არსების უმრავლესობა მალევე წყვეტს არსებობას. თუმცა ტელეარხებისგან განსხვავებით ვითარდება ბეჭდური მედია და იქმნება მართლაც დამოუკიდებელი (მათ შორის პარტიული გავლენისგანაც) პრესა, როგორებიცაა „დრონი“, „7 დღე“, მოგვიანებით „რეზონანსი“, „ალია“.

1994 წელს ქალაქ რუსთავში მაუწყებლობას იწყებს ტელეკომპანია „რუსთავი“ (მოგვიანებით „რუსთავი 2“, რომელიც შემდგომ თბილისში გადმოდის). ხელახლა იწყება ტელევიზიების ბუმი, თუმცა სარეკლამო ბაზარი ისევ მწირია და მათი დაფინანსების წყაროს ძირითადად პოლიტიკოსთა ფინანსები წარმოადგენს.

ერთ დროს სახელმწიფო დოტაციაზე არსებული ბეჭდური გამოცემები (სახელოვნებო ჟურნალები) ფაქტობრივად წყვეტს არსებობას. ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ობიექტურად მედიაზეც აისახება. ტელევიზიასა და პრესაში წამყვანი და ლამის ერთადერთი თემა პოლიტიკაა. წლების მანძილზე სიტუაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, მით უფრო მედიის მხრიდან კულტურით დაინტერესების მხრივ. თუმცა ამ პროცესში გარკვეული ტენდენციები მაინც გამოვლინდა. კონკრეტულად კი ტელევიზია და პრესა ყურადღებიანი გახდა მასკულტურული დონისძიებებისა და ე.წ. შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებისადმი.

## ტელევიზია, რადიო

1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგ საქართველომ აიღო ვალდებულება სახელმწიფო არხის საზოგადოებრივად გარდაქმნაზე. თუმცა პარლამენტმა კანონი საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ მხოლოდ 2004 წლის დასასრულს მიიღო. ამ ინსტიტუტის ფორმირება ჯერ არ დასრულებულა.

არადა ეს გახლავთ ერთადერთი მედია საშუალება, რომელსაც კანონითაც კი ევალება კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება. რაც შეეხება კერძო ტელეკომპანიებს, მსგავსი გადაცემების მომზადება მათთვის კომერციულად დღემდე წამგებიანია, რის გამოც მათ ეთერში კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების რაოდენობა ძალიან მწირია, სამაგიეროდ უხვადაა გასართობი ტიპის პროექტები, ისიც დიდწილად უცხოური ტელეკომპანიებისგან ნაყიდი ტელე-პროექტების ქართული ვერსიები.

არ არსებობს სატელევიზიო არხი, რომელიც მხოლოდ თბილისზეა ორიენტირებული. ერთადერთი პროგრამა რომელიც სახელმწიფო არხზე მუნიციპალიტეტის დაკვეთით მზადდება არის „თბილისის დროით“.

საქართველოში მაუწყებელი რადიოარხების უმრავლესობა ორიენტირებულია საინფორმაციო და მუსიკალურ მიმართულებებზე. სახელმწიფო რადიოს I არხს თუ არ ჩავთვლით, ქართულ რადიოს ეთერში იშვიათია სერიოზული საავტორო პროგრამები კულტურაზე. აქაც ორიენტაციაა მუსიკალურ-გასართობ მიმართულებებზე. ამასთან არსებობს ელექტრონული მედიის საშუალებების გავრცელების პრობლემა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეც.

## პრესა

დღემდე წამყვან გაზეთებში ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესები ფრაგმენტულად შუქდება. ყოველდღიურ პრესაში ერთადერთია „24 საათი“, სადაც ამ სფეროს საგანგებოდ საგაზეთო გვერდი, პერიოდულად კი საგაზეთო ჩანართებიც კი ეძღვნება. თუმცა საქართველოში ბეჭდური გამოცემების ტირაჟიც საკმაოდ დაბალია. ყოველდღიური გაზეთების ტირაჟი საშუალოდ 8-10 ათასზე ნაკლებია, ზოგიერთი ყოველკვირეული გამოცემის ტირაჟი კი მხოლოდ 20-30 ათასამდე აღწევს. ასეთი მწირი ბაზრის პირობებში კი პრესა მთლიანად კომერციული ინტერესებიდან გამოდის და აქცენტს პოლიტიკასა და სოციალურ თემატიკაზე აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ კულტურა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, საბიუჯეტო სფეროა და უზარმაზარ სოციალურ სფეროსაც წარმოადგენს, მედია მას ამ კონტექსტში ვერ აღიქვამს. კულტურაში შექმნილ პრობლემებს კი მხოლოდ სკანდალებისა და დიდი ხმაურის ატენის დროს უთმობს. სულ ცოტა ხნის წინ ქართულ პრესაში (როგორც ტელევიზიაში) კულტურა გაიგივებული იყო მხოლოდ შოუ-ბიზნესთან და აქაც შემოქმედებითი

კრიტიკის ნაცვლად უფრო ხშირად კკითხულობდით ისეთი ტიპის ინფორმაციებს, რომელთა ადგილი ნორმალურ დასავლურ გამოცემებში ელიტარული ქრონიკის სვეტებშია.

### 5.3. ხელოვნების დარგები

#### ბიბლიოთეკები

- რა სახის ბიბლიოთეკებია (მუნიციპალური, კერძო, სამეცნიერო და სხვა) თქვენს ქალაქში?
- ვინ ხელმძღვანელობს და აფინანსებს მათ?
- მათი მდებარეობა, როლი და მიმდინარე განვითარება.

#### თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანება

ბიბლიოთეკების გაერთიანების მთავარი ამოცანაა, სრულად და ეფექტურად გამოიყენოს ის მწირი წიგნადი ფონდი, რომელიც ბოლო 15 წლის მანძილზე მცირეოდენ თუ გადახალისდა.

სახელმწიფო არსებულმა მმიმე საბიუჯეტო კრიზისმა ქალაქის საბიბლიოთეკო ქსელში გატარებული რეფორმების აუცილებელობა ცხადჰყო. ადრე ცალ-ცალკე არსებული საბავშვო და მასობრივი საქალაქო საბიბლიოთეკო სისტემები გაერთიანდა ერთ მთლიან საქალაქო ცენტრალიზებულ სისტემად, რამაც რეალური ეკონომიკა მისცა ქალაქის ბიუჯეტს, მოწესრიგდა ბიბლიოთეკების დისლოკაციაც.

ქ. თბილისში ფუნქციონირებს 54 საქალაქო მასობრივი და საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელთაც აერთიანებს მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ცენტრალური სამეცნიერო საქალაქო ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკების გაერთიანება დაკომპლექტებულია 348 საშტატო ერთეულით, ერთიანი ხელმძღვანელობით, ლიტერატურის ცენტრალიზებული დაკომპლექტებითა და დამუშავებით., მატერიალური საშუალებითა და სამეურნეო საქმიანობით. ქალაქის საბიბლიოთეკო ქსელის წიგნადი ფონდი შეადგენს 1728 000 ეგზემპლარს, იგი ყოველწლიურად საშუალოდ ემსახურება 190 000 მკითხველს და მათზე გაიცემა 1500 000 ყდა-ერთეული.

საქალაქო მასობრივი ბიბლიოთეკების გარდა, ქალაქში ფუნქციონირებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ბიბლიოთეკები, როგორიცაა ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკა, მეცნიერების აკადემიის ბიბლიოთეკა, სამედიცინო ბიბლიოთეკა, ტექნიკური ბიბლიოთეკა, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, მირზა გელოვანის სახ. ახალგაზრდული რესპუბლიკური ბიბლიოთეკა და ლადო ასათიანის სახ. რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკების ცენტრალიზებული გაერთიანება ექვემდებარება ქალაქის მერიას, კერძოდ, თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურს. სხვა ბიბლიოთეკები არიან კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

ქალაქის ბიბლიოთეკების უმეტესობა შედარებით თანაბრადაა განლაგებული უბნების მიხედვით (საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული). თუმცა ისტორიულ ცენტრალურ რაიონებში ( მთაწმინა - კრწანისი, დიდუბე-ჩუღურეთი) კულტურული ობიექტების, და მათ შორის ბიბლიოთეკების, კონცენტრაცია საგრძნობლად მეტია. (იხ. რუკა №3)

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს თბილისში გაიხსნა რამდენიმე წიგნის მადაზია („პარნასი“, „წიგნის სახლი“), ზოგი მათგანი ძველი ბიბლიოთეკის ბაზაზეა შექმნილი, მაგალითად „წიგნის სახლი“. ბიბლიოთეკების არარენტაბელურობის გამო, ძირითად ისინი ისევ სახელმწიფოს-მუნიციპალიტეტის ან სამინისტროს დოტაციაზე იმყოფებიან.

კერძო მესაკუთრების ინტერესები მეტად ვრცელდება წიგნის მაღაზია-სალონებზე, რომელთა რაოდენობა თბილისში ბოლო 5 წლის მანძილზე საგრძნობლად იზრდება (მაგალითად, „პროსპერო ბუქს“).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკითხველში საელჩოებისა და მათი კულტურული ცენტრების ბიბლიოთეკები, მაგალითად ფრანგული „ დიუმას ცენტრი“, დიდი ბრიტენეთის BC ბიბლიოთეკა და სხვა.

ბიბლიოთეკებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ძველი და დაზიანებული წიგნები მკითხველთათვის ნაკლებად მიმზიდველია. საჯარო ბიბლიოთეკებისთვის გამოყოფილი სივრცე არასაკმარისი და არაკომფორტულია, რაც მკითხველთათვის ნაკლებად მიმზიდველია. ბიბლიოთეკების წიგნებით მომარაგება ძალიან მწირია,

სპეციალიზებული პერსონალი ძირითადად კვალიფიციურია, მაგრამ ნაკლებად აქვთ უნარი მიმზიდველი გახადონ მკითხელისათვის ბიბლიოთეკასთან ურთიერთობა.

### **ლიტერატურა**

დღესდღეობით თბილისში არცთუ ბევრი კულტურული პუბლიკაცია არსებობს. კულტურულ შემოთავაზებათა სპექტრი კი უფრო ფართოა და კარგად აისახება ქურნალ-გაზეთებში, თუმცა მათი ძირითადი პრობლემა დაფინანსების ნაკლებობაა, რაც ტირაჟის სიმცირეს განაპირობებს.

თბილისური ლიტერატურული ცხოვრება მრავალი წლის მანძილზე განისაზღვრებოდა მწერალთა კავშირის არსებობით, სადაც გაერთიანებულნი არიან უფროსი თაობის წარმომადგენლები; დღეს ამ დარგში საზოგადოებრივ აზრს და ლიტერატურულ გემოვნებას აყალიბებს რამდენიმე ლიტერატურული წრის აქტივობა და ბევრი გამომცემლობის არსებობა, რომლებიც სხვადასხვა ჟანრის წიგნებს უშვებენ. ახალგაზრდა ლიტერატორები აწყობენ რეგულარულ შეხვედრებს მკითხველებთან და აწყობენ წიგნების პრეზენტაციებს; თბილისში უკვე რამდენიმე წელია იმართება დიდი წიგნის ბაზრობები, რომლის ორგანიზებაშიც დიდი წილი მიუძღვით სახელმწიფო სტრუქტურებს-კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურს.

### **თეატრალური ხელოვნება**

თბილისში მოქმედებს 28 დიდი და მცირე თეატრი თუ დასი.

5 სახელმწიფო თეატრიდან- ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური, შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური, პ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური, ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური დრამის სახელმწიფო, გიორგი მიქელაძის სახ. თოჯინების სახელმწიფო თბილისის თეატრებიდან უპირველესია თავისი შემოქმედებითი თვიდმყოფადობით, ერთიანი ნაციონალური მსოფლმხედველობის მატარებელი და საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კულტურის წარმომჩენი ლიდერი-რუსთაველის თეატრი.

მერიის დაქვემდებარებაშია 15 მუნიციპალური თეატრი, აქედან მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი და თეატრ-სტუდია რეზო

გაბრიაძის ხელმძღვანელობით, წარმოადგენს ქართული, და კერძოდ, თბილისური კულტურების უმნიშვნელოვანეს და ძალზე თვითმყოფად ელემენტს.

ასევე უახლეს პერიოდში შეიქმნა თავისუფალი თეატრების რიგი – რვა დამოუკიდებელი თეატრიდან ყველაზე წარმატებული და სტაბილური მაყურებლის მქონე „თეატრალური სარდაფი“, ქმნის დღევანდელი მასკულტურის საქმაოდ პროფესიულ პროდუქტს.

თბილისში არსებობს ერთი სახალხო წოდების თეატრი - „სახიობა“.

სახელმწიფომ, კერძოდ, კულტურის სამინისტრომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ვერ მოახერხა პოლიტიკური რეჟიმების მონაცვლეობისა და საზოგადოების ღრმა ევოლუციური და რევოლუციური პროცესების პირობებში, შეენარჩუნებინა თეატრების სტაბილური დაფინანსება, შემოქმედთა და კულტურის სფეროში მომუშავე კადრების ხელშეწყობა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებს მეტ-ნაკლებად გააჩნდა დაცული მუხლები- ანუ სახელფასო და კომუნალური გადასახადების ფონდი, მაგრამ განვითარებაზე ორიენტირებული თანხები, ანუ სადადგმო ხარჯები, ბოლო პერიოდში დიდ პრობლემას წარმოადგენდა ყველა თეატრისათვის.

მუნიციპალური დაქვემდებარების თეატრებსაც უკეთესი დაფინანსების მიუხედავად, გარკვეული პრობლემების გადალახვა უწევთ – როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალური თუ კერძო სტრუქტურები დიდწილად დამოკიდებულები არიან მსხვილ დონატორებზე, რომლებიც უფრო მეტი სიხალისით ქველმოქმედების სახით ისტორიული შენობების რესტავრირებასა და რემონტს აფინანსებენ.

ზოგჯერ სადადგმო ხარჯების თანადაფინანსება სხვადასხვა ფონდების გრანტებით ხორციელდება. (მაგალითობად OSGF)

### ვიზუალური ხელოვნება

თბილისის ვიზუალური ხელოვნება შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მიერ ნაკლებადაა განებივრებული. საბჭოთა პერიოდის მხატვრის სახლის განადგურების შემდეგ და მხატვრთა კავშირის ფუნქციის შესუსტების შედეგად სახელმწიფო ორგანიზაციული ჩარევა ამ სფეროს საქმიანობაში პრაქტიკულად არ

არსებობს. ერთადერთი მძლავრი იდეოლოგიური კერა ვიზუალურ ხელოვნებაში არის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

ამავდროულად ჩნდება მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, უმეტესად გალერეები, რომლებიც ცდილობენ დაიკავონ არტ ბიზნესის ნიშები და აწარმოონ საკუთარი პოლიტიკა, თუმცა ეს პროცესი ძალზე ნელა მიმდინარეობს ბაზრის სიმწირის გამო.

„პერესტროიკის“ დროინდელი მოთხოვნა სალონურ ხელოვნებაზე აშკარად კლებულობს, ვინაიდან საზოგადოების შემსყიდველუნარიანობა მკვეთრად იწვეს დაბლა. ამ სფეროს დამოუკიდებელი მხატვრები ცდილობენ გაერთიანებების სახით შექმნან მცირე შემოქმედებით კავშირებში.

მხატვართა კავშირი, სახვითი ხელოვნებისა და მისი ისტორიის დარგში მომუშავე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და ასევე არაპროფესიონალ ხელოვანთა ასოციაციაციები შედარებით განუვითარებელი ინსტიტუციონალური ფორმებისა და ლობის ნაკლებობის გამო ვერ ახერხებენ ფართომასშტაბიან თანამშრომლობას სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორთან.

## კულტურის ცენტრები

თბილისი, როგორც დედაქალაქი გამოირჩევა კულტურული აქტივობითა და კულტურულ ინიციატივათა და ინსტიტუციათა სიმრავლით. მიუხედავად ამისა, უახლეს პერიოდში მხოლოდ 5 სახელმწიფო( მუნიციპალური) კულტურული ცენტრი შემოგვრჩა (საბჭოთა პერიოდში კულტურის სახლები/ ცენტრები გაცილებით მეტი იყო).

მუნიციპალური კულტურის ცენტრებიდან ორი ორიენტირებულია ძირითადად მუსიკაზე- კულტურის საქალაქო სამსახურის უცხოეთთან ურთიერთობისა და კულტურული ინიციატივების ცენტრი თანამედროვე პოპულარულ, საესტრადო მუსიკაზე, ხოლო ჯ. კახიძის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი, სერიოზულ, კლასიკურ მუსიკაზე.

თბილისი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ინტერესნიკური თანაცხოვრების მოდელი, რომელიც ეფუძნება თითოეული საზოგადოების სპეციფიკური ტრადიციებისა და კულტურულ ფასეულობათა

ურთიერთპატივისცემას. ეთნიკურ და კულტურულ უმცირესობათა მოთხოვნათა შესაბამისად აქტუალური ხდება კულტურული ინსტიტუციების განვითარება.

ამდენად მუნიციპალური კულტურის სამი ცენტრი-აზერბაიჯანის კულტურის ცენტრი, რუსეთის კულტურის ცენტრი, კავკასიური სახლი-სწორედ თბილისური სუბკულტურების აქტიურობის განმსაზღვრელია.

### **ეთნიკური უმცირესობები**

მიუხედავად იმისა, რომ თბილისი ისტორიულად მულტიეთნიკური ქალაქია და ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ტოლერანტობით გამოირჩეოდა მთელს კავკასიაში (და შესაძლებელია უფრო ფართო არეალშიც), დღეს უმეტეს შემთხვევაში, ეთნიკური უმცირესობების კულტურის განვითარება-შენარჩუნების ხელშეწყობისთვის არსებით როლს ამ უმცირესობების ორგანიზაციები ასრულებენ, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების სახით ფუნქციონირებენ.

თბილისში რეგისტრირებულია კულტურული უმცირესობების შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციები – ლატვიური საზოგადოება საქართველოში “ავე სოლ”, „საზოგადოებრივი მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო“, რუს ქალთა კავშირი „იაროსლავნა“, „საქართველოს სომებთა კავშირი“, „საქართველოს სომხური ახალგაზრდობის კავშირი“, „საქართველოს ოსთა ასოციაცია“, „საქართველოს იეზიდთა ახალგაზრდული კავშირი“, „საქართველოს ქურთი-იეზიდთა ნაციონალური კონგრესი“, „აინუნგ“-საქართველოს გერმანელთა ასოციაცია, „საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“, „პილელ-თბილისი“ ებრაელი ახალგაზრდობის ფონდი, „საქართველოს ასირიელთა ეროვნული კონგრესი“, „საქართველოს უკრაინელთა ასოციაცია“, „საქართველოს ბერძნულ საზოგადოებათა ფედერაცია“ პოლონელთა სათვისტომო.

ადსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულმა საკმაოდ უარყოფითი დადი დაასვა თბილისური სუბკულტურების წინსვლა-განვითარებას. წინა პერიოდში არსებობდა სპეციალური სახელმწიფო რადიოს პროგრამები ეთნიკური უმცირესობების ენებზე. დღეს ეს პროგრამები გაუქმდებულია.

ყოველივე იწვევს გარკვეულ უკმაყოფილებას, მით უფრო, რომ ეროვნული დიასპორების წარმომადგენლებს სურთ, რომ არ იყვნენ ზედმეტი ამ ქალაქში და არ თამაშობდნენ მხოლოდ ბუტაფორულ როლს გარკვეული კულტურული

ლონისძიებების დროს. მათ აქვთ სურვილი რეალურად იყვნენ ინტეგრირებულნი საზოგადოებაში და პქონდეთ შესაძლებლობა შეიტანონ ქმედითი წვლილი თბილისური კულტურის განვითარებაში.

### 5.3. ფესტივალები და ძირითადი მოვლენები

- ქალაქის მხრიდან ფესტივალებისა და ძირითადი მოვლენების (ფინანსური და სხვა) უზრუნველყოფა.
- ფესტივალების და მიმდინარე მოვლენების განვითარება მათი როლი ქალაქში.
- ძირითად მოვლენათა როლი და მიმდინარე განვითარება.

უახლეს პერიოდში თბილისში არის მცდელობა დამკვიდრდეს საერთაშორისო დარგობრივი ფესტივალები და კონკურსები, თუმცა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მგდომარეობის, კრიმინოგენული იმიჯისა და ზოგ შემთხვევაში კულტურის პოლიტიკის არამართებული სტრატეგიის გამო (როგორც სამთავრობო სტრუქტურების, ასევე თავად ორგანიზატორებისა და პროგაიდერების იმიჯისა და გემოვნების გამო) სრულყოფილი, ფართო საერთაშორისო და რეგულარული კონტაქტების ჩამოყალიბება გამნელებულია.

მიუხედავად ამისა, თბილისში მაინც ხორციელდება სხვადასხვა საფესტივალო ღონისძიება, რომელთაგან ყველაზე პრესტიული საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს წარმოადგენს.

ასეთია საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“, რომელიც დაარსდა 1993 წელს. ყოველწლიური ფესტივალი მერიის პატრონაჟით ხორციელდება ჯანსუდ კანიძის სახ. მუსიკალურ-კულტურული ცენტრის მიერ და იზიდავს დედაქალაქში მსოფლიო საშემსრულებლო ხელოვნების ვარსკვლავებს,, იგი ხელს უწყობს თბილისის XIX-XXსს-ების მდიდარი საკონცერტო ტრადიციების აღორძინება-განვითარებას.

თეატრალური თბილისის მხოლოდ ერთ საერთაშორისო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ყოველწლიური ხელოვნების ფესტივალი „საჩუქარი“, რომელიც 1997 წელს დაარსდა.

მის წიაღში 2000 წელს აღმოცენდა „პრომეთე“-თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც 2002 წლიდან ტარდება დამოუკიდებლად,

არასამთავრობო ორგანიზაცია „კინოხელოვნების ცენტრი „პრომეთე“-ს ორგანიზებითა და მერიის პატრონაჟით.

საბჭოთა პერიოდში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თვიდმყოფადი პროდუქციით განებივრებულ დედაქალაქში ბოლო ათწლეულის კინოწარმოების სრული დეგრადაციის ფონზე, კინოფესტივალი „პრომეთე“ ნამდვილად საგულისხმო კულტურულ მოვლენად იქცა, რომელიც ფართო მაყურებელს ახალი, ექსპერიმენტული, მაღალი მხატვრული ღირებულებების კინოპროდუქციას სთავაზობს.

საშემსრულებლო ხელოვნების კიდევ ერთ, საბალეტო სფეროს - ვ. ჭაბუკიანისა და ჯ. ბალანჩინის სახელობის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი-კონკურსი - 2003 წლიდან უწევს პოპულარიზაციას.

თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი და ქართული მრავალხმინობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი; პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი და ახალგაზრდა პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი (დაარსდა 2002 წელს).

სამწუხაროა, რომ 1996 წელს დიდი წარმატებით ჩატარებულმა თანამედროვე ხელოვნების თბილისის საერთაშორისო ბიენალემ, რომელმაც პოსტსაბჭოთა სივრცის გამოჩენილი კონცეპტუალური ხელოვნების წარმომადგენლები გააერთიანა, კულტურის სამინისტროსა და მერიის მხრიდან ვიზუალური ხელოვნებისადმი ინტერესის შენელების გამო ვერ პოვა გაგრძელება.

ფესტივალების უმეტესი ნაწილის ორგანიზატორები არასამთავრობო ორგანიზაციები, ან კომერციული სტრუქტურები - შ.კ. არიან, ხოლო დაფინანსება ხდება მერიის, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კერძო სპონსორების ერთობლივი ძალისხმევით. ზოგ შემთხვევაში საერთაშორისო ფონდები და სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები უზრუნველყოფენ უცხოელ სტუმართა მგზავრობასა და განთავსებას.

#### 5.4 პროფესიონალი ხელოვნების წარმომადგენლები

- რა როლს ასრულებენ ხელოვნების წარმომადგენლები ქალაქის კულტურის პოლიტიკაში?

- ფინანსური დახმარების გარდა არსებობს თუ არა ქალაქში სხვა მომარაგების სისტემები?
- ხელოვანთა რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ თქვენს ქალაქში.

თბილისში თავმოყრილია დიდი ისტორიისა და ადამიანური რესურსების მქონე ორგანიზაციები, როგორიცაა მხატვართა კავშირი, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირი, არქიტექტორთა კავშირი, მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი, ქორეოგრაფთა კავშირი, კინემატოგრაფისტთა კავშირი, დიზაინერთა კავშირი. ამ ორგანიზაციებს საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული დიდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, საწარმოოები და სხვა ქონება გააჩნდათ. პოსტსაბჭოთა პერიოდში ამ ქონების დიდი ნაწილი განიავდა, თუმცა ზოგი ამ ორგანიზაციათაგან ისევ სახელმწიფო სუბსიდიაზე რჩებოდა (მაგალითად, მწერალთა კავშირი), ხოლო ზოგმა კი კუთვნილი ტერიტორიაც კი ვერ შეინარჩუნა (მაგალითად, თბილისის ომის 1991-92წწ.). შედეგად განადგურდა მხატვრის სახლი).

საბჭოთა პერიოდში კულტურის იდეოლოგიზაციას თან სდევდა სფეროს შესაბამისი დაფინანსებაც, რომელიც რა თქმა უნდა, მკვეთრად შემცირდა პოსტსაბჭოთა პერიოდში ობიექტური (ქვეყნის საერთო ეკონომიკური კრიზისი) და სუბიქტური (სახელმწიფოს მხრიდან ფაქტობრივად, არა იურიდიულად, კულტურის არაპრიორიტეტულად ცნობა) მიზეზების გამო.

თბილისში თავმოყრილი უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლები ყოველწლიურად დაახლოებით 500-დან 1000-მდე დიპლომირებულ პროფესიონალს ამზადებენ. თუ ამ ციფრს დავუმატებთ უფროსი თაობის წარმომადგენლებს, აღმოჩნდება, რომ თბილისი ერთ-ერთი უპირველესია, თუნდაც დსთ-ს სიგრცეში, ხელოვანთა პროცენტული მაჩვენებლებით ერთ სულ მოსახლეზე.

## 5.5 ხელოვნების მოყვარულები

- რა სახის შესაძლებლობებს სთავაზობს ქალაქი ხელოვნების მოყვარულების?
- ხელოვნების მოყვარულთა ასოციაციებისა და საზოგადოებების უზრუნველყოფა ქალაქის მიერ (ფინანსური და სხვა სახის).

თბილისში სახელმწიფო/მუნიციპალური ხელშეწყობა ხელოვნების მოყვარულებს, როგორც ცალკე სამიზნე ჯგუფს, არ გააჩნია. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ქართული ფოლკლორი (განსაკუთრებით ხალხური ცეკვა და

სიმღერა), რომელიც ნამდვილად წარმოადგენს უნიკალურ ეროვნულ საგანძურს, ხშირად ხელოვნების მოყვარულთა სხვადასხვა საზოგადოებებისა და ორგანიზაციების საშუალებით ვითარდება. ამ მიმართებით სახელმწიფო მეტ ყურადღებას იჩენს. თუმცა ეს დახმარებები ერთჯერად, არასტაბილურ და კერძო ურთიერთობებზე მეტადაა დამყარებული, ვიდრე ეფუძნება ერთიან სტრატეგიულ მიღებას.

## 5.6 განათლება ხელოვნების სფეროში

- რა როლს ასრულებს ხელოვნების საგანმანათლებლო საქმიანობები ქალაქის კულტურის სტრატეგიაში? რა ფორმით გამოიხატება?

თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის დაქვემდებარებაში არსებობს 24 სამუსიკო სკოლა, 4 ხელოვნების სკოლა, ხელოვნების გიმნაზია, სამხატვრო სკოლა, ქორეოგრაფიული სკოლა და თანამედროვე და ტრადიციული ხელოვნების კოლეჯი. ზემოაღნიშნული დაწესებულებები წარმოადგენენ საბაზო (დაწყებით) რგოლს სახელოვნებო განათლების სამსაფეხურიან სისტემაში (დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი). მოსწავლეთა საერთო კონტინგენტის რაოდენობა შეადგენს 11 ათასს.

სამუსიკო და ხელოვნების სკოლებში მუსიკის პროპაგანდის, ქართული ეროვნული მუსიკალური კადრების და მომავალი თაობის მუსიკალურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეს ემსახურება დაახლოებით 2600 პედაგოგი. მათი სტატუსი გათანაბრებულია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პედაგოგთა სტატუსთან.

სახელოვნებო განათლების სხვადასხვა დაწესებულებებში გახსნილია საფორტეპიანო, საორკესტრო, საესტრადო განყოფილებები.

თბილისში თავმოყრილია ძირითადი სახელოვნებო უმაღლესი დაწესებულებები - ა. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ი.სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო თბილისის კონსერვატორია, საქართველოს შ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი (იხ. მუნიციპალურ დაქვემდებარებაშია), ი.ნიკოლაძის სახ. სამხატვრო ტექნიკუმი, მ. თოიძის სახ. სამხატვრო პროფტექნიკუმი.

სახელოვნებო ფაქულტეტები არსებობს ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ტექნიკური უნივერსიტეტში (პუმანიტარული ფაკულტეტი), სულხან-საბას სახ. პედაგოგიური ინსტიტუტში (სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი)

- ქალაქის მიერ ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამების მომარაგება (ფინანსური და სხვა სახით).

სახელოვნებო—საგანმანათლებლო პროგრამები ცალკე მუხლით ქალაქის ბიუჯეტში არ არსებობს.

## 5.7 აუდიტორიის განვითარება და თანამონაწილეობა

- არსებობს თუ არა თქვენს ქალაქში პროგრამები და ინიციატივები რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას?
- რა სახის მონაწილეობის მიმართულებებს განასხვავებენ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში?
- რამდენად გაიზარდა აუდიტორიის რიცხობრივი რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში?
- აუდიტორიის განვითარების საკითხი არის თუ არა მნიშვნელოვანი თქვენს ქალაქში?
- აუდიტორიის განვითარებისთვის რა სახის პროექტების ორგანიზება ხდება თქვენს ქალაქში?

## ბიბლიოთეკები

ყოველწლიურად საშუალოდ ემსახურება 190 000 მკითხველს და მათზე გაიცემა 1500 000 ყდა-ერთეული.

## თეატრები

2001 წლიდან 2003 წლამდე იზრდებოდა ბიუჯეტით დაფინანსება, ასევე იზრდებოდა სპექტაკლების რაოდენობაც, მაგრამ მცირდებოდა მაყურებელთა რაოდენობა. 2001 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 54,5 %-ით, 2002 წელს—22,5%-ით, 2003 წელს 35,6%-ით.

თეატრალური ხელოვნება ნამდვილად ყველაზე ფართე და წარმომადგენლობითი დარგია, როგორც კულტურის მოღვაწეთა რაოდენობის, ასევე შემოთავაზებების მიხედვით. თეატრალური ხელოვნების მიმზიდველობა კლინიდება მუდმივი, ტრადიციული პუბლიკის არსებობასა და შედარებით სტაბილურ დაფინანსებაში, როგორც სახელმწიფოს, ასევე სპონსორების მხრიდან.

სფეროზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ნიჭიერ ხელოვანთა გადინება სხვა ქვეყნებში; მარკეტინგის დარგში პროფესიონალი პერსონალის ნაკლებობა.

**მუზეუმები** 2001 წელს 2000 წელთან შედარებით გაიზარდა 1 მუზეუმით.

დამთვარიელებელთა რაოდენობა 2000 წელს შეადგენდა 84 200 კაცს.

2001 წელს წინა წელთან შედარებით დამთვარიელებელთა რაოდენობა შემცირდა 4600 კაცით. 2002 წელს შემცირდა 1400 კაცით, ხოლო 2003 წელს შემცირდა 11700 კაცით. მიუხედად იმისა, რომ 14 გამოფენით მეტი გაიმართა ვიდრე 2002 წელს.

## 5.8. მემკვიდრეობა და ხსოვნა

### კულტურის მოძრავი მემკვიდრეობა

თბილისი მდიდარია კულტურის მოძრავი მემკვიდრეობით, რომელიც დროთა განმავლობაში ისტორიულ-ეკონომიკური განვითარებისა და გეოგრაფიული მდებარეობის ფონზე ჩამოყალიბდა.

თბილისში არსებობს 45 მუზეუმი, აქედან 2 მეცნიერებათა აკადემიის, 6 ხელოვნების მსხვილი სახელმწიფო ინსტიტუცია, 14 მუნიციპალური დაქვემდებარების, 27 სახლ მუზეუმი (როგორც სამინისტროს, ასევე მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი) და სხვ.

ისტორიული, ეთნოგრაფიული, ხელოვნების მუზეუმები ტრადიციული ინსტიტუციებია და ასახავენ როგორც თბილისის თხუთმეტსაუკუნოვან ისტორიას, აგრეთვე მთლიანად საქართველოს მემკვიდრეობას. უურადღების ნაკლებობისა და გამუდმებული ცეკვისა და შენახვის უმძიმესი პირობების გამო ეს მემკვიდრეობა განადგურების პირასაა მისული.

ის ფართო მაყურებლისთვის მიუწვდომელი რჩება, და ყოველივე ეს გამოწვეულია სუსტი მენეჯმენტის, მოძველებული საექსპოზიციო პოლიტიკის,

რესტავრაციის, დაბალი ხარისხის, სივრცის სიმცირისა და დაფინანსების ნაკლებობით.

საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან, და ასევე ტურისტულ სააგენტოებთან სტაბილური პარტნიორობის არარსებობა საზოგადოების მხრიდან ამ მუზეუმების შემოთავაზებების მიმართ ინტერესის დაქვეითებას იწვევს.

დედაქალაქის მუზეუმების უმეტესობა მდიდარ და საინტერესო მემკვიდრეობას ფლობს, მაგრამ ყოველივე ეს საზოგადოებაში, და მით უფრო მწირ ტურისტულ წრეში ინტერესის დაქვეითებას იწვევს.

უმნიშვნელოვანები კულტურული ინსტიტუციებია ჭ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი, გ. ჩიტაიას სახელობის საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმი, ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი, რომელთა ბაზაზე მენეჯმენტის გაუმჯობესების მიზნით 2005 წელს შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“, რომელშიც ზემოხსენებული მუზეუმები ფილიალების სტატუსით შევიდნენ.

ასევე თბილისში არსებობს ძალზე საინტერესო მუზეუმები-თეატრის, კინოს, ქორეოგრაფიისა და მუსიკის მუზეუმი, აბრეშუმის მუზეუმი, თოჯინების მუზეუმი და სხვ. რომელთა უნიკალური კოლექციები ხელისუფლების, ცენტრალურის თუ მუნიციპალურის, უცერადღებობისა და დაუფინანსებლობის გამო ფაქტიურად უკვე ნახევრად განადგურებულია.

### კულტურული მემკვიდრეობა

კულტურის უძრავი ძეგლების გადარჩენა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანების პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს, როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რომლსაც ეკისრება პასუხისმგებლობა ძეგლების რესტავრაციასა და შესაბამის პრობლემათა გადაწყვეტაზე.

ისტორიული და კულტურული ძეგლებიდან ქალაქში კონცენტრირებულად შემორჩენილია ძირითადად საკულტო ნაგებობები- მართლმადიდებლური ქართული ეკლესიები (ყველაზე ადრეული ანჩისხატი V საუკუნით არის დათარიღებული) რამდენიმე რუსული ეკლესია, სომხური გრეგორიანული ეკლესიები, გერმანული

კირხა, კათოლიკური ეკლესია, ძველი ქალაქის ტერიტორაზე განლაგებული მეჩეთი და სინაგოგა, (შემორჩენილია მხოლოდ თითო ძეგლი მუსულმანური და ოუდაისტური რელიგიებისა). საერო არქიტექტურის შემორჩენილი ყველაზე ადრეული ნიმუშები XVIII საუკუნის ბოლოთი თარიღდება (ადა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევას, თითქმის არაფერი გადაურჩა).

ძველი ქალაქის XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელია ეპლექტური სტილი. იგი დომინირებს სოლოლაკში, პლეხანოვის მხარეს, მას ჰარმონიულად ერწყმის XX საუკუნის მოდერნის სტილის არქიტექტურული დეტალები. განსაკუთრებით საინტერესოა თბილიში ერთიან მოდერნულ სტილში შესრულებული შენობები.

სამწუხაროდ კულტურის უძრავი მემკვიდრეობა დღესდღეობით განადგურების პროცესშია და უარყოფით ზეგავლენას განიცდის გარემოსა და ადამიანებისაგან.

### **არსებული პრობლემები**

- თბილისის ისტორიულ ნაწილს იცავს სახელმწიფო დაცვითი ზონა, განაშენიანების რეგულირების ზონა და ლანდშაფტის დაცვითი ზონა – ამდენად, დამცავი ზონები ოფიციალურად არსებობს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ არ სრულდება ამ ზონების რეჟიმები.
- არქმშენზედამხედველობისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონების გაუმართაობა, დაუხვეწელობა, რაც ქმნის არსებით პრობლემებს, როგორც სამშენებლო სფეროში, ასევე არქიტექტურული ძეგლებისა და ისტორიული უბნების დაცვის მიმართებით.
- ქალაქმშენებლობითი სამართლებრივი დოკუმენტაციის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.
- ძველ თბილისში, რომელიც თავად კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს, ახალი ე.წ. „შენობა მკვლელების“ არსებობა საფრთხეს უქმნის ქალაქის ჰარმონიულად განვითარებას. ამ პრობლემის დასაძლევად აუცილებელია არსებული მექანიზმის ეფექტურად შემუშავება, ანუ გადასაწყვეტია ადმინისტრირების პრობლემა.

პრობლემათა ჩამონათვალი მეტყველებს იმაზე, რომ კულტურულ მემკვიდრეობის ზრუნვაზე სტაბილური შეპირებების მიუხედავად, როგორც რევოლუციამდელი, ასევე რევოლუციით მოსული მთავრობებისათვის კულტურის მოძრავი და უძრავი მემკვიდრეობის გადარჩენა არ არის სტრატეგიული საკითხი.

- რა სახის კულტურული მემკვიდრეობის პროგრამები არსებობს თქვენს ქალაქში?
- რა როლს ასრულებენ ისინი ქალაქის კულტურის პოლიტიკაში?
- როგორ ხდება მათი ორგანიზება?
- რა პროგრამები/სტრუქტურები არსებობს ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და შენარჩუნებისათვის?

თბილისის კულტურული მემკვიდრეობის თაობაზე წლების მანძილზე არაერთი პროექტი შექმნილა, მაგრამ უმეტესწილად განხორციელების შესაძლებლობა ვერ ან არ გამოიძებნა (ეს ეხება, როგორც რევოლუციამდელ, ასევე რეგულუციურ მთავრობებსაც).

ბოლო 5 წლის მანძილზე რიგი მნიშვნელოვანი პროექტებისა კუტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა განახორციელა.

ძველი ქალაქის შესახებ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს ICOMOS-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი „თბილისის ისტორიული ნაწილის მენეჯმენტის გეგმის სტრატეგიული მიმართულებანი“. დოკუმენტი ეხება თბილისის ისტორიული ნაწილის მართვის სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციას.

ევროსაბჭოს კულტურისა და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დირექციისა და ტექნიკური თანამშრომლობის სამმართველოს მიერ შემუშავებულია 2004 წლის 1-4 ივნისის საექსპერტო ანგარიში – „ისტორიული ქალაქების რეაბილიტაციისა და რევიტალიზაციის პოლიტიკის რეგიონული პროგრამა სამხრეთ კავკასიისათვის“ ფარგლებში თბილისის პროექტი: „ძველი ქალაქის რეაბილიტაციის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაზე დაფუძნებული პოლიტიკა მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივაში“.

უკანასკნელი პროექტის რეალიზება მუნიციპალური და ცენტრალური ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით უნდა განხორციელდეს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე მუშაობენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგალითად, საქართველოს მოდერნის დაცვის ჯგუფი, რომელიც შეიქმნა 1997 წელს).

## **6. კულტურული პარტნიორობა, ინდუსტრიები, დასაქმება და ტრენინგები**

### **6.1. საზოგადო-კერძო პარტნიორობა**

- რა სახის საზოგადო-კერძო პარტნიორობა არსებობს თქვენს ქალაქში?
- რა როლს ასრულებენ ისინი კულტურის პოლიტიკაში

თბილისში კულტურის სფეროში არსებობს ბიზნესისა და სახელმწიფოს სტრუქტურების სისტემატური თანამშრომლობა, რაც გამოიხატება ბიზნესმენთა მიერ სახელმწიფო დონისძიებათა თანადაფინანსებაში.

კულტურის სფერო, მასში შექმნილი პრობლემები მრავალმხრივ თანამშრომლობას საჭიროებს, მაგრამ ეს თანამშრომლობა უნდა ემყარებოდეს ურთიერთსარგებლიანობისა და მიზანშეწონილების პრინციპებს.

ამავდროულად, გარკვეული მზაობის მიუხედავად, ბიზნესი ძალიან მძიმედ მოდის თავად კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან საურთიერთობოდ. სოციოლოგიური კვლევის შედეგებით კულტურის სფეროს განვითარებისათვის დაფინანსების ფორმათა თანაფარდობაში ბიზნესმენებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს სახელმწიფო დაფინანსებას, რეგიონალურ\მუნიციპალურს, და მხოლოდ შემდგომ ეტაპზე, კერძო ქართულ კაპიტალს.

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ბიზნეს სექტორის მიერ კულტურის ობიექტების დაფინანსების შემდეგი პრიორიტეტები:

1. კულტურული მემკვიდრეობის შენახვა (ძეგლის რესტავრაცია);
2. კულტურული მემკვიდრეობის განვითარება\აღაპტაცია;
3. კულტურის ახალი ობიექტის შექმნა;

რაც შეეხება საშემსრულებლო ხელოვნების ცალკეული კოლექტივის (ორკესტრი, ანსამბლი, დასი) დაფინანსებას, ინდივიდუალური შემოქმედის დაფინანსებას და სახელოვნებო განათლების ობიექტის დაფინანსებას – ბიზნესი მათ პრიორიტეტად არ აღიარებს.

კულტურის საჭიროებებიდან ბიზნესმენებისათვის პრიორიტეტულია: კულტურის, პოლიტიკის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის დარგში სისტემურ კვლევა და ანალიზი, განათლება, და დოკუმენტაციის საინფორმაციო ბანკის შექმნა.

ასევე რთულად მიმდინარეობს კულტურის სფეროსა და სახელმწიფოს/ცენტრალური, მუნიციპალური/ ურთიერთობა- სახელმწიფოს (მცირე და იშვიათი გამონაკლისების გარდა, რომლის მაგალითია ქვემდებარე პროექტი) არ აქვს პოლიტიკური ნება მოიძიოს პარტნიორები კულტურის არასამთავრობო სექტორში. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო, როგორც ცენტრალური, ასევე მუნიციპალური, ისევ ბიზნესს, ოდონდ შოუ- ბიზნესს ანიჭებს უპირატესობას.

შესაბამისად სახელმწიფოს მიერ წარმოებული კულტურული პოლიტიკის რეალურ პრიორიტეტად იკვეთება მასკულტურის მხარდაჭერა და მისი კლიშეების დანერგვა.

## 6.2. კულტურის ინდუსტრია

- რომელი მნიშვნელოვანი კულტურის ინდუსტრიები არსებობს თქვენს ქალაქში? (გამომცემლობები, აუდიო-ვიზუალური მულტიმედია, არქიტექტურა, დიზაინი, მოდა და ა.შ)? არიან თუ არა ისინი რელევანტური კულტურის პოლიტიკისადმი? რა სახის მხარდაჭერას გულისხმობს კულტურის პოლიტიკა მათი განვითარებისათვის? (საინკუბაციო ტერიტორიები, კაპიტალდაბანდება, ტრენინგები)?
- შემოქმედებით სფეროში დაკავებული თანამშრომლების რაოდენობა.

თბილისში ბოლო 5 წლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა ჩამწერ სტუდიათა რიცხვი. ეს უპირველესად გამოწვეულია მასკულტურისადმი, როგორც საზოგადოების, ასევე ხელისუფლების აშკარა ლტოლვით.

შედარებით სუსტადაა განვითარებული შოუ ბიზნესი- იმ ფონზე, როდესაც სფერო ძალიან სწრაფად იზრდება, მასში კვალიფიციური, პროფესიონალი და მით უფრო ჭეშმარიტად მხატვრული ღირებულების შემქმნელი ლიდერები არ არსებობენ (რაც დიდად ანსხვავებთ მათ 60-იანი წლების თბილისური ესტრადის ვარსკვლავებისგან).

### 6.3. ტრენინგების ხელოვნებისა და კულტურის სფეროში

- ხელოვნების რა უმაღლეს-სასწავლებლები არსებობს?
- რა როლს ასრულებენ ისინი კულტურის პოლიტიკის განსაზღვრაში?
- რა სახის სკოლები და სხვა სტრუქტურები გაქვთ ხალხის მოსამზადებლად კულტურის სფეროში სამუშაოდ?

დედაქალაქში არსებული ისეთი პრესტიჟული ორგანიზაციები, როგორიცაა, მ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეტყველებს თბილისზე, როგორც საუნივერსიტეტო მძღავრ ცენტრზე. შესაბამისად, მათ აკისრიათ უდიდესი როლი კვალიფიციური კადრების ჩამოყალიბებაში.

ამავდროულად, ბოლო ათწლეულში მკვეთრედ დაეცა სახელოვნებო განათლების დონე, რაც ერთის მხრივ განპირობებულია ბაზრის მოთხოვნის შემცირებით, ხოლო მეორეს მხრივ, განათლებისადმი საზოგადოდ ინტერესის შეცვლით, აქცენტების გადანაწილებით. აღსანიშნავია, რომ 2000 წლამდე ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან არსებობდა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი რესტავრაციის ინსტიტუტი, რომლის გაუქმების შემდეგ მეცნიერების ამ დარგის განვითარება ეჭვის ქვეშ დგება.

თბილისში ჩამოთვლილი 4 უმაღლესი განათლების ინსტიტუციის გარდა, არსებობს სხვა უმაღლესი/მუნიციპალური, კერძო/ ინსტიტუტები, კოლეჯები და სასწავლებლები, რომლებიც სახელოვნებო სფეროს ემსახურებიან.

სახელოვნებო განათლება შედგება საშუალო სკოლის, კოლეჯის, ტექნიკურისა და უმაღლესისაგან. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მუსიკალური სკოლა თბილისში 24-ია და მუნიციპალურ დაფინანსებაზე იმყოფება.

#### საგანმანათლებლო და კულტურული კვლევა

თბილისში არსებობს სამეცნიერო-კულტურული კვლევის ისეთი პრესტიჟული ორგანიზაცია, როგორიცაა მეცნიერებათა აკადემია, თავისი კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტებით; მათგან აღსანიშნავია გ. ჩუბინაშვილის სახ. ხელოვნების

ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტი, რომელიც წლების მანძილზე ხელოვნების სფეროში ყველაზე პრესტიჟულ და ავტორიტეტულ ინსტიტუციას წარმოადგენდა.

ბოლო ათწლეულის მანძილზე გაჩნდნენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვას, როგორც სასწავლო, ასევე კვლევით პროცესებში. (მაგალითად ხელოვნების ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორია).

## 7.ინფორმაცია და ICT

- აქვს თუ არა ქალაქს კულტურული შემოთავაზებების საინფორმაციო ცენტრი? სად მდებარეობს იგი? ვინ აფინანსებს მას (სპონსორები, მუნიციპალიტეტი, ტურიზმის სამსახური, სხვა)?

ქალაქს არ გააჩნია საინფორმაციო ცენტრი.

## 8. ქალაქის მოკლე მიმოხილვა

- ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა

2002 წლის აღწერით თბილისის მოსახლეობა შეადგენს **1 400 000**.

## 9. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

- რის თქმას ისურვებდით კიდევ ქალაქის კულტურის აღმინისტრაციისა და კულტურული ცხოვრების შესახებ?

## ტრადიციები და ცხოვრების წესი

თბილისისთვის დამახასიათებელია კონკივიალობა, ადამიანურ ურთიერთობათა ღიაობა და განსაკუთრებული სითბო. ეს ქალაქური კულტურა იქმნება ურბანულ გარემოში. თბილისური კულტურის დამახასიათებელ გარემოს ქმნიდა თბილისური ეზოები მათი განუყოფელი ნიშნით, რასაც შეიძლება ვუწოდოთ გვერდი-გვერდ მცხოვრებ ადამიანთა პასუხისმგებლობა ერთმანეთის წინაშე. უცილებელია ამ ტიპის განაშენიანების შენარჩუნება -განვითარება და უკვე არსებული „შენობა-მკვლელების“ ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

ქალაქის დღევანდელი შეფასება და მისი იმიჯი ეწინააღმდეგება ერთმანეთს. დღეს ქალაქი ასოცირებულია ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, განათლებისა და

ურთიერთობების კრიზისთან, რაც კულტურის განვითარების არსებულ და მოსალოდნელ პრობლემებზე მიუთითებს.

თბილისის უმთავრესი პრობლემა დაკავშირებულია არა იმდენად ეკოლოგიურ ან ეკონომიკურ კრიზისთან, რამდენადაც კულტურისადმი ზოგადად საზოგადოების დამოკიდებულებასთან.

კულტურული ცხოვრების განვითარების პერსპექტივა დამოკიდებულია სამომხმარებლო გემოვნებაზე, ეს უკანასკნელი კი ყალიბდება კულტურის მაფორმირებელი ატრიბუტების თავისებურებისა და მათი პოზიციონირების პოლიტიკის მიხედვით.

### **მულტიკულტურალიზმი**

ეთნიკურ ნიშანთა სიმრავლე ქალაქს სძენს დინამიურობის ნიშანს, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია სხვადასხვა ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ცხოვრების წესის, ურთიერთობის კულტურისა და ა.შ. გაზიარებასა და ურთიერთზეგავლენასთან.

სამწუხაროდ დღეს არც ადგილობრივ სახელმწიფო ადმინისტრაციებში და არც კულტურისა და სპორტის სამინისტროში არ არსებობს პასუხისმგებელი სტრუქტურა, რომელიც ორიენტირებულია უმცირესობათა კულტურული პრობლემების მოგვარებაზე. არადა, სწორედ მუნიციპალიტეტის, თვითმმართველობის ორგანოთა შემოთავაზებათა ფარგლებში უნდა იქმნებოდეს სასურველი კლიმატი დედაქალაქის თითოეული ეროვნული უმცირესობის კულტურული განვითარებისათვის.

### **თინეიჯერული კულტურა**

განსხვავებით ეროვნული უმცირესობების საკითხებისა, სახელმწიფოს სტრუქტურებში, კერძოდ, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურში არსებობს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და განყოფილება.

მიუხედავად ამისა, თბილისში მწვავედ დგას ახალგაზრდათა, მოზარდთა პრობლემები- უპარტრონო ბაგშვთა პროსტიტუციით დაწყებული, მოზარდთა 40% -ის მიერ წერა-კითხვის თითქმის უცოდინარობით დამთავრებული.

უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პირობები თავის ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს არამარტო სოციალურად დაუცველი ფენების მოზარდებზე, ეს პრობლემა თავს იჩენს შედარებით შეძლებული ფენის ახალგაზრდებშიც. კვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ წინა თაობასთან შედარებით, თინეიჯერებს ძალზე მკვეთრად აქვთ გამოხატული ე.წ. გაუცხოების სინდრომი. (რა თქმა უნდა ეს არამარტო თბილისის, ან თუნდაც საქართველოს პრობლემაა, აქ ჩვენ ზოგად მსოფლიო ტენდენციასთანაც გვაქვს საქმე, გამოწვეული ობიექტური, გლობალისტური პროცესებით), მაგრამ გაჩნდა სუბიექტური, ქართული, და კერძოდ, თბილისური ტენდენცია, რომელიც არ იყო დამახასიათებელი თუნდაც ერთი თაობით უფროსი რესპონდენტებისათვის- ნიშანდობლივია ის ინდიფერენტული დამოკიდებულება, რომელიც გამოვლინდა, განსაკუთრებით, მოზარდებისა და ახალგაზრდების მხრიდან, თბილისური კულტურის ისეთი სპეციფიკური თავისებურების მიმართ, რასაც მისი მოსახლეობის პოლიეთნიკურობა განაპირობებდა.

თანამედროვე თბილისში უკვე ჩამოყალიბდა თინეიჯერული კულტურის სფერიფიური სახე. განსხვავებით დასავლური თინეიჯერული კულტურისა, ის უფრო ერთფეროვანია და მცირე არეალს მოიცავს. თუმცა აქაც შეინიშნება გარკვეული აგრესიული სტილი, რიტმისა და მძაფრი ფერის სიჭარბე. განსაკუთრებით საინტერესოა გრაფიტის ხელოვნების გამოვლინებები, რომელიც დასავლური მოდელისამებრ გარეუბნებიდან ქალაქის ცენტრისაკენ ვრცელდება. თუმცა იგივე ნიუ-იორკისაგან განსხვავებით, სრულიად სხვა იდეურ-ესთეტიურ საფუძველს ემყარება.

საგულისხმოა, რომ ბოლო წლების მანძილზე ქალაქში მონუმენტური მხატვრობის ბუმის ფონზე, გრაფიტის მიმდევართა მხრიდან ჩნდება გამძაფრებული სოციალური აგრესია. საზოგადოებრივი კედლების სივრცის მცოცავ ანექსიას, რომელიც გრაფიტის ხელოვნების ანარქისტულ იდეოლოგიას ეფუძნება, თინეიჯერთა აზრით უპირისპირდება ზემოდან მართული პროცესი, ოდონდ „შეფუთული“ მასკულტურის ეფექტური სახით.

### **კულტურის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა**

არსებული კანონმდებლობით პრობლემას წარმოადგენს:

ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) ორგანოების უფლებამოსილების შეზღუდვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით, ასევე გარკვეული ადმინისტრირების უფლებების მინიჭების სფეროშიც.

ისევე როგორც „მუზეუმების შესახებ“ კანონში, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კანონშიც არ არის ცხადი, თუ რა ფუნქციები აკისრია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში; კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციები შემოიფარგლება მხოლოდ ძეგლთა დაცვის ორგანოების ინფორმაციული ტექნიკური ხელშეწყობითა და უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის გამოვლენით.

კანონებით „თეატრების შესახებ“ და „მუზეუმების შესახებ“ განუსაზღვრელია თუ რის საფუძველზე მიიჩნევა თეატრი ან მუზეუმი მუნიციპალური დაქვემდებარების მუზეუმად ან თეატრად. კანონით „თეატრების შესახებ“, განსაზღვრულია, რომ მუნიციპალური თეატრი არის ისეთი თეატრი, რომელიც ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მაგრამ კანონი არ ითვალისწინებს ადგილობრივი (მუნიციპალური) ორგანოების უფლებამოსილებას, დააფუძნოს ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, განსაზღვროს თეატრის მართვის სტრუქტურა, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და თეატრის დირექტორის არჩევის (დანიშვნის) წესი.

იგივე პრობლემას ვაწყდებით კანონში „მუზეუმების შესახებ“.

კანონში „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ გათვალისწინებულია, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა შედგება სახელმწიფო და არასახელმწიფო, ადგილობრივი და საუწყებო ბიბლიოთეკების ქსელებისაგან. ამასთან კანონით არა დეტალურად რეგულირებული მუნიციპალური ორგანოების მიერ ბიბლიოთეკების დაფუძნების, მათი ორგანიზაციისა და დაფინანსების წესი. კანონი, მხოლოდ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აძლევს ბიბლიოთეკის დაფუძნების უფლებამოსილებას. ამასთან, არაა განსაზღვრული რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით შეიძლება დაფუძნდეს ბიბლიოთეკები. შესაბამისად, აუცილებელია კანონით „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ განისაზღვროს-ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება, ბიბლიოთეკების დაფუძნებისა და მათი შემდგომი ეფექტური ორგანიზების მიზნით.

## დანართი №2

თბილისში ჩამოსულ (ან გავლით მყოფ) მოგზაურთა, მეცნიერთა არასრული სია, რომლებმაც მრავალი საინტერესო მასალა დატოვეს საქართველოსა და თბილისის შესახებ:

თეოფანე ბიზანტიელი – VI ს-ის II ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი (პირველი მოიხსენიებს თბილისს, როგორც იძერთა დედაქალაქს);

ევლია ჩელები – ოურქი მოგზაური, გეოგრაფი და ისტორიკოსი (10 ტომიანი „მოგზაურობის წიგნი“, II ტომი – საქართველო, თბილისი);

**გერმანელები:**

კარლ ედუარდ ფონ აიხენვალდი – ზოოლოგი და მინერალოგი, ექიმი, მეცნიერი, (იმყოფებოდა თბილისში 1826წ.);

იოჰან ანტონ გიულდენშტედტი – მეცნიერი, მოგზაური (იმყოფებოდა თბილისში 1771-72 წ.წ.);

იეგერი – ნატურალისტ-ენტომოლოგი (იმყოფებოდა თბილისში 1825 წ.);

კაინრიხ იულიუს ფონ კლაპროთი – ლინგვისტი და თრიენტალისტი (იმყოფებოდა თბილისში 1808 წ.);

კარლ კაინრიხ ემილ კოხი – ბოტანიკოსი, დენდროლოგი და მოგზაური (იმყოფებოდა თბილისში 1836 – 1844 წ.);

იაკობ რაინეგსი – ექიმი და მოგზაური (იმყოფებოდა თბილისში 1774-1783 წ.);

დიტრიხ-კრისტოფ რომელი – ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და ფილოლოგი;

ოტო ვილჰელმ ჰერმან აბიხი – ბუნებისმეტყველი, გეოლოგი, კავკასიის მკვლევარი, „კავკასიის გეოლოგიის მამა“ (თბილისში ცხოვობდა 1847-1876 წ.წ.);

ერნსტ ვერნერი- მეცნიერი და მეწარმე;

ვალტერ და ოტო ფონ სიმენსები – მეცნიერები და მეწარმეები (ვალტერი და ოტო დაკრძალული არიან თბილისში);

არტურ ლაისტი – მწერალი, მთარგმნელი (თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“);

პაულ და ელენე ფრანკენები – მხატვრები (თბილისში ცხოვობდენ 1852-58 წ.წ.);

## ფრანგები

ამურ ოგიუსტ ლუი ჟოზეფ ბერტელო ბარონ დე ბაი – მეცნიერი, ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე (იმყოფებოდა თბილისში 1898-1902 წ.წ.);

შარლ ბელანჟე – ნატურალისტი (იმყოფებოდა თბილისში 1825 წ.);

შაპ ფრანსუა გამბა – მოგზაური და ვაჭარი, საფრანგეთის კონსული საქართველოში 1820-24 წლებში,

შარლ დეგრელი დე ფუა – ოფიცერი;

ემილ ლევიე – მოგზაური (XIX ს-ის 90-ანი წლები);

ალექსანდრე დიუმა (მამა) – ფრანგი მწერალი (იმყოფებოდა თბილისში 1858-59 წ.წ.);

პეისონელი – მოგზაური (XVIII ს-ის 50-60 წლები);

ჯოზეფ ტერნეფორი – ბოტანიკოსი და ექიმი (იმყოფებოდა თბილისში 1701 წ.);

ეან შარდენი – მოგზაური, იუველირი (იმყოფებოდა თბილისში 1672-73 წ.წ.);

მარი ფელისიტე ბროსე – ორიენტალისტი და ქართველოლოგი. ქართველოლოგიის ფუძემდებელი ევროპაში.

## იტალიელები:

მარკო პოლო – მოგზაური და მწერალი (იმყოფებოდა თბილისში 1298);

დიონიზო კარლო და პიაჩენცა – კათოლიკე მისიონერი;

ამბროჯო კონტარინი – ვენეციელი დიპლომატი (იმყოფებოდა თბილისში 1475 წ.);

აბდონ ფერდინანდის ძე ინოჩენცი – ბალეტმაისტერი და პედაგოგი (ცხოვრობდა თბილისში 1887-1930 წ.წ.);

ჯოვანი სკუდიერო – არქიტექტორი (1846 წ.).

## არაბი მეცნიერები და მოგზაურები

ალ-იაკუბი, იაკუთი, იბნ ალ-ადინი, იბნ ალ-ასირი, იბნ ჰაუკალი, ალ-იდრისი, ალ-ისტახერ, ზაქარია ალ-კაზვინი, ალ-ტაბარი ალ-ფარიკი,

### **ინგლისელები**

რობერტ ლაიელი – ინგლისელი ბოტანიკოსი და მოგზაური (იმყოფებოდა თბილისში 1822 წ.);

თომას ოლკოპი – ინგლისელი მოგზაური (იმყოფებოდა თბილისში 1828 წ.);

ჯონ ოლივერ და მარჯორი უორდროპები (და-ძმა) – ინგლისელი დიპლომატი და მთარგმნელი (თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“);

### **ამერიკელები**

ელ სმითი – ამერიკელი მისიონერი და ორიენტალისტი (იმყოფებოდა თბილისში 1838 წ.);

ჯონ ერნსტ სტეინბეკი – ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1947 და 1963 წლებში 2-ჯერ იყო თბილისში);

### **უნგრელი**

მიხაი ზიჩი – უნგრმაჟერი და გრაფიკოსი (დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“);

### **შვედი**

ოტო იაკობ სიმონსონი – არქიტექტორი (1858-1909 წ.წ.);

მრავალი რუსი, ირანელი და სხვა ქავენის წარმომადგენელი.